

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2009, # 10

სამოქალაქო პროცესი (ზოგადი დებულებანი)

1. სარჩელის გამოხმობა
2. პროცესო თანამონაწილეობა
3. მტკიცების ტვირთი; მტკიცებულებათა დასაშვებობა
 - მტკიცების ტვირთი
 - მტკიცებულებათა დასაშვებობა
4. მტკიცებულებათა შეგროვება
5. მტკიცებულებათა შეფასება

1. სარჩელის გამოხმობა

განჩინება

#ას-62-396-09

5 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

"2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" თავმჯდომარემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. ძ-შვილის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელემ შეიძინა ქ. თბილისში, ... მე-20 კორპუსში მდებარე #28 ოთხოთახიანი ბინა, რომელიც უკანონოდ დაკავებული აქვს ჯ. ძ-შვილს. მოპასუხე ცხოვრობდა გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ... ჩიხ. #19-ში და მოსარჩელე ფონდში წარდგენილი ჰქონდა განცხადება დესტინატურად ცნობის შესახებ. ჯ.ძ-შვილმა ფონდის დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტების სრული პაკეტი ვერ მოიპოვა; მის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში საცხოვრებელი სახლის დაზიანების კატეგორიის შესახებ მითითებულია, რომ ბინა დაიწვა 1996 წელს. ამასთან, მოსარჩელემ ვერც აღნიშნულ სახლზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოპასუხეს სახლი ჰქონდა ქ. თბილისში, ... ჩიხ #19-ში, რომელიც 1996 წელს დაიწვა და მის ადგილზე მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები. ჯ.ძ-შვილი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობებში. 2002 წლის 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად სახლიც და დამხმარე ნაგებობებიც დაინგრა. „2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის“ გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა კომისიამ თავშესაფრად გამოუყო სადავო ბინა, სადაც იგი ცხოვრობს.

ჯ. ძ-შვილმა შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში, მოითხოვა ფონდის დესტინატურად ცნობა და ქონების საკუთრებაში გადაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა -მოპასუხე გამოსახლდა სადავო ბინიდან და იგი გამოთავისუფლებული ჩაბარდა მოსარჩელეს, შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯ. ძ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას ჯ.ძ-შვილმა შეგებებული სარჩელი გაიხმო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჯ.ძ-შვილის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდა და შეგებებული სარჩელი დარჩა განუხილველად. ამავე პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ჯ. ძ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2002 წლის 5 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისში, ... მე-3 მ/რ-ის მე-20 კორპუსის #28 ბინა აღირიცხა "2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" საკუთრებად. აღნიშნულ ბინას ფლობს 2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ჯ. ძ-შვილი. საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ... ჩიხ #19-ში მდებარე სახლი 1996 წელს დაიწვა, დარჩა დამხმარე სათავსები, რომლებიც მიწისძვრის შედეგად დაინგრა. ჯ. ძ-შვილსა და ფონდის გამგეობას შორის ხელშეკრულება არ დადებულა და ბინის გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტი არ შედგენილა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 312-ე, 170-ე და 172-ე მუხლებით. პალატის მოსაზრებით, ვინდუკაციური სარჩელის განხილვისას სასამართლო ამოწმებს, ეკუთვნის თუ არა მოსარჩელეს სადავო ნივთი, რომლის უკან დაბრუნებასაც იგი ითხოვს და აქვს

თუ არა მოპასუხეს ამ ნივთის ფლობის უფლება. სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს ზემოხსენებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება გააჩნია და იგი არ არის შეზღუდული მოპასუხის მიერ ამ ნივთის ფლობით, რადგან მოპასუხე არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 160-ე-162-ე მუხლებით დაცული უფლების მქონე მართლზომიერ მფლობელს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ კანონი იცავს ნივთზე არა ყოველგვარი ბატონობით განხორციელებულ, არამედ მხოლოდ მართლზომიერ მფლობელობას, რისი არსებობაც მოპასუხემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს ვერ დაუდასტურა. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს იგი უძრავი ნივთის მართლზომიერ მფლობელად. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯ.ძ-შვილის მიერ წარმოდგენილი, ფონდის გაცემული #705 რეგისტრაციის ცნობა, ასევე, დაზარალებული მოსახლეობის სიის დამტკიცების თაობაზე შუალედური ინფორმაცია ვერ ჩაითვლება მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ჯ.ძ-შვილსა და ფონდის გამგეობას შორის ხელშეკრულება და ბინის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი არ შედგენილა, „2002 წლის 25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ დროებითი თავშესაფრის სახით შექმნილი ბინების, მიწისძვრის შედეგად დანგრეული ან დანგრევას დაქვემდებარებული საცხოვრებელი სახლების მქონე მოსახლეობისათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-7 მუხლის მიხედვით კი ფონდის მიერ პირველი რიგის განსახორციელებელ ღონისძიებას განეკუთვნება დესტინატურზე დროებითი თავშესაფრის სახით ფონდის მიერ შექმნილი ბინის სარგებლობის უფლების გადაცემა და ამის დამადასტურებელი ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. ამ წესით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ფონდის სახელით ახორციელებს ფონდის გამგეობა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მესაკუთრის უპირატესი ინტერესი არ არის გამოკვეთილი და მიუთითა, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას მესაკუთრე არ არის ვალდებული, მიუთითოს და ასაბუთოს თავისი საკუთრების გამოყენების ინტერესის უპირატესობა. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ გამოიკვლია და სრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რის გამოც, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჯ.ძ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სადავო ურთიერთობის შეფასებისას სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 312-ე, 170-ე და 172-ე მუხლები, როდესაც მიიჩნია, რომ ფონდს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა სადავო ნივთის უკან დაბრუნება და ხელშეშლის აღკვეთა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ფონდი შეიქმნა საზოგადოებრივი და არა კერძო ინტერესებისათვის, შესაბამისად, მას უნდა შეესრულებინა დაკისრებული ვალდებულებანი. სადავო ბინის მესაკუთრედ ფონდი აღრიცხული იყო ფორმალურად, რეალურად კი ბენეფიციარს წარმოადგენდა ჯ.ძ-შვილი. ამდენად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილებით, რომელთა თანახმადაც, ფონდს ან მის უფლებამონაცვლეს უნდა მოეთხოვოს ჯ.ძ-შვილისათვის ნივთის საკუთრებაში გადაცემა, რადგან აღნიშნული ვალდებულება მოწინააღმდეგე მხარეს თავისივე დებულების საფუძველზე წარმოეშვა. ჯ.ძ-შვილი არის 2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული პირი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნით. ამავე დასკვნაში დადასტურებულია, რომ აღნიშნულ სახლს განესაზღვრა მე-3 კატეგორიის დაზიანების ხარისხი. მიწისძვრის შედეგებთან დაკავშირებული მწვავე პრობლემატური საკითხების დარეგულირების მიზნით, ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის #08.28.176 დადგენილებით შეიქმნა „2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდი“. ამავე დადგენილებით განისაზღვრა დროებითი თავშესაფრის სახით შექმნილი ბინების მიწისძვრის შედეგად დანგრეული და დანგრევას დაქვემდებარებული სახლების მქონე მოსახლეობის საკუთრებაში გადაცემის წესი, რომლითაც დროებითი თავშესაფრის სახით სარგებლობის უფლებით გადაცემის, ამის დამადასტურებელი ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად ფონდსა და დესტინატურებს შორის უნდა დადებულიყო სა-ნოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფონდის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ დესტინატერი იძენდა საკუთრების უფლებას ფონდის მიერ შექმნილ მიწაზე. ამასთან, დესტინატერს ყოველგვარი პირობის გარეშე უნარჩუნდებოდა საკუთრების უფლება მიწისძვრის შედეგად დანგრეულ და დანგრევას დაქვემდებარებულ ფართზე. ჯ.ძ-შვილმა დესტინატერად ცნობის მოთხოვნა წარადგინა ფონდის დებულებით გან-

საზღვრული დოკუმენტების თითქმის სრული პაკეტი, თუმცა, ტექნიკური მიზეზის გამო, დროულად ვერ წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რითაც დადასტურდებოდა დანგრეული სახლის მესაკუთრედ ყოფნის ფაქტი და აღნიშნული დოკუმენტი მოგვიანებით წარუდგინა სასამართლოს, რომელმაც მის მიღებაზე უარი განუცხადა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას "2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანმა სარჩელი გაიხმო, რასაც მოწინააღმდეგე მხარე დაეთანხმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ "2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" სარჩელი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის სხდომაზე "2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" რწმუნებულმა წარადგინა ფონდის თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანის განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ და მხარი დაუჭირა მას. აღნიშნულს დაეთანხმა ჯ. ძ-შვილის წარმომადგენელი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე "2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" მოთხოვნა საფუძვლიანია და მის მიერ სარჩელის გახმობის გამო, მოცემულ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები უნდა გაუქმდეს, ხოლო "2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" სარჩელი დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹, 275-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

"2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდის" სარჩელი დარჩეს განუხილველად სარჩელის გამოხმობის გამო.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე პირველი და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. საპროცესო თანამონაწილეობა

განჩინება

#ას-597-903-09

7 დეკემბერი, 2009 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 8 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნით მიმართა სს "ბანკი თეთრმა" (შემდგომ სს "პირველი ბრიტანული ბანკი", ამჟამად სს "პირველი ბრიტანული კომპანია") მოპასუხე შ. ძ-ძის მიმართ.

სარჩელის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

2001 წლის დეკემბერში სს "ბანკი თეთრმა" შეიძინა თბილისში, ...-ისა და ...-ის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შენობა-ნაგებობა და თბილისის მთავარი არქიტექტორისა და არქმშენინსპექციის ნებართვების საფუძველზე დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება.

2003 წლის 7 ივლისს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში შ. ძ-ძემ, გ. შ-იამ და ნ. ნ-ურმა მოპასუხეების: სს "ბანკი თეთრის", შპს "გამა-ცენტრისა" და სხვების მიმართ შეიტანეს სარჩელი. სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 ივლისის განჩინებით შეჩერდა მოსარჩელების მიერ გასაჩივრებული შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება: ა) თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 20 თებერვლის #20/79 ბრძანება; ბ) თბილისის არქმშენინსპექციის 2003 წლის 12 მარტის მშენებლობის წარმოების ნებართვა; გ) თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 25 მარტის მშენებლობის ნებართვა #6/51. მოგვიანებით მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა) ...-ისა და ...-ის ქუჩების გადაკვეთაზე, სს "ბანკი თეთრის" სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე ყადაღის დადება; ბ) სს "ბანკი თეთრისათვის" ზემოაღნიშნულ შენობა-ნაგებობაში შიდა მოწყობის სამუშაოების წარმოების, შესახლების, აგრეთვე, მესამე პირებისათვის შესახლების უფლების გადაცემის აკრძალვა. სასამართლომ განმცხადებელთა აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა, კერძოდ, ყადაღა დაედო თბილისში, ...-ისა და ...-ის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შენობა-ნაგებობებს, სს "ბანკი თეთრს" აკრძალა მითითებულ შენობა-ნაგებობაში შიდა მოწყობის სამუშაოების წარმოება, შესახლება და მესამე პირებისათვის შესახლების უფლების გადაცემა. სს "ბანკი თეთრმა" წარადგინა შუამდგომლობა მოსარჩელეთა მხრიდან საპასუხო უზრუნველყოფის მოთხოვნის შესახებ. მოცემული შუამდგომლობა განმეორდა ბანკის კერძო საჩივარში, მაგრამ სასამართლომ ისინი არსებითად არ განიხილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ძ-ძისა და სხვების სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებით.

მოსარჩელის განმარტებით, სარჩელში მოპასუხედ მხოლოდ შ. ძ-ძის დასახელება განპირობებული იყო იმით, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავდაპირველი მოსარჩელებიდან მხოლოდ შ. ძ-ძემ გახადა სადავო უზენაეს სასამართლოში (დანარჩენმა კასატორებმა საკასაციო საჩივარზე უარი განაცხადეს).

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოპასუხის მიერ შეტანილი სარჩელისა და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით სს "ბანკი თეთრს" მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, მას მოუხდა მშენებლობის კონვერსაცია, რაც გამოწვეული იყო შიდა და გარე სამუშაოების შეჩერებით. ამისათვის ბანკმა გაიღო 7 764 ლარი. მოპასუხისათვის სრულიად სავარაუდო იყო, რომ ბანკის მისი უშუალო მოქმედებით მიადგებოდა ზიანი, რადგან საქმის სასამართლოში განხილვისას, ბანკის წარმომადგენლის განცხადებით, ზემოაღნიშნული კერძო საჩივრისა და საპასუხო უზრუნველყოფის შესახებ შ. ძ-ძეს ეცნობა მოსალოდნელი ზიანის შესახებ.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლზე და მათ შესაბამისად ითხოვა, რომ მოპასუხეს დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება 7 764 ლარის ოდენობით.

მოპასუხე შ. ძემ სარჩელი არ ცნო, რაც იმით დაასაბუთა, რომ სასამართლოს მიერ მოპასუხის კუთვნილი ქონების დაყადაღებას საფუძვლად ედო არამართო მისი, არამედ -სხვა მოსარჩელების, კერძოდ, გ. შ-იას და ნ. ნ-ურის მოთხოვნა. შესაბამისად, იგი არ იყო ვალდებული, პასუხი ეგო მიყენებულ ზიანზე, რომელიც შეადგენდა 7 764 ლარს და ზიანის ანაზღაურების საკითხში ასევე ვალდებული იყვნენ დასახელებული პირები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით სს "პირველი ბრიტანული ბანკის" სარჩელი დაკმაყოფილდა -შ. ძ-მეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7 764 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. შ-იას, შ. ძ-ძისა და სხვათა განცხადების საფუძველზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 ივლისის განჩინებით შეჩერდა თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 20 თებერვლის #20/79 ბრძანების, თბილისის არქიმშენინსპექციის 2003 წლის 12 მარტის მშენებლობის წარმოების ნებართვისა (#57) და თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 25 მარტის მშენებლობის ნებართვის (#6/51) მოქმედებები. ამასთან, წარმოებაში იქნა მიღებული გ. შ-იას, შ. ძ-ძისა და ნ. ნ-ურის სარჩელი მოპასუხეების: თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის, თბილისის არქიმშენინსპექციის, სს "ბანკი თეთრისა" და შპს გამა-ცენტრის" მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე;

ამავე სასამართლოს 2003 წლის 20 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა გ. შ-იას, შ. ძ-ძისა და ნ. ნ-ურის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ყადაღა დაედო სს "ბანკი თეთრის" საკუთრებაში არსებულ შენობას, ამასთან, ბანკს აკრძალა შენობის მესამე პირებისათვის გადაცემა, მასში სარემონტო სამუშაოების წარმოება და შენობაში შესახლება;

სასამართლოს მიერ სს "ბანკი თეთრის" ოფისის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეჩერების გამო, იმ მიზნით, რომ არ დაზიანებულიყო უკვე შესრულებული სამუშაოები და შეჩერებული სამშენებლო მოედანი არ გამხდარიყო მოსახლეობისთვის საშიში, აუცილებელი გახდა კონსერვაციისთვის საჭირო დამატებითი სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 7 764 ლარი, რაც სს "ბანკი თეთრის" სრულად ანაზღაურა. მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას ცხადყოფდა შპს "გამა-ცენტრის" მიერ გაცემული ინფორმაცია;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ძ-ძის, გ. შ-იას, ნ. ნ-ურისა და ელგუჯა ბერაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. დასახელებული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 12 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შ. ძ-ძემ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 29 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

კანონის ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალდებულების (ზიანის ანაზღაურების) წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამასთან, მსგავს შემთხვევაში პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველია გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის ფაქტის არსებობა.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დგინდებოდა, რომ სს "ბანკი თეთრის" სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მიადგა ზარალი 7 764 ლარის ოდენობით. ამასთან, სარჩელი, რომლის უზრუნველსაყოფადაც იქნა გამოყენებული საპროცესო ღონისძიება, არ დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი

გარემოება წარმოშობდა კრედიტორის ვალდებულებას, აენაზღაურებინა უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა შ. ძ-მის შესაგებელში ასახული მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურების საკითხში მასთან ერთად ვალდებული არიან ნ. ნ-ური და გ. შ-ია. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სოლიდარულ ვალდებულება, რაც, სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს (კრედიტორს) სრულ უფლებას ანიჭებდა, მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნა წაეყენებინა ერთ-ერთი მოვალისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ძ-მემ, რომელმაც მოითხოვა ზიანის თანხისა და სახელმწიფო ბაჟის მისთვის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მითითებით, იმის გამო, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებას საფუძვლად დაედო მასთან ერთად გ. შ-იასა და ნ. ნ-ურის განცხადება, ზიანის თანხის სრული ოდენობის მხოლოდ მისთვის დაკისრება არასწორი იყო. ზანკმა დასახელებულ პირებთან მოლაპარაკება აწარმოვა, რის გამოც მათ უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საკასაციო საჩივარი გაიხმეს. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა უნდა შეემცირებინა და შ. ძ-მისათვის მოეთხოვა მიყენებული ზიანი საერთო თანხის 1/3-ის ოდენობით, რაც შეადგენდა 2 588 ლარს.

გარდა ამისა, აპელანტმა სადავოდ გახადა მიყენებული ზიანის ოდენობა -7 764 ლარი. მისი განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს 2003 წლის განჩინებით ყადაღა დაედო შენობა-ნაგებობას და ზანკს აეკრძალა შიდა სამუშაოების შესრულება. წყალსაწრეტი მიღების დამუშავება, რაზეც შპს "გამა-ცენტრის" ცნობაშია საუბარი, შიდა სამუშაოს არ წარმოადგენდა. მშენებლობა არ შეჩერებულა, ვინაიდან შენობა უკვე აგებული იყო. რაც შეეხებოდა ფანჯრის ღიობების ამოშენებას, აღნიშნული განხორციელდა არა იმიტომ, რომ ვინმეს ზიანი არ მიდგომოდა, არამედ იმის გამო, რომ პროექტით არ იყო გათვალისწინებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით შ. ძ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა, რომ ზიანის თანხა არ შეადგენდა სარჩელში მითითებულ ოდენობას, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

საქმეში არსებული შპს "გამა-ცენტრის" 2005 წლის 5 იანვრის ცნობით დასტურდება, რომ სს "ზანკი თეთრის" ოფისის რეკონსტრუქციაზე 2003 წლიდან სასამართლოს მიერ სამუშაოების შეჩერების გამო აუცილებელი გახდა კონსერვაციისათვის საჭირო დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რათა არ დაზიანებულიყო უკვე შესრულებული სამუშაოები და შეჩერებული სამშენებლო მოედანი არ გამხდარიყო მოსახლეობისთვის საშიში. ამ მიზნით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: ა) ამოშენებულ იქნა ღიობები კ/ბლოკით გარაჟზე, შენობის პირველ და მეორე სართულებზე; ბ) მოეწყო წყალსაწრეტი მილები. ამ სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 7 764 ლარი, რაც მთლიანად ანაზღაურა სს "ზანკი თეთრმა".

იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის გამო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს "ზანკი თეთრს" წარმოეშვა გაღებული თანხის, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა ზიანის ანაზღაურებაზე ნ. ნ-ურისა და გ. შ-იას პასუხისმგებლობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლზე. კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების საგნის განუყოფლობის გამო უზრუნველყოფის მომთხოვნი მხარეები წარმოადგენდნენ სოლიდარულ მოვალეებს და კრედიტორი ანუ სს "ზანკი თეთრი" უფლებამოსილი იყო, ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით განმარტა, რომ მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან. მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების წარმოშობის საფუძველად სასამართლომ მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღწეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

რამდენადაც საქმეზე დგინდებოდა, რომ სს "ბანკი თეთრს" სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიადგა ზარალი 7 764 ლარის ოდენობით, ამასთან, სარჩელი, რომლის უზრუნველსაყოფადაც უზრუნველყოფის ღონისძიება იქნა გამოყენებული, არ დაკმაყოფილდა; სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს "ბანკი თეთრს" სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარმოეშვა უფლება, მოეთხოვა მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ზიანი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შ. ძ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის ზემომითითებული მოთხოვნის საფუძველები შემდეგში მდგომარეობს:

სასამართლომ გაითვალისწინა სს "ბანკი თეთრის" ზეპირი განცხადება, რომლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოპასუხეს წარმოადგენს შ. ძ-ძე, რადგან საკასაციო საჩივარი მან წარადგინა. აღნიშნული მსჯელობა, კასატორის აზრით, არასწორია. საქმეში არსებულ 2003 წლის 4 ნოემბრის კონსერვაციის აქტში აღნიშნულია, რომ სს "ბანკი თეთრის" ოფისის სარეკონსტრუქციო სამუშაოები შეჩერებულია სასამართლოს მიერ მოსახლეობის და არა მხოლოდ შ. ძ-ძის სარჩელის საფუძველზე, რასაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

მოცემულ საკითხზე დასკვნის გამოტანისას სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შ. ძ-ძე არ იყო გაფრთხილებული სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მის მიერ მეორე მხარისათვის ზარალის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ.

კასატორის მითითებით, სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ 2003 წლის განჩინებით ყადაღა დაედო შენობა-ნაგებობას და ბანკს აკრძალა შიდა სამუშაოების შესრულება, თუმცა წყალსაწრეტი მილების დამუშავება არ წარმოადგენს შიდა სამუშაოს. მშენებლობა არ შეჩერებულა, რადგან შენობა უკვე აგებული იყო. რაც შეეხება ფანჯრის ღიობების ამოშენებას, ისინი ამოშენებულ იქნა არა იმიტომ, რომ ვინმეს ზიანი არ მიდგომოდა, არამედ იმის გამო, რომ აღნიშნული პროექტით არ იყო გათვალისწინებული.

სს "ბანკი თეთრს" მის მიერ 7 764 ლარის გადახდის შესახებ არანაირი მტკიცებულება წარუდგენია. მიუხედავად ამისა, სასამართლო მხოლოდ მხარის სიტყვიერ განმარტებას დაეყრდნო.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 11 ივლისის განჩინებით შ. ძ-ძისა და სხვების განცხადების საფუძველზე შეჩერდა თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 20 თებერვლის ბრძანების, 2003 წლის 25 მარტის მშენებლობის ნებართვისა და თბილისის არქმშენინსპექციის 2003 წლის 12 მარტის მშენებლობის ნებართვის მოქმედებები. სასამართლოს დასახელებული განჩინების საფუძველზე თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა 2003 წლის 1 აგვისტოს #48 ბრძანებით შეაჩერა თბილისის მთავარი არქიტექტორის 2003 წლის 20 თებერვლის ბრძანებისა და 2003 წლის 25 მარტის მშენებლობის ნებართვის მოქმედებები. 2003 წლის 5 აგვისტოს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ მიიღო ახალი განჩინება, რომლითაც შეაჩერა თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2003 წლის 1 აგვისტოს #48 ბრძანების მოქმედება. აქედან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს 2003 წლის 5 აგვისტოს განჩინებით ბანკს უკვე მიეცა უფლება, ეწარმოებინა მშენებლობა, შესაბამისად, მშენებლობის შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინების მოქმედების ვადა მხოლოდ 17 დღეს შეადგენს, რაც მოპასუხისათვის ზიანის მიყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ვადას არ წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მსჯელობას იმის შესახებ, რომ სარჩელზე ვალდებული პირი მარტო თვითონ არ არის. ამ შემთხვევაში სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო ვალდებულება, თუმცა სარჩელი არ არის ადრული საერთო ვალდებულების მქონე ყველა პირის მიმართ.

საქმეში არსებული, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20 ნოემბრის განჩინებით დგინდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღწეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

ნისძიება, რომელიც შემდგომ გაუმართლებელი გამოდგა და სს "ბანკი თეთრს" ზიანი მიაყენა, გამოყენებულია შ. ძ-ძის, გ. შ-იას და სხვათა მიერ. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს გაუმართლებელი უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ სოლიდარულ ვალდებულება, შ. ძ-ძე კი წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს. სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლიდან გამომდინარე, სოლიდარული ვალდებულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოვალე ვალდებულია, მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების ერთჯერადი მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელიც მთლიანად აანაზღაურებს ზიანს, აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით განისაზღვრა არამართო შ. ძ-ძის, არამედ -სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების სხვა ავტორთა ვალდებულებაც, რამდენადაც გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შ. ძ-ძეს წარმოეშობა უკუმოთხოვნის უფლება მისი წილის გათვალისწინებით დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართ. ამდენად, დადგენილია ამ უკანასკნელთა სოლიდარული ვალდებულების არსებობა ისე, რომ ისინი საქმის განხილვაში მოწვეული არ ყოფილან.

რამდენადაც ამ შემთხვევაში სახეზეა სავალდებულო თანამონაწილეობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს დანარჩენი სოლიდარული მოვალეები (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ის ავტორები, რომლებიც მხარს უჭერდნენ სარჩელს სს "ბანკი თეთრის" მიერ მშენებლობის კონვერსაციის სამუშაოების განხორციელების მდგომარეობით). სააპელაციო სასამართლომ ისინი, როგორც სავალდებულო თანამოპასუხეები, საქმეში უნდა ჩააბას თავისი ინიციატივით და მათი მონაწილეობით მოახდინოს საქმის გადაწყვეტა, ან საქმე განიხილოს მათი მონაწილეობის გარეშე იმგვარად, რომ, თუკი მოსარჩელე სს "ბანკი თეთრი" (ამჟამად სს "პირველი ბრიტანული კომპანია") თანახმა იქნება და შეამცირებს მოთხოვნის ოდენობას, განსაზღვროს მხოლოდ შ. ძ-ძის შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა მთლიან სოლიდარულ ვალდებულებაში მისი წილის გათვალისწინებით და მხოლოდ ამ ფარგლებში დააკმაყოფილოს სარჩელი.

დანარჩენ ნაწილში საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საკასაციო საჩივრის მოტივებს. კასატორი აღნიშნავს, რომ იგი არ იყო გაფრთხილებული სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მის მიერ მეორე მხარისათვის ზარალის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს საკმარის არგუმენტს სარჩელის უარსაყოფად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ, თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ მოსარჩელემ უნდა აუნაზღაუროს ზიანი მოპასუხეს, თუ იგი ამას მოითხოვს. ამდენად, ზიანის ანაზღაურება ამ შემთხვევაში კანონისმიერი ვალდებულებაა და იგი არ არის დამოკიდებული რაიმე პირობაზე.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მსჯელობა, რომ სს "ბანკი თეთრს" მის მიერ შესრულებულ სამუშაოებში 7 764 ლარის გადახდის შესახებ არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია და სასამართლო მხოლოდ მხარის სიტყვიერ განმარტებას დაეყრდნო. საქმეში წარმოდგენილია შპს "გამა-ცენტრის" ცნობა სს "ბანკი თეთრის" მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესახებ, სადაც ეს ღირებულება განსაზღვრულია 7 764 ლარით. შ. ძ-ძეს აღნიშნულის საწინააღმდეგოდ არაფერი წარუდგენია.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მსჯელობა, რომ შესრულებულია ისეთი სამუშაოები, რაც არ წარმოადგენდა უზრუნველყოფის ღონისძიების საგანს, კერძოდ, წყალსაწრეტი მილების მოწყობა არ წარმოადგენდა შიდა სამუშაოს. ამ შემთხვევაში კასატორი ვერ ასაბუთებს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მშენებლობის კონსერვაცია არ საჭიროებდა წყალსაწრეტი მილების მოწყობას არსებული მშენებლობის სათანადო მდგომარეობაში შესანარჩუნებლად და მოსავლელად. რაც შეეხება კასატორის განცხადებას, რომ მშენებლობა რეალურად არ შეჩერებულა, აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მის მიერ მისი წილი მტკიცების ტვირთი ასევე არ არის გაწეული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რაზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მსჯელობა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მოქმედების ვადა მხოლოდ 17 დღეს შეადგენდა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო 2003 წლის 20 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ყადაღა დაედო სს "ბანკი თეთრის" საკუთრებაში არსებულ შენობას, ამასთან, ბანკს აეკრძალა შენობის მესამე პირებისათვის გადაცემა, მასში სარემონტო სამუშაოების წარმოება და შენობაში შესახლება. აღნიშნულ საქმეზე წარმოება დასრულდა საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 29 იანვრის განჩინებით, რომლითაც შ. ძ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, ხოლო მანამდე, საქმის მასალების თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიება არ გაუქმებულა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მტკიცების ტვირთი; მტკიცებულებათა დასაშვებობა

განჩინება

#ას-948-1151-08

31 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრების აქტების ბათილად ცნობა, უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "საქართველოს რკინიგზამ" სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "თბილისის წყალის" მიმართ თანხის დაკისრების, აქტების ბათილად ცნობისა და უკანონოდ დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლის 12 ივლისს მხარეთა შორის დაიდო #მს/06-203 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, განისაზღვრა მათი უფლება-მოვალეობი და პასუხისმგებლობის საფუძვლები. დადგინდა დავის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა. მოპასუხემ რამდენჯერმე შეამოწმა მოსარჩელე, რის შედეგადაც შედგა სამი სადავო აქტი. 2007 წლის 12 თებერვლის აქტის თანახმად, შპს "საქართველოს რკინიგზას" დაეკისრა 85 536 ლარის გადახდა, ვინაიდან ... ქ. #127-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსარჩელემ, გაფრთხილების მიუხედავად, არ შეცვალა წყალმზომი, რომელსაც არ ჰქონდა ქარხნული დამლა, არ მოაწესრიგა წყალმზომის ჭა, რომელიც ჟონავდა და შეიმჩნეოდა ანტისანიტარია. აღნიშნული აქტი უსაფუძვლოა, რადგან შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" წყლის გადასახადების გამოანგარიშება სწორედ სადავო წყალმზომის მონაცემების საფუძველზე აღირიცხებოდა და მოპასუხის მიერ სარწმუნოდ იყო მიჩნეული. მოსარჩელის გაფრთხილება, 10 დღის ვადაში შეეცვალა წყალმზომი, შედგენილ იქნა "ქ. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" 150-ე მუხლის დარღვევით, ვინაიდან წყალმზომის შემოწმებას არ ესწრებოდა აბონენტი. მოპასუხის წარმომადგენლებმა შეგნებულად მოხსნეს ბრჯენი, რაზეც მოსარჩელემ სათანადო აქტი შეადგინა. მოპასუხემ გასაჩივრებული აქტი შეადგინა დაზიანების დაფიქსირებიდან 6 თვის ვადაში და ზემოხსენებული წესების 120-ე მუხლის დარღვევით ქმედითი ზომები არ მიუღია დაზიანების აღმოსაფხვრელად, მით უფრო, რომ, ამავე წესების 90-ე მუხლის შესაბამისად, წყალმზომის დაყენების პროცესში მონაწილეობენ შპს "თბილისის წყალის" წარმომადგენლებიც. მოპასუხისათვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელე ვერ ახერხებდა მოპასუხის მიერ მოთხოვნილი წყალმზომის შექმნას. ამასთან, წყალმზომთა ჩამონათვალი, რომელიც მოპასუხის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, არ არსებობს. 2007 წლის 13 თებერვლის აქტის თანახმად, მოსარჩელეს დაეკისრა 85 536 ლარის გადახდა იმ საფუძვლით, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" თბილისის მახარისხებელი სალოკომოტივო დეპოს მხრიდან წყალმზომზე გაწყვეტილი იყო მავთული და ეტყობოდა დამწვრობის კვალი. მითითებული აქტი უკანონოა, ვინაიდან სადავო წყალმზომის დამლა არ ახსნილა და ასეთად ვერ ჩაითვლება მავთულის გაწყვეტა. აღნიშნული მავთული გაწყდა შედუღები-

თი სამუშაოების დროს. იგი დახვეულია არა უშუალოდ მრიცხველზე – განცალკევებით მდებარე მილზე. 2006 წლის 31 იანვრისა და 2007 წლის 13 იანვრის წყლის ხარჯების მონაცემთა ანალიზით მრიცხველი გამართულად მუშაობდა და წესების 118-ე მუხლის გამოყენების საფუძველი მოპასუხეს არ ჰქონდა. 2007 წლის 22 თებერვლის აქტით მოპასუხემ მითითებული წესების 141-ე მუხლზე დაყრდნობით არასწორად დააკისრა მოსარჩელეს წყლის ხარჯვის ხუთმაგი ოდენობა – 23 678 ლარი იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს დავალიანების გამო გამოერთო წყლის მიწოდება და შემავალ ვინტილს დაედო დამლა, რომელიც აწყვეტილ იქნა და ობიექტს თვითნებურად აღუდგა წყლის მიწოდება. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მოპასუხემ მიუთითა მის მიერ ცალმხრივად შედგენილ 2007 წლის 16 იანვრის #1 აქტზე, რომლის შედგენასაც მოსარჩელის წარმომადგენელი არ დასწრებია და ხელი არ მოუწერია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2006 წლის 15 აგვისტოს შპს "თბილწყალკანალის" წარმომადგენლებმა მოსარჩელეს ჩააბარეს გაფრთხილება, 10 დღის ვადაში საკუთარი სახსრებით აღედგინა წყალმზომის სწორი ფუნქციონირება, წინააღმდეგ შემთხვევაში წყლის ხარჯვა განისაზღვრებოდა შემდეგი მილის კვეთის გამტარუნარიანობით წყლის ჭავლის დინება 1,5 მ.წმ-ში სიჩქარით 24 საათის განმავლობაში. მოპასუხემ გაითვალისწინა მხარეთა პარტნიორული ურთიერთობა და აღნიშნული ვადა მხარეთა ზეპირი შეთანხმებით რამდენჯერმე, სულ 6 თვით გააგრძელა. ამ პერიოდში ხარჯი განისაზღვრებოდა არსებული მრიცხველით. 2007 წლის 12 თებერვალს მოპასუხემ შეამოწმა სადავო მრიცხველის მდგომარეობა და აღმოაჩინა წყლის გაჟონვა, ანტისანიტარია, რაზეც შედგა სათანადო აქტი. "ქ. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" 104-ე მუხლის შესაბამისად, აბონენტი ვალდებულია, თვალყური ადევნოს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელების გამართულ მუშაობასა და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. ამავე წესების მე-13 მუხლის თანახმად, წყალსადენის განშტოება ქუჩის გამანაწილებელი ქსელიდან წყალმზომის კვანძის ჩათვლით ითვლება შიდა ქსელად და მასზე პასუხისმგებლობა ეკისრება აბონენტს. ამდენად, წყლის ჟონვის ადგილის მიუხედავად, მოპასუხე უფლებამოსილია, დააფიქსიროს აღნიშნული დარღვევა და შეადგინოს სათანადო აქტი, ხოლო დარიცხვა განხორციელდება წესების 118-ე მუხლის შესაბამისად. უსაფუძვლოა შპს "საქართველოს რკინიგზის" მითითება, რომ მოპასუხის წარმომადგენლები თვითნებურად ჩავიდნენ წყალმზომის ჭაში და შეგნებულად დააზიანეს ბრჯენები, რადგან მოსარჩელის წერილში აღნიშნულია, რომ დასახელებულ ფაქტზე შედგა აქტი თვითმხილელთა მიერ, რაც ადასტურებს, რომ მოპასუხე თვითნებურად არ მოქმედებდა. წესების 150-ე მუხლი განსაზღვრავს ობიექტის შემოწმებისას აღმოჩენილი ხარვეზებს და უდგენს აბონენტს ხარვეზის გამოსწორების ვადას, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლისას მოქმედებს 118-ე მუხლით დადგენილი წყლის აღრიცხვის პირობები. ამასთან, აქტზე ხელმოწერაზე აბონენტის უარის შემთხვევაში, მას ხელს მოაწერს მხოლოდ მოპასუხის წარმომადგენელი. დაუსაბუთებელია მოსარჩელის არგუმენტი წყალმზომის შეძენის შეუძლებლობის შესახებ, ვინაიდან სხვა დაწესებულებების მხრიდან მსგავსი პრეტენზია არ დაფიქსირებულა. სადავო #9/41 აქტი შედგა ზემოხსენებული წესების 120-ე მუხლის დაცვით, რომლის მიხედვით, თუ "თბილწყალკანალის" წარმომადგენელი გამოავლენს, რომ ახსნილია დამლა წყალმზომზე, წყალმზომის შემომვლელი ხაზის ურდულსა და დამკვეთზე ან აბონენტის ბალანსზე რიგხულ სხვა მოწყობილობაზე, აბონენტს წყლის ხარჯვის ღირებულება განესაზღვრება 118-ე მუხლით. ამ შემთხვევაში დამლის მავთულის გაწყვეტა გულისხმობს დამლის ახსნას. მიუხედავად იმისა, რომ მავთული განზრახ არ გაწყვეტილა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ სადავო აქტში ასახული ფაქტი მოსარჩელის მიერ არ განხორციელებულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2006 წლის 12 ივლისს მხარეთა შორის დაიდო #შს/06-203 ხელშეკრულება. შპს "თბილისის წყალის" 2007 წლის 12 თებერვლის #14/12 აქტის თანახმად, შპს "საქართველოს რკინიგზას" დაეკისრა 85 536 ლარის, 2007 წლის 13 თებერვლის #9/14 აქტით – 85 536 ლარის, ხოლო 2007 წლის 22 თებერვლის #22/10 აქტით – 23 678 ლარის გადახდა. 2006 წლის 15 აგვისტოს შპს "თბილწყალკანალის" წარმომადგენლებმა შპს "საქართველოს რკინიგზას" ჩააბარეს გაფრთხილება, რომლის თანახმად ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, 10 დღის ვადაში საკუთარი სახსრებით აღედგინა წყალმზომის სწორი ფუნქციონირება, წინააღმდეგ შემთხვევაში წყლის ხარჯვა განისაზღვრებოდა შემდეგი მილის კვეთის გამტარუნარიანობით წყლის ჭავლის დინება 1,5 მ.წმ-ში სიჩქარით 24 საათის განმავლობაში. 2007 წლის 12 თებერვალს მოპასუხის მიერ ადგილზე დათვალისწინებისას კვლავ აღმოჩნდა აქტში მითითებული დარღვევა, ასევე წყლის გაჟონვა და ანტისანი-

ტარია, რაზეც შედგა სათანადო აქტი. ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 11 მარტის #3-3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" 104-ე მუხლის შესაბამისად, აბონენტი ვალდებულია, თვალყური ადევნოს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელების გამართულ მუშაობას და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. ამავე წესების მე-13 მუხლის თანახმად, წყალსადენის განშტოება ქუჩის გამანაწილებელი ქსელიდან წყალმზომის კვანძის ჩათვლით ითვლება შიდა ქსელად და მასზე პასუხისმგებლობა ეკისრება აბონენტს. კომპანია უფლებამოსილია, დააფიქსიროს აღნიშნული დარღვევა და შეადგინოს სათანადო აქტი, ხოლო დარიცხვა განახორციელოს 118-ე მუხლის შესაბამისად, მილის კვეთის გამტარუნარიანობით წყლის ჭავლის დინება 1,5 მ.წმ-ში სიჩქარით 24 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო წყალმზომი წარმოადგენს შიდა ქსელს და პასუხისმგებლობა მის გამართულ მუშაობაზე აბონენტ შპს "საქართველოს რკინიგზას" უნდა დაეკისროს. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სასამართლომ სადავო წყალმზომზე მავთულის გაწყვეტა მასზე არსებული დამდის ახსნად არასწორად ჩათვალა, რისი დადგენაც სასამართლოს კომპეტენციაში არ შედიოდა. ფაქტობრივად კი, დამლაზე მავთულის გაწყვეტას წყალმზომის გამართულ მუშაობას არ უკავშირდება. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ზემოაღნიშნული წესების 120-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თუ "თბილწყალკანალის" წარმომადგენელი გამოავლენს, რომ ახსნილია დამლა წყალმზომზე, წყალმზომის შემომღვლეელი ხაზის ურდულსა ან დამკეტზე, სახანძრო ჰოდრატსა და აბონენტის ბალანსზე რიცხულს სხვა მოწყობილობაზე, აბონენტს წყლის ხარჯის ღირებულება განესაზღვრება შემყვანის მილის სრული კვეთით მოცემული წესების 18-ე მუხლის მიხედვით, რომელიც წყლის ხარჯის ოდენობის განსაზღვრის პირობად მიიჩნევს მხოლოდ ამ აქტის არსებობას და დამოკიდებული არ არის წყალმზომის გამართულ მუშაობასა და დამდის ახსნას შორის მიზეზობრივ კავშირზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, აპელანტმა ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არ იყო სასამართლო უფლებამოსილი, მავთულის გაწყვეტა დამდის ახსნად მიეჩნია. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ შპს "თბილისის წყალს" შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" ოფიციალურად წყლის მიწოდება არ შეუწყვეტია, ამდენად, მოსარჩელე წყლის მიწოდებას თვითნებურად ვერ აღიდგენდა. აღნიშნული გარემოების არსებობა სათანადო აქტის შედგენით არ დადასტურებულა და მტკიცებულებებითი ძალა არ უნდა მიენიჭოს თბილისის სატვირთოს უფროსის წერილს. რაც შეეხება 2007 წლის 16 იანვრის #1 აქტს, იგი არასრულყოფილია, ვინაიდან არ ირკვევა აბონენტის წარმომადგენლის ვინაობა და არ არის დაფიქსირებული, რომ "რკინიგზის წარმომადგენლებმა აქტის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს". ამდენად, მითითებული გარემოებები იწვევს ეჭვს, რომ აქტი შედგენილია ცალმხრივად. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა "ქ. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" 150-ე მუხლით, რომლის მიხედვით, "თბილწყალკანალის" წარმომადგენელი უფლებამოსილია, შეადგინოს აქტი (მიწერილობა) ობიექტის შემოწმების შედეგად ხარვეზების შესახებ. შედგენილ აქტში "თბილწყალკანალი" აღუნიშნავს აბონენტს ხარვეზების სალიკვიდაციო ვადას. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებული ობიექტის წარმომადგენელი ხელს არ მოაწერს აქტს, აქტი ფორმდება "თბილწყალკანალის" წარმომადგენლის ხელმოწერით. შედგენილი აქტი საფუძველს იძლევა, რომ აბონენტმა მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების ლიკვიდაცია მოცემულ ვადაში, ხოლო აქტის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამოქმედდება წყალსარგებლობის მოცემული წესების 118-ე მუხლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი აქტი დადგენილი წესების მოთხოვნათა დაცვითაა შედგენილი და მისი ცალმხრივად შედგენის თაობაზე მოსაზრება უსაფუძვლოა. სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისი-სატვირთოს უფროსის წერილით ნათლად ირკვევა სადავო პერიოდში აპელანტისათვის წყლის შეწყვეტის ფაქტი და აღნიშნული გარემოების სხვა მტკიცებულებებით დადასტურების აუცილებლობა არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს "საქართველოს რკინიგზამ" გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მოპასუხის ე.წ. გაფრთხილება შედგენილია ყოველგვარი წესების დარღვევით და მისი არც გასაჩივრების წესია სადმე დაფიქსირებული. შპს "თბილისის წყალმა" დაარღვია "ქ. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" 105-ე მუხლი, რომლის თანახმად "თბილწყალკანალი" აბონენტთან ერთად ახორციელებს წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას. შესაბამისი ზომების მისაღებად აფორმებს აქტს წყლის ჟონების ან დაზიანების შესახებ, ადგენს ხარვეზის ლიკვიდაციის ვადას და ამ ვადის გასვლის შემდეგ გადაამოწმებს აბონენტის წყალსადენი კანალიზაციის სისტემის მდგომარეობას. მოცემულ შემთხვევაში ობიექტი მოპასუხეს კასატორთან ერთად არ დაუთვალა იერებია, არ შეუდგენია არც აქტი და არც გაფრთხილება, რის დამადასტურებლად მხარემ ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, მით უფრო, რომ ობიექტი

განმეორებით შემოწმდა არა ათი დღის, არამედ -ექვსი თვის შემდეგ. აღნიშნულ გარემოებაზე სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია, რომ, მოპასუხის მოსაზრებით, უმოქმედო წყალმზომის მეშვეობით ფიქსირდებოდა მოხმარებული წყლის ხარჯის დინამიკის ზრდა და არა კლება, რის გამოც სადავო პერიოდში დარიცხული თანხა უკანონოა. უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება, რომ კასატორს სადავოდ არ გაუხდია გაფრთხილება არც მოპასუხე ოარგანიზაციასა და არც სასამართლოში. წესების 130-ე მუხლის თანახმად, 2007 წლის 12 თებერვლის აქტი კასატორმა გაასაჩივრა 2007 წლის 19 თებერვალს, ხოლო 2006 წლის 15 აგვისტოს გაფრთხილებას, მასში განსაზღვრული ვადის -10 დღის თანახმად, იურიდიული ძალა არა მარტო 2007 წლის 12 თებერვლის, არამედ 2006 წლის 25 აგვისტოსათვისაც არ გააჩნდა, შესაბამისად, მისი გაუქმების მოთხოვნასაც არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო წყალმზომის უმოქმედობისას იგი უნდა შეცვლილიყო და, ზემოხსენებული წესების 90-ე მუხლის შესაბამისად, მის გამოცვლაში მონაწილეობა უნდა მიეღო შპს "თბილისის წყალსაც". ამდენად, ამავე წესების 118-ე მუხლის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა. პალატამ არასწორად შეაფასა 2007 წლის 13 თებერვლის აქტი, როდესაც დამდის მავთულის გაწყვეტა დამდის ახსნად მიიჩნია და თანხის დარიცხვაც მითითებული წესების 118-ე მუხლით განახორციელა, თუმცა ფაქტობრივად დამდა არ ახსნილა და მავთულის გაწყვეტის მიზეზი დასაბუთებულ იქნა როგორც შპს "თბილისის წყალსადმი" მიმართულ საჩივარში, ისე სარჩელშიც. სასამართლომ გამოიყენა წესების 120-ე მუხლი და თავად დაასკვნა, რომ მავთულის აწყვეტა დამდის მოხსნას ნიშნავდა, რისი კომპეტენციაც მას არ გააჩნდა. ხსენებული წესების 90-ე მუხლის მიხედვით, წყალმზომის დანიშნულებაა აბონენტის მიერ გახარჯული წყლის ზუსტი აღრიცხვა. 2007 წლის 31 იანვრისა და 13 თებერვლის წყლის ხარჯვის მონაცემების შედარებითა და ანალიზით დასტურდება, რომ დამდაზე მავთულის გაწყვეტას წყალმზომის გამართულ მუშაობასთან არანაირი კავშირი ჰქონდა. სასამართლომ არასწორად შეაფასა 2007 წლის 22 თებერვლის აქტის შესახებ კასატორის არგუმენტები, კერძოდ, 2007 წლის 12 თებერვლის აქტით 108 328 ლარის დარიცხვის შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გასაჩივრების შემდეგ თანხის ოდენობა 23 678 ლარამდე შემცირდა. თავდაპირველი თანხის დარიცხვას საფუძვლად ედო დამდის ახსნა, ხოლო გასაჩივრების შემდეგ თანხის დარიცხვას საფუძვლად მიეთითა ამავე წესების 141-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევა, წყლის მიწოდების თვითნებურად აღდგენა, რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში კასატორის არგუმენტი, რომ შპს "საქართველოს რკინიგზას" ოფიციალურად წყლის მიწოდება არ შეწყვეტია და, ამდენად, ვერც თვითნებურად მის მიწოდებას ვერ აღადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატის მთავარ არგუმენტად მითითებულია, რომ სადგურში შეწყდა წყლის მიწოდება და დათვალეობით აღმოჩნდა, რომ წყლის მრიცხველთან შემავალი მთავარი ონკანი უხეზად იყო დაზიანებული, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს წყლის მიწოდების თვითნებურად აღდგენის სამტკიცებლად, ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე მოპასუხის მიერ შედგენილი აქტი არ არსებობს. 2007 წლის 16 იანვრის აქტი არასრულყოფილია და ამლიერებს ეჭვს მისი ცალმხრივად შედგენის თაობაზე, ვინაიდან მითითებული აქტით არ ირკვევა აბონენტის წარმომადგენელთა ვინაობა და არ არის დაფიქსირებული მინაწერი, რომ "რკინიგზის წარმომადგენლებმა აქტის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს."

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი გარემოებები: 2006 წლის 12 ივლისს მხარეთა შორის დაიდო #შს/06-203 ხელშეკრულება. შპს "თბილისის წყალსაც" 2007 წლის 12 თებერვლის #14/12 აქტის თანახმად, შპს "საქართველოს რკინიგზას" დაეკისრა 85 536 ლარის, 2007 წლის 13 თებერვლის #9/14 აქტით -85 536 ლარის, ხოლო 2007 წლის 22 თებერვლის #22/10 აქტით -23 678 ლარის გადახდა. 2006 წლის 15 აგვისტოს შპს "თბილწყალკანალის" წარმომადგენლებმა შპს "საქართველოს რკინიგზას" ჩააბარეს გაფრთხილება, რომლის თანახმად ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, 10 დღის ვადაში საკუთარი სახსრებით აღედგინა წყალმზომის სწორი ფუნქციონირება, წინააღმდეგ შემთხვევაში წყლის ხარჯვა განისაზღვრებოდა შემდეგი მილის კვეთის გამტარუნარიანობით წყლის ჭავლის დინება 1,5 მ.წმ-ში სიჩქარით 24 საათის განმავლობაში. 2007 წლის 12 თებერვალს მოპასუხის მიერ ადგილზე დათვალეობისას კვლავ აღმოჩნდა აქტში მითითებული დარღვევა, ასევე წყლის გაჟონვა და ანტისანიტარია, რაზეც შედგა სათანადო აქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგი საფუძვლებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითე-

ბულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. ამავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

კასატორი შპს "თბილისის წყალის" #14/12 აქტის ბათილად ცნობის საკითხთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების არაკანონიერების დასტურად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწინააღმდეგე მხარის მიერ 2006 წლის 15 აგვისტოს გაფრთხილებასთან მიმართებით გაფრთხილების გასაჩივრების წესის არარსებობა. ამასთან, გაფრთხილების შემდეგ ობიექტის დათვალიერება მოხდა არა გაფრთხილების აქტში მითითებული 10 დღის, არამედ 6 თვის შემდეგ. ასევე სადავოდ მიიჩნია 2007 წლის 13 თებერვლის #9/41 აქტის შეფასება სააპელაციო სასამართლოს მიერ იმ მოტივით, რომ მავთულის გაწყვეტა არასწორად იქნა დამდის ახსნად მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო უპირველესად ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა" საკასაციო საჩივრით თითქმის იმავე საკითხებს ზდის სადავოდ, რაც ამავე მხარის სააპელაციო საჩივარშია მითითებული. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით ამომწურავად იმსჯელა.

დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ დამლაზე მავთულის გაწყვეტა არასწორად იქნა შეფასებული დამდის დაზიანებად. მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს ის მდგომარეობა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" თბილისის მახარისხებელი სალოკომოტივო დეპოს წყალგაყვანილობაზე ჩამონტაჟებული წყლის მრიცხველის დამდის მავთული გაწყვეტილი იყო. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია თვით კასატორის წარმომადგენლის 2007 წლის 13 მარტის #26/71 და 2007 წლის 23 თებერვლის წერილებით. კასატორი დამდის მოხსნასთან დაკავშირებით საეჭვოდ მიიჩნევს სასამართლოს კომპეტენციას. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე დაადგინოს ამა თუ იმ ფაქტის არსებობა, თუკი ფაქტის დასადგენად სპეციალური ცოდნის დახმარება არ არის საჭირო. სასამართლო ასეთ დახმარებას, ექსპერტიზის დანიშვნის გზით, მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას არ შეუძლია, თვითონ გამოიტანოს დასკვნა სადავო საკითხთან დაკავშირებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამა თუ იმ ნივთზე დამდის განთავსება ადასტურებს, რომ არსებობს ინტერესი ამ ნივთის გარკვეულ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მასზე რაიმე ზემოქმედების განხორციელება არღვევს მის მთლიანობას. ამდენად, დამლაზე მავთულის გაწყვეტა ცალსახად, სპეციალისტის ცოდნის დახმარების გარეშე იძლევა მისი დაზიანებულად მიჩნევის საფუძველს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად გამოიყენა თბილისის საკრებულოს 2001 წლის 11 მარტის #3-3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" 120-ე და 118-ე მუხლები.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორის მითითება მოწინააღმდეგე მხარის 2006 წლის 15 აგვისტოს გაფრთხილებასთან მიმართებით. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ არ არსებობს გაფრთხილების გასაჩივრების წესები და, ამასთან, რადგანაც მასში დათქმული ათდღიანი ვადის ნაცვლად, ობიექტის განმეორებითი დათვალიერება მოხდა 6 თვის შემდეგ, გაფრთხილებამ იურიდიული ძალა დაკარგა. დადგენილია, რომ 2006 წლის 15 აგვისტოს გაფრთხილების შედეგად დაფიქსირდა წყლის მოხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები, რის შედეგადაც მოგვიანებით, 2007 წლის 12 თებერვალს შედგა აქტი და აბონენტს, "ქ. თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესების" თანახმად, დაეკისრა თანხის გადახდა. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი უთითებს მოწინააღმდეგე მხარის მიერ ზემოხსენებული წყალსადენით სარგებლობის წესების დარღვევაზე, რაც გამოიხატება ამ წესებით გათვალისწინებული პროცედურის დაუცველობაში, თუმცა მხარე ვერ ასაბუთებს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღწერილ წყალსადენით სარგებლობის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შპს "საქართველოს რკინიგზამ" ვერ შეძლო, დაესაბუთებინა თავისი შესაგებლის საფუძვლიანობა, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

#ას-997-1196-08 31 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, მესაკუთრედ რეგისტრაცია

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 4 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ლ. თ. და გ. ა-ძეებმა მოპასუხე ლ. ი-ოვას, მესამე პირის - ნოტარიუს ლ. გ-იანის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 61/418-ზე ა. მ-ოვსა და ლ. ი-ოვას შორის 1992 წლის 29 ივნისს რეგისტრირებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და თბილისის ტექნიკურ-ინჟინერიის ბიუროსა და საჯარო რეესტრის მონაცემებში სათანადო ცვლილებების შეტანა.

მოგვიანებით იმავე სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული სარჩელით ლ. თ. და გ. ა-ძეებმა მოითხოვეს ა. მ-ოვსა და ლ. ი-ოვას შორის 1992 წლის 29 ივნისს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ლ. ი-ოვას მესაკუთრეობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2005 წლის 17 იანვრის ჩანაწერის გაუქმება და საჯარო რეესტრში მესაკუთრეებად მათი დარეგისტრირება.

მოსარჩელეთა ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძვლები მდგომარეობს შემდეგში:

თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი იმყოფებოდა მეუღლეების - ა. მ-ოვისა და ე. კ-ერის კუთვნილებაში. 1992 წლის 1 ივნისს ა. მ-ოვმა მოახდინა აღნიშნული ბინის პრივატიზება ე. კ-ერის თანხმობით. პრივატიზაციის დროს ბინაში ჩაწერილები იყვნენ: ე. კ-ერი - 1936 წლიდან, ა. მ-ოვი - 1991 წლიდან.

ზემოაღნიშნული ბინის პრივატიზების პერიოდში მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების თანახმად, მოქალაქისათვის მის მიერ დაკავებული ბინის საკუთრებაში გადაცემისას სავალდებულო იყო ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა. ე. კ-ერის მიერ ასეთი თანხმობის მიუცემლობა, არ გულისხმობდა ამ უკანასკნელის მიერ საკუთრების უფლებაზე უარის თქმას. ამდენად, სადავო ბინა ორივე მეუღლის თანასაკუთრებას წარმოადგენდა, რის გამოც ერთ-ერთი მათგანის მიერ მისი გასხვისება არაკანონიერი იყო.

გარდა ამისა, ე. კ-ერის თანხმობა არ იყო დამოწმებული სანოტარო წესით, ასევე, განცხადების ტექსტისა და ხელმოწერის კალიგრაფია ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოსარჩელის მიერ გამოვლენილ ნებას არასარწმუნოს ხდიდა.

1992 წლის 29 ივნისს ა. მ-ოვმა თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა დისშვილს - ლ. ი-ოვას. ჩუქების ხელშეკრულებაში ე. კ-ერის, როგორც ბინის თანამესაკუთრის, თანხმობა არ ასახულა, რაც, სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის მიხედვით, დარღვევას წარმოადგენდა. ამასთან, ლ. ი-ოვას საჩუქარი (ბინა) რეალურად არ მიუღია. მეუღლეები ზემომითითებულ ბინაში ცხოვრობდნენ გარდაცვალებამდე (ა. მ-ოვი გარდაიცვალა 2004 წლის 17 ივნისს, ხოლო ე. კ-ერი - 2004 წლის 13 ივლისს), რის შემდეგაც მათ ქონებას დაეუფლა ლ. ი-ოვა. სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად,

ჩუქების ხელშეკრულება დადებულიად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

ჩუქების ხელშეკრულების უკანონობას ის ფაქტობრივი გარემოებაც ასაბუთებდა, რომ ხელშეკრულება შედგენილი იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაუცველად. აღნიშნული ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი საქორწინო და საოჯახო კოდექსის შესაბამისად, საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, მათ ჰქონდათ საერთო ქონების მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლებები. აქედან გამომდინარე, საცხოვრებელი სახლის გასხვისებისათვის საჭირო იყო ორივე მეუღლის ნების არსებობა.

"სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 39-ე მუხლის თანახმად, 1997 წლის 25 ნოემბრამდე პრივატიზებული ბინის გასხვისებისას გამოითხოვება პრივატიზაციის მომენტში ბინაზე უფლების მქონე ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში ნოტარიუსს ბინის გასხვისებისას ე. კ-ერის თანხმობა არ გამოუთხოვია, რაც ჩუქების ხელშეკრულებას ასევე კანონსაწინააღმდეგოს ხდიდა.

მოსარჩელები ჩუქების ხელშეკრულების ბათილობისადმი იურიდიულ ინტერესს იმით ასაბუთებდნენ, რომ ისინი წარმოადგენდნენ ე. კ-ერის მეხუთე რიგის მემკვიდრეებს: ლ. ა-ძე - ე. კ-ერის დედის ძმის შვილიშვილს, თ. ა-ძე - დედის ძმის შვილს, გ. ა-ძე - დედის ძმის შვილიშვილს. სარჩელის აღძვრის დროისათვის ე. კ-ერსა და მოსარჩელებს შორის ნათესაური ურთიერთობა დადგენილი იყო სასამართლო გადაწყვეტილებით. ა. მ-ოვსა და ე. კ-ერს შვილი არც თანაცხოვრების პერიოდში შეძენიათ და არც ცალ-ცალკე ჰყოლიათ.

მოსარჩელებმა ე. კ-ერის გარდაცვალების შემდგომ მიმართეს ნოტარიუსს სამკვიდრო ქონების მისაღებად, რაზეც უარი მიიღეს. აღნიშნულ დროს მათთვის ცნობილი გახდა, რომ ა. მ-ოვს მეუღლის (ე. კ-ერის) თანხმობის გარეშე თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, რომელიც პრივატიზების შედეგად მის სახელზე ირიცხებოდა, გაუჩუქებია თავის დისშვილ ლ. ი-ოვაზე.

მოპასუხე ლ. ი-ოვამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ბინის პრივატიზებაზე არსებობდა ე. კ-ერის თანხმობა, რომლითაც თავისი წილი საკუთრება უსასყიდლოდ დაუთმო მეუღლეს - ა. მ-ოვს. ამასთან, ე. კ-ერმა პრივატიზაციის შემდეგ მითითებულ ბინაში 12 წელი იცხოვრა და მთელი ამ დროის განმავლობაში არ გამოუხატავს არანაირი სურვილი, გამხდარიყო მისი მესაკუთრე. ე. კ-ერმა იცოდა სადავო ბინის გაჩუქების თაობაზე, უფრო მეტიც, აღნიშნული მისი სურვილიც იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. გ. და თ. ა-ძეების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე ბინის 1/2-ზე ბათილად იქნა ცნობილი ა. მ-ოვსა და ლ. ი-ოვას შორის 1992 წლის 29 ივნისს ნოტარიუს ლ. გ-იანის მიერ გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება; ლ. გ. და თ. ა-ძეები ცნობილ იქნენ თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე ლ. ი-ოვას საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის 1/2-ის თანამესაკუთრებად; ცვლილება შევიდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩანაწერებში და თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/2-ის თანამესაკუთრებად ლ. ი-ოვასთან ერთად ცნობილ იქნენ ლ. გ. და თ. ა-ძეები.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე სადავო ბინის პრივატიზაცია განხორციელდა 1992 წლის 1 ივნისს, ნოტარიუს ლ. გ-იანის მიერ დამოწმებული პრივატიზაციის ხელშეკრულებით (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი #40985);

პრივატიზაციის მომენტისათვის სადავო ბინაში ჩაწერილები იყვნენ: ე. კ-ერი -1936 წლიდან, ა. მ-ოვი -1991 წლიდან;

1992 წლის 28 ივნისს თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე ბინა ა. მ-ოვის მიერ გასხვისდა დისშვილზე - ლ. ი-ოვაზე ნოტარიუს ლ. გ-იანის მიერ დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე (რეესტრში რეგისტრაციის #4-612);

ა. მ-ოვი და ე. კ-ერი იყვნენ მეუღლეები;

სადავო ბინა წარმოადგენდა მეუღლეების - ა. მ-ოვისა და ე. კ-ერის თანასაკუთრებას;

სადავო ბინის სრულად ან მისი შესაბამისი წილის გასხვისებაზე (გაჩუქებაზე) ე. კ-ერის მიერ დადგენილი წესით თანხმობა არ გაცემულა;

ა. მ-ოვი გარდაიცვალა 2004 წლის 17 ივნისს;

ე. კ-ერი გარდაიცვალა 2004 წლის 13 ივლისს;

ლ. თ. და გ. ა-ძეები არიან ე. კ-ერის მეხუთე რიგის მემკვიდრეები, კერძოდ, ლ. ა-ძე არის ე. კ-ერის დედის ძმის შვილიშვილი, თ. ა-ძე - დედის ძმის შვილი, გ. ა-ძე - დედის ძმის შვილიშვილი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენდა მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინების) ნებაყოფლობით შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმატიული აქტი საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირავებელს ან მის ოჯახის წევრს არ აყენებდა პრივილეგიურულ მდგომარეობაში და საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებით სარგებლობდა ყველა ის პირი, რომელიც წარმოადგენდა ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს. ასეთ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები გამოთქვამდნენ ნებას, თავიანთი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მიზნით საკუთრებაში მიეღოთ საცხოვრებელი სახლი (ბინა), რომელიც მათ გადაეცემოდა ჰქონდათ სარგებლობაში. აღნიშნულს ადასტურებდა დასახელებული დადგენილების მე-5 მუხლის პირველი აბზაცი, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც არიან ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები.

ზემოთხსენებული ნორმების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ბინაზე საკუთრების უფლების ა. მ-ოვის სახელზე რეგისტრაციის ფაქტი არ ნიშნავდა ე. კ-ერის მიერ საკუთრების უფლებაზე უარის თქმას. ე. კ-ერის თანხმობა პრივატიზაციის განხორციელებაზე გულისხმობდა საკუთრების უფლების მოპოვებას ოჯახის ყველა წევრის სარგებლოდ. მოცემულ თანხმობასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მასში საუბარი იყო მხოლოდ ა. მ-ოვის სახელზე ბინის გადაფორმებაზე და არა იმაზე, რომ ე. კ-ერმა თავისი საკუთრების წილზე უარი განაცხადა, ამასთან, თანხმობა რაიმე კონკრეტულ თარიღზე მითითებას არ შეიცავდა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ა. მ-ოვის მიერ სადავო ფართის რეგისტრაციის ფაქტი არ გამორიცხავდა მისი ოჯახის წევრის - ე. კ-ერის სასარგებლოდ ამ უფლების შექმნის ფაქტს, რადგან მისი რეგისტრაციით ა. მ-ომ უზრუნველყო საკუთრების უფლება, რაც მან მოიპოვა ოჯახის ყველა წევრის, კერძოდ კი ე. კ-ერის სასარგებლოდ. ა. მ-ოვის მიერ სადავო ფართის პრივატიზაციით ე. კ-ერზე გავრცელდა საკუთრების უფლება (თანასაკუთრების უფლება) და მას შეეძლო, მოეთხოვა საკუთრების შექმნის ინსტიტუტთან დაკავშირებული მოქმედების განხორციელება. ამდენად, საჯარო რეესტრში მათი უფლების რეგისტრაცია ნიშნავდა თავიანთი უფლების (საკუთრების) უზრუნველყოფას საჯარო რეესტრის ინსტიტუტით. აღნიშნული საკითხის თავისებურების გათვალისწინებით, საკუთრების უფლების წარმოშობა არ შეიძლებოდა დაკავშირებოდა მხოლოდ საჯარო რეესტრის ინსტიტუტს. კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო, რომ ე. კ-ერმა მოიპოვა თავისი საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ ე. კ-ერის წილი პრივატიზებულ სადავო ბინაში 1/2-ით უნდა განსაზღვრულიყო.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოყენებულიყო სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) მოიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო თუ ქონების ნატურით გაყოფა შეუძლებელია, მაშინ - ამ ქონების ღირებულება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. კ-ერის უფლება, რომელიც მას წარმოეშვა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილებით, სამკვიდროში შედიოდა. შესაბამისად, მემკვიდრეებს გააჩნდათ ე. კ-ერის კუთვნილი, 1/2-ის მთხოვნის უფლება, რომელიც მოიცავდა ასევე წილის გამოყოფის უფლებასაც, რაზეც ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდებოდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების მეხუთე ნაწილზე, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან და სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. აღნიშნული ნორმების საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ბინაზე თანაბარი წილით საკუთრების უფლება

მოპოვებული ჰქონდათ ა. მ-ოვსა და ე. კ-ერს, შესაბამისად, ა. მ-ოვს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას უფლება არ ჰქონდა, საზიარო საგანი მთლიანად განეკარგა.

დასახელებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ი-ოვამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და აღნიშნულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ ჯეროვნად არ შეაფასა მოწმეთა ჩვენებები. მათ საფუძველზე ალბათობის მაღალი ხარისხით დასტურდებოდა, რომ, რამდენადაც ე. კ-ერსა და ა. მ-ოვს შვილი არ ჰყავდათ, მათ ოჯახში, ფაქტობრივად, შვილად მიღებული იყო ლ. ი-ოვა. ორივე მათგანს სურდა, რომ მათი ერთადერთი მემკვიდრე სწორედ ლ. ი-ოვა ყოფილიყო, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეებს - ლ. თ. და გ. ა-ძეებს ა. მ-ოვთან და ე. კ-ერთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

აპელანტი არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების განმარტებას. აღნიშნული დადგენილება ე. კ-ერს საკუთრების უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობას აძლევდა, რაც მან განახორციელა მთელი ბინის მეუღლის საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობით.

დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და განმარტა, რომ ე. კ-ერისათვის იმთავითვე იყო ცნობილი სადავო ჩუქების ხელშეკრულების შესახებ, რასაც მოწმეთა ჩვენებები ადასტურებდა. გარდა ამისა, ხანდაზმულობასთან მიმართებით აპელანტმა საგულისხმოდ მიიჩნია ისიც, რომ ე. კ-ერს აღნიშნული ფაქტი სადავოდ არასდროს გაუხდია. მოთხოვნა აღძრული იყო 2006 წელს, ე.ი. ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 წლის შემდეგ, მაშინ როდესაც, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინებით ლ. ი-ოვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და მიიჩნია, რომ ე. კ-ერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების მეხუთე მუხლით მოპოვებული ჰქონდა სადავო ბინის 1/2-ზე საკუთრების უფლება, იმ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ ბინის პრივატიზაციის მომენტისათვის სადავო ბინაში ე. კ-ერი ცხოვრობდა, რომელიც ამ ბინაში ჩაწერილი იყო 1936 წლიდან. ის გარემოება, რომ ე. კ-ერს თავისი უფლება არ დაურეგისტრირებია, არ წარმოადგენდა ამ უფლების გაქარწყლების საფუძველს, რადგან აღნიშნული უფლება პრივატიზაციის ხელშეკრულების დადებით, მისივე თანხმობით ბინის ა. მ-ოვის სახელზე გაფორმების მიუხედავად, ე. კ-ერის მიერ კანონის საფუძველზე იყო რეალიზებული.

ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე და განმარტა, რომ ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ევარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. თუკი პირმა თავისი დაუდევრობის, გულგრილობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის თაობაზე, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში კითხვა ამგვარად იყო დასმული: როდის გაიგო ე. კ-ერმა თავისი უფლების დარღვევის თაობაზე. ამასთან, რამდენადაც ხანდაზმულობით სარჩელზე უარის თქმის პოზიცია წამოყენებული იყო მოპასუხის მიერ, სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე ამ გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ მას უნდა დაკისრებოდა. მოპასუხე აღნიშნულის დადასტურებას შეეცადა მოწმეთა ჩვენებებით, რომელთა ერთობლიობაში შეფასებაც, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, არ იძლეოდა საკმარის ინფორმაციას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებასთან დაკავშირებით (როდის გახდა ცნობილი ე. კ-ერისათვის ჩუქების ხელშეკრულების დადების შესახებ). ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტმა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია, შესაბამისად, ვერ გააქარწყლა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება მისთვის ჩუქების ხელშეკრულების შესახებ შეტყობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა ჩუქების ხელშეკრულების ბათილობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ბინა წარმოადგენდა კანონის საფუძველზე წარმოშობილ საერთო საკუთრებას. სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული

ნორმის ანალიზი ცხადყოფდა, რომ საზიარო საგნის მოწილეს არ შეეძლო თანამესაკუთრის წილი ქონების განკარგვა მასთან შეთანხმების გარეშე. კონკრეტულ შემთხვევაში ა. მ-ოვმა თანამესაკუთრის ე. კ-ერის თანხმობის გარეშე უსასყიდლოდ გაასხვისა მთელი ქონება, რის გამოც სახეზე იყო მართლსაწინააღმდეგო განკარგვა, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, თუ იგი არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ი-ოვამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება, შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა ჩვენებები. მათი შინაარსის სრულყოფილად გაცნობა იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ე. კ-ერმა სადავო ჩუქების ხელშეკრულების თაობაზე იცოდა. უფრო მეტიც, მოწმეები ადასტურებდნენ არა მხოლოდ ჩუქების ცოდნის ფაქტს, არამედ იმასაც, რომ ლ. ი-ოვასათვის ბინის ჩუქება თავად ე. კ-ერის სურვილს წარმოადგენდა, რადგან მას კასატორი შვილივით უყვარდა. საგულისხმოა, რომ ე. კ-ერი ლ. ი-ოვასთან ერთად ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ სადავო სახლში წლების განმავლობაში ცხოვრობდა. შესაბამისად, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ტექნიკური ჩანაწერის ბიუროში სახლთმფლობელის მესაკუთრედ ლ. ი-ოვას რეგისტრაციის თაობაზე. ამდენად, ე. კ-ერის სიცოცხლეშივე გაშვებულ იქნა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან მას არ დაუყენებია სასარჩელო მოთხოვნა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. შესაბამისად, ხანდაზმული იყო მოსარჩელეთა მოთხოვნა, მით უფრო, რომ აღიძრა 2006 წელს, ე.ი. ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან 14 წლის შემდეგ.

კასატორის მითითებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ხუთი მოწმე ცალსახად ადასტურებდა, რომ ე. კ-ერმა იცოდა 1992 წლის 29 ივნისის ჩუქების ხელშეკრულების შესახებ და იწონებდა მას. გარდა ამისა, დამატებით, სამი მოწმე (ლ. ა-ბი, მ. ქ-ნი, ვ. ბ-ძე) მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ე. კ-ერი სიცოცხლის ბოლომდე კმაყოფილი იყო ჩუქებით, ვინაიდან დასაჩუქრებული (ლ. ი-ოვა), ფაქტობრივად, მისი შვილობილი იყო. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება მოსარჩელებს არ წარუდგენიათ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობასთან მიმართებით მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა. მოსარჩელები ვალდებული იყვნენ ემტკიცებინათ, რომ ე. კ-ერმა ჩუქების ხელშეკრულების თაობაზე ნამდვილად არ იცოდა, რასაც ადგილი არ ჰქონია. ისინი ასევე ვერ ამტკიცებდნენ, რომ მათ აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ 2005 წლის 12 იანვარს ნოტარიუსისგან შეიტყვეს და მანამდე არაფერი იცოდნენ. რამდენადაც ე. კ-ერმა სიცოცხლეშივე გაუშვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, მისი მემკვიდრეების მოთხოვნა თავისთავად ხანდაზმული იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია:

თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე სადავო საცხოვრებელ სახლში ე. კ-ერი ჩაწერილი იყო 1936 წლიდან, ხოლო ა. მ-ოვი -1991 წლიდან;

ე. კ-ერი და ა. მ-ოვი იყვნენ ცოლ-ქმარი. მათ შვილი არ ჰყოლიათ;

1992 წლის 1 ივნისს ა. მ-ოვმა თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე ბინის პრივატიზება მოახდინა თავის სახელზე ე. კ-ერის თანხმობით;

1992 წლის 29 ივნისს ა. მ-ოვმა დისშვილს -ლ. ი-ოვას აჩუქა აღნიშნული ბინა ხელშეკრულების საფუძველზე;

ა. მ-ოვი გარდაიცვალა 2004 წლის 17 ივნისს;

ე. კ-ერი გარდაიცვალა 2004 წლის 13 ივლისს;

ლ. თ. და გ. ა-ძეები არიან ე. კ-ერის მეხუთე რიგის მემკვიდრეები, კერძოდ, ლ. ა-ძე არის ე. კ-ერის დედის ძმის შვილიშვილი, თ. ა-ძე -დედის ძმის შვილი, გ. ა-ძე -დედის ძმის შვილიშვილი.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას პრივატიზებული სადავო ბინის თანამესაკუთრედ ე. კ-ერის ცნობის ნაწილში. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1

თებერვლის #107 დადგენილების პირველი პუნქტი, ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აზნაგი და სწორად დაასაბუთა, რომ მითითებული დადგენილების საფუძველზე საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ ის პირები, რომლებიც წარმოადგენდნენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს, ან მათი ოჯახის წევრებს. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილებით მინიჭებული უფლება, შესაბამისი წილის გათვალისწინებით, ვრცელდება დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, რომ ბინაზე საკუთრების უფლება მათივე თანხმობით შეიძლება აღირიცხოს ერთ-ერთ დამქირავებელზე. აღნიშნული დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აზნაგის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

ამდენად, სადავო ბინის მხოლოდ ა. მ-ოვის სახელზე პრივატიზაციის მიუხედავად, აღნიშნული ბინის თანამესაკუთრეს ე. კ-ერიც წარმოადგენდა, რომელიც ბინაში ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა პრივატიზების მომენტში, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი საკუთრების უფლება არ დაურეგისტრირებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ა. მ-ოვს შეეძლო მხოლოდ მისი თანასაკუთრების წილის და არა საერთო საკუთრების ბინის (საზიარო საგნის) სრულად განკარგვა. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად.

რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ხანდაზმულობა გამორიცხა იმ მოტივებით, რომ მოწმეთა ჩვენებები ე. კ-ერის მიერ ჩუქების ხელშეკრულების ცოდნის შესახებ ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლებოდა, ასევე, მოწმეები არ მიუთითებდნენ სადავო ხელშეკრულების შეტყობის რაიმე კონკრეტულ დროზე. თუ რატომ იყო მოწმეთა ჩვენებები იმდენად ზოგადი, რომ გამოირიცხებოდა მათი გაზიარება, სააპელაციო სასამართლოს კონკრეტულად არ დაუსაბუთებია, ხოლო რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებებში ე. კ-ერის მიერ ნაჩუქრობის ხელშეკრულების შეტყობის ზუსტი დროის მიუთითებლობას, აღნიშნული გარემოება, თავისთავად, ასევე არ გამორიცხავს ბინის განკარგვის ფაქტის ე. კ-ერის მიერ არცოდნას.

სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ კითხვა ამგვარად დასვა: როდის გახდა ცნობილი ე. კ-ერისათვის სადავო ნაჩუქრობის ხელშეკრულების დადების შესახებ, ხოლო მითითებული ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი მოპასუხეს დააკისრა. საკასაციო სასამართლო ამგვარად მტკიცების საგნის განსაზღვრას და მტკიცების ტვირთის განაწილებას არასწორად მიიჩნევს.

როდესაც საუბარია იმაზე, იცოდა თუ არა ე. კ-ერმა სადავო ნაჩუქრობის თაობაზე, უდავოდ გასათვალისწინებელია ა. მ-ოვსა და ე. კ-ერს შორის არსებული ურთიერთობა. საყურადღებოა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე შეეხება ცოლ-ქმარს, რომლებსაც შვილი არ ჰყოლიათ და, მიუხედავად ამისა, ქორწინებაში იმყოფებოდნენ 59 წლის განმავლობაში, ხოლო სადავო ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან ერთად ცხოვრობდნენ კიდევ 12 წელი. ამასთან, ისინი წარმოადგენდნენ ცნობილ მეცნიერებს და განსწავლულ ადამიანებს. გარდა ამისა, სადავო ბინა წარმოადგენდა ე. კ-ერის დედისეულ ქონებას. ბინის პრივატიზების დროს ე. კ-ერი იყო უკვე ასაკოვანი, 72 წლის, რა ასაკშიც, კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრეების არყოლის პირობებში, ჩვეულებრივ, ადამიანი ზრუნავს ოჯახის მემკვიდრეობის შემდგომ ბედზე. ე. კ-ერი გარდაიცვალა ა. მ-ოვის გარდაცვალების შემდეგ, 84 წლის ასაკში. მას ოჯახის ქონების შემდგომ ბედზე მთელი ამ ხნის განმავლობაში - არც მეუღლის გარდაცვალებამდე და არც მისი გარდაცვალების შემდგომ არ უზრუნია, საქმიდან გამომდინარე, მას არც ანდერძი შეუდგენია და არც რაიმე მოქმედებით გამოუხატავს სურვილი, რომ ქონების მემკვიდრის საკითხი გადაეწყვიტა.

ჩვეულებრივ, ნორმალური ურთიერთობის პირობებში, მეუღლეები ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, როგორცაა მათი მომავალი სამკვიდრო ქონების ბედის საკითხი, იღებენ ურთიერთშეთანხმებით და აღნიშნულის თაობაზე ორივე მეუღლე საქმის კურსშია, ხოლო სხვაგვარი შემთხვევა წარმოადგენს გამონაკლისს. თუკი ე. კ-ერმა არ იცოდა მეუღლის მიერ ოჯახის ბინის დისშვილისთვის დატოვების გადაწყვეტილების მიღების შესახებ, აღნიშნული ნიშნავს, რომ მეუღლემ მას ეს გარემოება დაუმალა და მისგან ფარულად განკარგა საერთო ქონება. ამდენად, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს ჩვეულებრივისაგან განსხვავებული სიტუაცია და უნდა არსებობდეს მოტივი, რის გამოც ე. კ-ერს არ უნდა სცოდნოდა მეუღლის მიერ ქონების მემკვიდრის საკითხის გადაწყვეტის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე მტკიცების საგანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ე. კ-ერმა არ იცოდა ნაჩუქრობის შესახებ და ამის თაობაზე არც უნდა სცოდნოდა,

რისი მტკიცების ტვირთიც ეკისრება მოსარჩელეს. ამ შემთხვევაში მოსარჩელები, ფაქტობრივად, სადავოდ ხდიან ცოლ-ქმარს შორის ჩვეულებრივი გადაწყვეტილებების მიღებისაგან განსხვავებული სიტუაციის არსებობას, რომ მეუღლემ, მიუხედავად ექვსი ათწლეულის განმავლობაში ერთობლივი თანაცხოვრებისა, არ იცოდა მეორე მეუღლის მიერ ოჯახის მომავალი სამკვიდრო მასის ბედის გადაწყვეტის შესახებ. აღნიშნული გარემოება, ანუ ასეთი განსხვავებული ვითარების არსებობაც მათვე უნდა დაამტკიცონ. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, იყო თუ არა ე. კ-ერსა და ა. მ-ოვს შორის ურთიერთობა ჩვეულებრივისაგან განსხვავებული, რის გამოც ე. კ-ერს არ უნდა სცოდნოდა მეუღლის მიერ სადავო ბინის განკარგვის ფაქტი, არსებობდა თუ არა რაიმე მოტივი, რაც ა. მ-ოვის მიერ ბინის გასახვისებლად მეუღლისაგან ფარულად მოქმედებას დაასაბუთებდა. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ასევე ხელახლა უნდა შემოწმოს მოწმეთა ჩვენებები და გამოარკვიოს, თუ დგინდება, რომ ნაჩუქრობის შესახებ ე. კ-ერმა არ იცოდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

#ას-873-1498-03

31 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგუშვილი (თავმჯდომარე)

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 29 აგვისტოს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ი. გ-მემ მოპასუხეების - შპს "ბლექ ენდ ვიჩისა" და სს "ეი-ი-ეს თელასის" (ამჟამად სს "თელასი") მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისაგან სოლიდარულად 25 137.26 ლარის ანაზღაურება.

მოგვიანებით წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელში ი. გ-მემ მოპასუხედ მხოლოდ სს "ეი-ი-ეს თელასი" დაასახელა და დამატებით მოითხოვა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით 91 317 აშშ დოლარის დაკისრება.

რაიონული სასამართლოს მთავარ სხდომაზე ი. გ-მემ სარჩელი შეამცირა და მიუღებელი შემოსავლის სახით მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობა საბოლოოდ 56 501 ლარით განსაზღვრა.

მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძველები შემდეგში მდგომარეობს:

1999 წლის ნოემბრიდან 2000 წლის აგვისტოს თვემდე ი. გ-მემ შეასრულა სს "თელასის" ცალკეული დაკვეთებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ, აწარმოა 60 000 ცალი სანათი სადარბაზოების განათებისათვის. აღნიშნულ ნაკეთობაზე მოსარჩელეს 2000 წლის 19 მაისიდან მიღებული ჰქონდა პატენტი №699, რომლის ტექნიკური გადაწყვეტა ითვლებოდა ნაკეთობის ძირითად არსად და მის გარეშე ნაკეთობა ვერ იარსებებდა. ამ დროის განმავლობაში ი. გ-მეს ნაკეთობის მიწოდების გრაფიკი არ დაურღვევია, ხოლო მოპასუხეს მის მიერ რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს.

მოსარჩელის მოთხოვნები გამომდინარეობდა სს "ეი-ი-ეს თელასთან" 2000 წლის 17 ივლისს დადებული ხელშეკრულებიდან. მითითებული ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მასალა უნდა შეეძინა ი. გ-მეს, თავის მხრივ, სს "ეი-ი-ეს თელასი" ვალდებული

იყო, მიეღო სათანადო ზომები, რომ ხელი შეეშალა მეორე მხარის კერძო ინფორმაციის გამჟღავნებაზე მესამე მხარისათვის (ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი). აქვე განმარტებული იყო, რომ კერძო ინფორმაცია გულისხმობდა სამუშაოსთან დაკავშირებულ მთელ ტექნიკურ და ბიზნეს-ინფორმაციას, რომელშიც აუცილებლად მოიაზრებოდა მისაწოდებელ პროდუქტზე მიღებულ პატენტი.

სადავო შემთხვევაში სს "თელასმა" არათუ ხელი შეუშალა ზემომითითებული ინფორმაციის მე-სამე მხარისათვის გადაცემას, არამედ თავად გაამჟღავნა ინფორმაცია ი. გ-ძის პატენტის თაობაზე. ინფორმაციის მესამე პირზე გადაცემა იმაში გამოიხატა, რომ 2000 წლის 28 აგვისტოს მოპასუხემ ი. გ-ძის ნაცვლად ხელშეკრულება იმავე სახის მოდელზე გააფორმა შპს "ჰოროზონტთან". დასახელებული საზოგადოების საქმიანობის ძირითად საგანს პლასტმასის ნაკეთობათა წარმოება და რელიზაცია წარმოადგენდა. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო ზ. ბ-ელი. ამ უკანასკნელმა 2007 წლის 7 აგვისტოს მიიღო პატენტი სამრეწველო ნიმუშზე, რომელიც წარმოადგენდა ი. გ-ძის ფორმაშეცვლილ სანათს. ამასთან, იგი იყო მხოლოდ ტექნიკური ნიმუშის იერსახე და არ შეიცავდა ამ ნიმუშის ტექნიკურ გადაწყვეტას.

რამდენადაც მოპასუხემ ი. გ-ძის საპატენტო უფლებაზე ინფორმაცია ზ. ბ-ელს მიაწოდა, 2000 წლის 28 აგვისტოს შემდგომ მოსარჩელესთან კონტრაქტი აღარ გააგრძელა და ხელშეკრულება შპს "ჰოროზონტთან" გააფორმა, მოსარჩელეს მიადგა ზიანი, როგორც ფაქტობრივად, ისე მიუღებელი შემოსავლის სახით. პირველ შემთხვევაში მოიაზრებოდა მის მიერ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების (წნეხილები და სხვა მოწყობილობები) შესაძენად გაწეული ხარჯები. სარჩელზე თანდართული შპს "პროგრესის" 2000 წლის 23 აგვისტოს ხარჯთაღრიცხვით დგინდებოდა, რომ აღნიშნული ხარჯების ოდენობა მთლიანობაში 25 137.26 ლარს შეადგენდა. რაც შეეხებოდა მიუღებელ შემოსავალს, დასახელებული მოთხოვნა მოიცავდა 61 250 ცალი სანათის საფასურის ღირებულებას, რაც საბოლოოდ 56 501 ლარით განისაზღვრა.

მოპასუხე სს "თელასმა" სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშვა 2000 წლის 17 ივლისს დადებული ხელშეკრულებიდან. ხელშეკრულება მხარეებმა გააფორმეს თავისუფალი პრინციპის საფუძველზე, რომლის მიხედვით ი. გ-ძემ მოპასუხეს გაუწია ცალკეული დაკვეთებით გათვალისწინებული მომსახურება. მოსარჩელე სამუშაოებს გარკვეული რაოდენობის სანათებზე ასრულებდა კონკრეტული დაკვეთების საფუძველზე. ყოველი დაკვეთა დამოუკიდებელი იყო სხვა დაკვეთისაგან (ხელშეკრულების მესამე მუხლი), რის შესახებაც მოსარჩელე ინფორმირებული იყო. კერძოდ, მან იცოდა, რომ კონკრეტული დაკვეთის შესრულების შემდეგ მასთან ურთიერთობა შეიძლებოდა აღარ გაგრძელებულიყო. ასეთი ვალდებულება სს "თელასს" არც ხელშეკრულებით და არც კანონით არ ჰქონია დაკისრებული. მოპასუხეს შეეძლო თავისუფლად აერჩია სხვა კონტრაქტორი ან საერთოდ აღარ ეწარმოებინა სანათები. იმ გარემოებას, რომ კონტრაქტი არ შეწყვეტილა, არც მოპასუხე უარყოფდა. იგი სარჩელში აცხადებდა, რომ ხელშეკრულება მოპასუხეს მასთან არ გაუგრძელებია 2000 წლის აგვისტოს შემდგომ.

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხემ განმარტა, რომ დასახელებული მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმებისას ყურადღება უნდა მიქცეოდა იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მოსარჩელისათვის მისი მიღება. თავის მხრივ შემოსავლის მიღების მოსალოდნელობა იმით უნდა განსაზღვრულიყო, აპირებდა თუ არა მოპასუხე ახალი დაკვეთის მიცემას. სადავო შემთხვევა ასეთი დასკვნის საფუძველს არ იძლეოდა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ი. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, სს "ეი-ი-ეს თელასს" ი. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 25 137 ლარის, აგრეთვე, მიუღებელი შემოსავლის -56 501 ლარის, მთლიანობაში -81 638 ლარის გადახდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინებულ მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სს "ეი-ი-ეს თელასს" ი. გ-ძის, როგორც კონტრაქტორისათვის მიცემული ჰქონდა ცალკეული დაკვეთები განათების სისტემის დამზადებაზე, რომელთა მიხედვით ი. გ-ძეს უნდა დაემზადებინა 61 250 ცალი სანათი სადარბაზოს განათებისათვის. თითოეული სანათის ღირებულება შეადგენდა 1.16 აშშ დოლარს, რაც სარჩელის აღძვრის დროისათვის ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 2.1 ლარს. აღნიშნულ საყოფაცხოვრებო სანათზე სათავსოებისათვის ი. გ-ძეს მიღებული ჰქონდა საპატენტო უფლება;

კონტრაქტორსა და სს "ეი-ი-ეს თელასს" შორის დადებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, კონტრაქტორს უნდა უზრუნველყო განაცხადში ჩამოთვლილი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო პერსონალის, აღჭურვილობისა და სხვა რესურსების არსებობა;

ზემოაღნიშნული სამუშაოს გარდა დამატებით 25 000 ცალი სანათის შესასრულებლად ი. გ-ძემ 2000 წლის 23 აგვისტოს შპს "პროგრესი-90-საგან" შეიძინა სხვადასხვა სახის მასალა, რომლის ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 19 986.36 ლარი. მითითებული სამუშაოს შესასრულებლად მოპასუხემ

ავანსის სახით გასცა 7000 აშშ დოლარი, რაც მოგვიანებით უკან დაიბრუნა. კონტრაქტორის მიერ შეძენილი მასალა ფაქტობრივად გახდა უვარგისი და მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ჯართის სახით;

სს "ეი-ი-ეს თელასმა" 2000 წლის 28 აგვისტოს ხელშეკრულება გააფორმა შპს "ჰორიზონტთან". ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულების განხორციელების მიზნით სს "ეი-ი-ეს თელასმა" მას გადაურიცხა 11 317 აშშ დოლარი იმავე სახის მოდელზე, რაც დაპატენტებული ჰქონდა ი. გ-ძეს და იგი იყო პატენტმფლობელი. ამასთან, ზ. ბ-ელი აღნიშნულ მოდელზე პატენტმფლობელი გახდა 2000 წლის 8 ივლისიდან, მას შემდეგ როდესაც მოსარჩელე უკვე იყო ამ მოდელის მფლობელი.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედებით მოპასუხემ დაარღვია მასა და ი. გ-ძეს შორის დადებული ხელშეკრულების მე-10 მუხლის მოთხოვნები - კერძო ინფორმაცია მიაწოდა მესამე პირს, რამდენადაც ხელშეკრულების მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე სამუშაო და მისაწოდებელი პროდუქტი წარმოადგენდა სს "ეი-ი-ეს თელასის" კერძო ინფორმაციას.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სს "ეი-ი-ეს თელასის" მიერ დაირღვა ხელშეკრულების ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, რამაც ასახვა ჰპოვა შპს "ჰორიზონტთან" დადებულ ხელშეკრულებაში, რის შედეგადაც მოსარჩელესთან ფაქტობრივად ხელშეკრულება აღარ გაგრძელებულა. იმ შემთხვევაში, თუკი მოპასუხის მიერ შეირჩეოდა სხვა კონტრაქტორი (მოცემულ შემთხვევაში - შპს "ჰორიზონტი"), მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე მოპასუხეს არ უნდა შეეღობა ი. გ-ძის უფლებები. ხელშეკრულების მე-16 მუხლის თანახმად, სს "ეი-ი-ეს თელასი" ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობით შეატყობინოს კონტრაქტორს, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია, მოკლე ვადაში შეწყვიტოს მუშაობა. მოსარჩელესთან კონტრაქტის არსებობის პირობებში მოპასუხის მიერ შპს "ჰორიზონტისათვის" კერძო ინფორმაციის მიწოდებით დაირღვა ხელშეკრულების ზემოაღნიშნული პირობები. იმ შემთხვევაში, თუკი კონტრაქტორი ხელშეკრულებას დაარღვევდა, სს "ეი-ი-ეს თელასს" შეეძლო გამოეყენებინა ხელშეკრულების მე-16 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება - გაეუქმებინა მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულება, რაც არ განუხორციელებია.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მოქმედებით ხელყოფილ იქნა მოსარჩელის ინტერესი და სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იგი ვალდებული იყო, მისთვის მიყენებული ზიანი აენახლაურებინა, რაც შეადგენდა 25 137 ლარს.

გარდა ამისა, სასამართლოს მითითებით, მოპასუხის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შედეგად მოსარჩელემ განიცადა ზიანი არა მარტო ფაქტობრივად, არამედ მიუღებელი შემოსავლის სახითაც, რაც კონკრეტულ შემთხვევაში შეადგენდა 56 501 ლარს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "ეი-ი-ეს თელასმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

რაიონულმა სასამართლომ არასწორად განმარტა ხელშეკრულების მე-10 მუხლი, რომელიც არანაირად არ ვრცელდებოდა სანათზე. ი. გ-ძემ, როგორც გამყიდველმა, მოპასუხეს შესთავაზა თავისი მზა პროდუქტი და იგი შესყიდულ იქნა დაკვეთების საფუძველზე. შესაბამისად, მხარეთა შორის კერძო ინფორმაციის გადაცემას ადგილი არ ჰქონია. მოგვიანებით გამოჩნდა მეორე მომწოდებელი, რომლის პროდუქტიც მოპასუხისათვის უფრო მისაღები აღმოჩნდა და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება. საპატენტო უფლებების მითვისების შემთხვევაში პასუხისმგებლობა მას უნდა დაკისრებოდა, ვინც აღნიშნული უფლებები მითვისა.

რაც შეეხებოდა მიუღებელ შემოსავალს, მოცემულ შემთხვევაში შემოსავლის მიღება იმაზე იყო დამოკიდებული, აპირებდა თუ არა სს "ეი-ი-ეს თელასი" ახალი დაკვეთის მომზადებას. ყოველი დაკვეთა სხვა დაკვეთისაგან დამოუკიდებელი იყო. ახალი დაკვეთის მომზადების ვალდებულება აპელანტს არ ჰქონდა დაკისრებული და ამდენად, მოპასუხე ვალდებულებას ვერ შეასრულებდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2003 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სს "ეი-ი-ეს თელასის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ ი. გ-ძესა და სს "ეი-ი-ეს თელასს" შორის 2000 წლის 17 ივლისს დაიდო ხელშეკრულება მომსახურების შესახებ, რომლის მიხედვით მოსარჩელე მოპასუხის შეკვეთების შესაბამისად ამზადებდა სადარბაზოს სანათებს. აღნიშნულ სანათზე მას გააჩნდა შესაბამისი საპატენტო უფლება. მხარეთა შორის ურთიერთობა გრძელდებოდა 2000 წლის 28 აგვისტომდე. მოსარჩელის მიერ შეკვეთების შესრულების შემდეგ კონტრაქტი მათ შორის აღარ განახლებულა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მოპასუხემ 2000 წლის 28 აგვისტოს ხელშეკრულება გააფორმა შპს "ჰორიზონტთან", მას გადაურიცხა 11 317 აშშ დოლარი იმავე სახის მოდელზე, რაც დაპატენტებული ჰქონდა მოსარჩელეს, ხოლო ზ. ბ-ელი იმავე მოდელზე პატენტფლობელი გახდა 2000 წლის 8 ივლისს. აღნიშნული ქმედებით, სასამართლოს აზრით, მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების მე-10 მუხლის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხემ 2000 წლის ივლისში ავანსის -7000 ლარის გადარიცხვით ივალდებულა მასთან ხელშეკრულების გაგრძელება, რაც არ შეასრულა და ამის გამო უნდა დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის -25 137 ლარის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ სამუშაოები მოსარჩელის მიერ სრულდებოდა ცალკეული დაკვეთების მიხედვით და თანხაც შესაბამისად გადაიხდებოდა. ამასთან, მოსარჩელის მიერ მითითებული 7000 ლარი ავანსის სახით გადახდილი იყო მხარეთა შორის არსებული კონტრაქტის მოქმედების პერიოდში -2000 წლის 18 აპრილს, იგი ეხებოდა კონკრეტულ დაკვეთას და არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო სამომავლოდ ახალი კონტრაქტის დადების პირობად.

სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა მოდავე მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში კერძო ინფორმაციასა და მისი მესამე მხარისათვის გამჟღავნებაზე ხელის შეშლის ვალდებულებაზე დანაწესის არსებობა (ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი), თუმცა ყურადღება გაამახვილა ამავე მუხლში მოცემული კერძო ინფორმაციის ცნების განმარტებაზე, რომლის თანახმად, კერძო ინფორმაცია გულისხმობს სამუშაოსთან დაკავშირებულ მთელ ტექნიკურ და ბიზნეს-ინფორმაციას, რომელსაც სს "ეი-ი-ეს თელასი" მიაწოდებს კონტრაქტორს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელიც ერთ-ერთი მხარის მიერ მეორისათვის მიწოდებული იქნება მატერიალური ფორმით და რომელზეც აღნიშნული იქნება: "შეზღუდული გავრცელების", "კონფიდენციალური", "კერძო" და ა. შ., ანდა რომელიმე მხარის მიერ მეორისათვის მიწოდებული იქნება არამატერიალური ფორმით, მასთან ერთად მიღებული იქნება შეტყობინება მისი კერძო ხასიათის შესახებ და მიწოდებიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში მიმწოდებელი მხარე მიმღებ მხარეს წერილობითი ფორმით დაუდასტურებს ამ ინფორმაციის კერძო ხასიათს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ი. გ-მის უფლება პატენტზე მხარეთა მიერ არ ყოფილა აღიარებული კერძო ინფორმაციად ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დაცვით, თუმცა ასეთად რომც აღიარებულიყო, მისი მესამე მხარისათვის გამჟღავნება არ დადასტურებულა.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად არ მიიჩნია მოსარჩელის არგუმენტი, რომ ზ. ბ-ელმა დააპატენტა ფორმაშეცვლილი მისი ნაკეთობა და მიიღო პატენტი "სამრეწველო ნიმუშზე", რასაც ხელი შეუწყო მოპასუხის მოქმედებამ. საპატენტო უფლების შელახვა ინტელექტუალური სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა, მასზე ი. გ-მეს სათანადო წესით არ უდავია და ამ უფლების შელახვა არ დადასტურებულა. ამასთან, ის გარემოება, რომ სს "ეი-ი-ეს თელასმა" ხელშეკრულება დადო შპს "ჰორიზონტთან" სხვა ნიმუშის სანათის დამზადებასა და მიწოდებაზე, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას არ წარმოადგენდა, რადგან მას ამგვარი ვალდებულება მხარის წინაშე არ უკისრია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევა არ დასტურდებოდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმის განხილვაში მონაწილე ხუთი მოწმის მიერ მიცემული განმარტება, რომლითაც დასტურდება, რომ სს "ეი-ი-ეს თელასმა" ი. გ-მესთან დადებული ხელშეკრულების, აგრეთვე "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევით სხვას გადასცა სასარგებლო მოდელზე ი. გ-მის მიერ დაპატენტებული ნაწარმოების ესკიზები და რეპროდუქციისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მოწმე ნ. ჭ-უას მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ სს "ეი-ი-ეს თელასმა" თავდაპირველად მას გადასცა ი. გ-მის მიერ დაპატენტებული ინფორმაცია, თუმცა ნ. ჭ-უამ კოლეგიალობის გამო უარყო ამგვარი კანონსაწინააღმდეგო შეთავაზება. ამის შემდგომ სს "ეი-ი-ეს თელასი" შეუთანხმდა ზ. ბ-ელს, გადასცა მას ნაკეთობის დამზადებისათვის ნიმუშები და ყველა სხვა აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის, ნაკეთობის შესყიდვის ფასი), ხოლო ზ. ბ-ელმა შეუვცალა ფორმა ნაკეთობას და დააპატენტა სამრეწველო ნიმუშის სახით.

სასამართლომ არ იმსჯელა საქმეში არსებულ, კვალიფიციურ სპეციალისტთა ახსნა-განმარტებებზე, რომლითაც დასტურდება, რომ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაირღვა ი. გ-მის საპატენტო უფლებები.

სასამართლომ არასწორად განმარტა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, არ გაითვალისწინა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ი. გ-მემ კეთილსინდისიერად შეასრულა და 2000 წლის ივლისში სს "ეი-ი-ეს თელასმა" 7000 აშშ დოლარის ავანსის სახით გადარიცხვით დაადასტურა ხელშეკრულების გაგრძელება იმავე პირობებით, რაც უკვე არსებობდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. ი. გ-მისათვის ავანსის გამოყოფა ადასტურებს, რომ მას უნდა მოემზადებინა წარმოების აღჭურვილობა და შეეძინა მასალების ნაწილი მთლიანი მოცულობის მეორე ნახევრისათვის.

სასამართლომ არ გამოიყენა "სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონი, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმპერატიული ნორმები მტკიცებულებათა შეკრებისა და შეფასების შესახებ, ამასთან, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის გამოყენებული ნორმები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას ექვემდებარება.

უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას თავდაპირველად საკასაციო საჩივრის წარმოება შეჩერდა ი. გ-მის მიერ "საქპატენტისა" და ზ. ბ-ელის მიმართ, ზიანის ანაზღაურებისა და გაცემული პატენტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული საქმის გადაწყვეტამდე. მას შემდგომ, რაც დასახელებულ საქმეზე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, საქართველოს უზენაესმა სასამართლოს 2004 წლის 8 ივლისის განჩინებით ი. გ-მის საკასაციო საჩივრის განხილვა განაახლა.

2007 წლის 27 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ი. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა საკასაციო საჩივრის წარმოების შეჩერება ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის მიერ 2006 წლის 14 ივლისის დადგენილებით აღძრული სისხლის სამართლის #0205140 საქმის -ი. გ-მის მიერ შექმნილი სასარგებლო მოდელები "უ-669" სანათზე გაცემული საავტორო უფლების მითვისების ფაქტზე -გამომიების დამთავრებამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებით შეჩერდა საკასაციო საჩივრის წარმოება ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის მიერ 2006 წლის 14 ივლისის დადგენილებით აღძრული სისხლის სამართლის #0205140 საქმის -ი. გ-მის მიერ შექმნილი სასარგებლო მოდელები "უ-669" სანათზე გაცემული საავტორო უფლების მითვისების ფაქტზე -დამთავრებამდე.

2009 წლის 14 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ი. გ-მემ (წარმომადგენელი ა. ვ-შვილი), რომელმაც მოითხოვა საქმეზე წარმოების განახლება იმ საფუძველზე, რომ ი. გ-მის მიერ შექმნილი სასარგებლო მოდელები "უ-669" სანათზე გაცემული საავტორო უფლების მითვისების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულია დადგენილება, რომლითაც სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით ი. გ-მის (წარმომადგენელი ა. ვ-შვილი) განცხადება დაკმაყოფილდა და ი. გ-მის საკასაციო საჩივარზე განახლდა წარმოება.

2009 წლის 16 თებერვალს ი. გ-მემ საკასაციო სასამართლოში ახსნა-განმარტება წარმოადგინა. მისი მითითებით, ზ. ბ-ელის მიმართ წარმოებული გამოძიების სტადიაზე დადგინდა ის გარემოება, რომ ხელშეკრულება მხარემ სს "თელასმა" გაამხილა მისი გამოგონება. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელმა დაავალა ზ. ბ-ელს ანალოგიური დანიშნულების და ფუნქციონალურად დაბალი ხარისხის პროდუქციის წარმოება. აღნიშნულით იკვეთება სს "თელასის" არაკეთილსინდისიერება და ბრალეულობა მის მიმართ. სს "თელასის" 2000 წლის აგვისტოს თვეში ი. გ-მესთან უნდა დაედო მორიგი ხელშეკრულება, რომლის განხორციელების პირობებშიც იგი მიიღებდა 56 000 ლარის ოდენობით შემოსავალს. მოცემულ შემთხვევაში ამ შემოსავლის მიუღებლობა სწორედ სს "თელასის" არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებიდან გამომდინარეობდა. შესაბამისად, კასატორი ითხოვს სს "თელასისაგან" ზიანის სახით 25137 ლარის, ხოლო მიუღებელი შემოსავლის სახით 56000 ლარის ანაზღაურებას, რასაც უნდა გამოაკლდეს გამოძიების სტადიაზე ზ. ბ-ელის მიერ კასატორისათვის გადახდილი თანხა -15000 ლარი. საბოლოოდ, მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობა 66 137 ლარს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 14 ივლისის

გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული 2003 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მოცემულ საქმეზე წარმოება ორჯერ შეჩერდა. პირველ შემთხვევაში წარმოება შეჩერდა ი. გ-ძის მიერ "საქპატენტისა" და ზ. ბ-ელის მიმართ ზიანის ანაზღაურებისა და გაცემული პატენტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული საქმის გადაწყვეტამდე. საბოლოოდ, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი "საქპატენტის" მიერ ზ. ბ-ელზე გაცემული პატენტი D116 "პლაფონი" და ზ. ბ-ელს დაეკისრა ი. გ-ძისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დასახელებული გადაწყვეტილების თანახმად, ზ. ბ-ელის სამრეწველო ნიმუშის D116-ის ტექნიკური გადაწყვეტილება (ბუდე და წვირები, ასევე სტანდარტული ელ. სადინების შემაერთებელი მოწყობილობა) უცვლელად გადატანილია ი. გ-ძის მიერ შემუშავებული U699 სასარგებლო მოდელიდან ანუ დადგინდა, რომ ზ. ბ-ელის მხრიდან ადგილი ჰქონდა ი. გ-ძის მიერ შემუშავებული U699 სასარგებლო მოდელის გამოყენებას. მეორე შემთხვევაში საკასაციო საჩივარზე წარმოება შეჩერდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის მიერ 2006 წლის 14 ივლისის დადგენილებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის -ი. გ-ძის მიერ შექმნილი სასარგებლო მოდელ U699 სანათზე გაცემული საავტორო უფლების მითვისების ფაქტზე -დამთავრებამდე. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე 2008 წლის 5 დეკემბერს მიღებულ იქნა დადგენილება წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. წინასწარი გამოძიებით დადგინდა რიგი გარემოებები, რომელთა შორის მოცემულ საქმესთან მიმართებაში საგულისხმოა შემდეგი: შპს "ბლექ ენდ ვიჩის" წარმომადგენელმა 2000 წლის მაისის დასაწყისში ზ. ბ-ელს იმ მიზნით, რომ შემდგომში ი. გ-ძესთან სანათების მიწოდებაზე შეეწყვიტათ ხელშეკრულება, წარუდგინა ამ უკანასკნელის მიერ დამზადებული U699 სანათის სასარგებლო მოდელი, შესთავაზა ანალოგიური ტიპის სანათების დამზადება და დაჰპირდა მასთან ხელშეკრულების გაფორმებას; ზ. ბ-ელი დაეთანხმა შეთავაზებულ პირობებს და შპს "ჰორიზონტის" U699 სანათის მიხედვით დაამზადა ანალოგიური ტიპის სანათი; შპს "ბლექ ენდ ვიჩის" წარმომადგენელმა მოსთხოვა ზ. ბ-ელს ნაკეთობის სხვა სახელით დაპატენტება, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა; ზ. ბ-ელმა გამოიყენა ი. გ-ძის მიერ დაპატენტებული სასარგებლო მოდელი U699-ის არსებითი ნიშნებით დამზადებული ნაკეთობა წვირები და ნათურის ბუდე, რომელიც ყოველგვარი სახეცვლილების გარეშე გადაიტანა მის მიერ დამზადებულ სამრეწველო ნიმუშ D116-ში; აღნიშნული სამრეწველო ნიმუშები ზ. ბ-ელის მიერ იქნა დაპატენტებული "საქპატენტში" 2000 წლის 7 აგვისტოს.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 5 დეკემბრის ზემოაღნიშნული დადგენილებით დადგენილია ახალი გარემოებები, რაც, მათი შეფასების გარეშე დღეის მდგომარეობით შეუძლებელს ხდის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, მითითებული ახალი გარემოებები, თავის მხრივ, წარმოშობს საქმეზე შესაბამისი სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის აუცილებლობასაც, რის გამოც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაადგინოს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტისა და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობის გამოსარკვევად, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, საქმეზე აუცილებელია დადგინდეს ი. გ-ძის საპატენტო უფლების ზ. ბ-ელისათვის გადაცემაში სს "თელასის" ბრალეულობა. როგორც უკვე აღინიშნა, წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ ი. გ-ძის მიერ დამზადებული U699 სანათის სასარგებლო მოდელი ზ. ბ-ელს გადასცა "ბლექ ენდ ვიჩის" წარმომადგენელმა. საყურადღებოა, რომ, საქმის მასალების მიხედვით, "ბლექ ენდ ვიჩის" წარმომადგენს 2000 წლის 17 ივლისის ხელშეკრულებაზე ხელმომწერ სუბიექტს, რის გამოც, ამ უკანასკნელის მიერ ზ. ბ-ელისათვის სასარგებლო მოდელის გადაცემაში სს "თელასის" ბრალეულობის არსებობის, ამ ფაქტსა და ი. გ-ძესთან სს "თელასის" მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის გაწყვეტას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დასადგენად "ბლექ ენდ ვიჩის" ადგილი მოცემულ კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში დასადგენია. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობის პირობებში შეუძლებელია საქმეზე სს "თელასის" ბრალეულობის საკითხთან მიმართებით სწორი დასკვნის გამოტანა.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ 2000 წლის 17 ივლისის ხელშეკრულების (რომელსაც ი. გ-მე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას აფუძნებს) მხარეებს წარმოადგენენ სს "ეი-ი-ეს თელასი" და "გიპო". აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ი. გ-მე ხელს აწერს, როგორც "გიპოს" კონტრაქტორი. სს "ეი-ი-ეს თელასის" შეკვეთებზე შედგენილ ცალკეულ განაცხადებშიც მიმწოდებლად ფიგურირებს "გიპო", რომელსაც წარმოადგენს ი. გ-მე. ასეთ ვითარებაში ზიანის ანაზღაურების შესახებ ი. გ-მის მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრისას ასევე აუცილებელია მოსარჩელესა და "გიპოს" შორის არსებული ურთიერთობის დადგენა, კერძოდ, იმის გარკვევა, სადავო შემთხვევაში წარმოადგენს თუ არა ი. გ-მე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ სუბიექტს, აქვს თუ არა მას "გიპოს" სახელით სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს მოცემულ საკითხზე რაიმე მსჯელობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემომითითებული გარემოებების გარკვევასთან ერთად სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თითოეული მხარის მიერ თავისი წილი მტკიცების ტვირთის გაწევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქნება გაწეული ი. გ-მის ან სს "თელასის" მიერ მათი წილი მტკიცების ტვირთი, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა დასაშვებობა

განჩინება

#ას-792-1007-08

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 13 იანვარს, შპს „საქართველოს რკინიგზამ“ განცხადებით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს ფირმა „ჩელენ ენერჯის“ მიმართ და მოითხოვა გადახდის ბრძანების გამოცემა და „ჩელენ ენერჯისათვის“ შპს „საქართველოს რკინიგზის“ სასარგებლოდ 248 806 ლარისა და 58 თეთრის, ასევე სახელმწიფო ბაჟის -3642 ლარის გადახდის დაკისრება.

განმცხადებელმა განმარტა, რომ 2003 წლიდან შპს „საქართველოს რკინიგზის“ მეშვეობით, კომპანია შპს „ჩელენ ენერჯი“ ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვებს სხვადასხვა მოცულობით. შპს „საქართველოს რკინიგზა“ საკუთარ ვალდებულებებს ჯეროვნად ასრულებდა, ხოლო გადაზიდვის ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე, რომელიც იმავდროულად იყო ტვირთმიმღები, ვერ უზრუნველყოფდა დანიშნულების ადგილამდე მიტანილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დროულ მიღებასა და დაცლას.

განმცხადებელმა თავისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „საქართველოს რკინიგზის“ კოდექსის 23-ე მუხლის პირველ ნაწილზე და ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მეორე ნა-

წილზე, ასევე, აღნიშნა, რომ ვაგონების გადასახდელი საფასური განისაზღვრებოდა „საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკის შესახებ“ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2002 წლის 3 იანვრის #11 ბრძანების შესაბამისად.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 1 მარტის გადახდის ბრძანებით დაკმაყოფილდა განცხადება, შპს „ჩელენ ენერჯის“, შპს „საქართველოს რკინიგზის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების, 242 806 ლარისა და 58 თეთრის, ასევე, განმცხადებლის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3642 ლარის გადახდა.

შპს „ჩელენ ენერჯიმ“ გადახდის ბრძანების ჩაბარებიდან კანონით დადგენილ ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში შეიტანა შესაგებელი, რითაც მოითხოვა მისი გაუქმება და შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ აღძრული მოთხოვნის სასარჩელო წარმოების საერთო წესით განხილვა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 მარტის განჩინებით გაუქმდა იმავე სასამართლოს 2005 წლის 1 მარტის @2\38 გადახდის ბრძანება და შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ შპს „ჩელენ ენერჯის“ მიმართ დავალიანების გადახდის შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილულ იქნა სასარჩელო წარმოების წესით.

მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ მხარი დაუჭირა მოთხოვნას და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით, შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 183 162 ლარისა და 38 თეთრის, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 2700 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველომ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველომ“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „საქართველოს რკინიგზის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველომ“ შპს „საქართველოს რკინიგზის“ სასარგებლოდ დაეკისრა 54101 არის გადახდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ 2003 წლიდან, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მეშვეობით, შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველომ“ ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრიდან ფოთამდე, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვებს სხვადასხვა მოცულობით.

ასევე დადგენილად ცნო, რომ შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველომ“ კუთვნილი ტვირთით (ნავთობპროდუქტი) დატვირთული ვაგონები, 2004 წლის 25 აგვისტოდან 16 ნოემბრის ჩათვლით სხვადასხვა დროით იქნა დაყოვნებული, რაზედაც შედგენილ იქნა 60 საერთო ფორმის ქმანი (აქტი).

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტებით (ქმანებით) დასტურდება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი ვაგონების დაყოვნების თაობაზე, მაგრამ სადგურში შედგენილ აქტებს, არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა დავის გადასაწყვეტად. #205, #267, #742, #759, #763, #765, #766, #805 საერთო ფორმის აქტებზე (ქმანებზე), მხოლოდ შტემპელის არარსებობა, როდესაც ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდაუსმელია, ასევე, #586, #641, #717, #742, #759, #763, #824, #844 საერთო ფორმის აქტებზე მხოლოდ ერთი პირის მიერ გაკეთებული ხელმოწერა არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ისინი ბათილია. პალატამ მიიჩნია, რომ მასზე მსჯელობა შესაძლებელია სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავის არსის სწორად განსაზღვრისათვის საჭიროა დადგინდეს ვაგონების დაყოვნების მიზეზი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტის დადგენას, თუ რის გამო დაყოვნდა ვაგონები. იგი გამოწვეული იყო თვითონ ტვირთმიმღების ბრალით, თუ დანიშნულების სადგურში არსებული მდგომარეობით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ საერთო ფორმის ქმანებთან ერთად შედგენილ იქნა „ვაგონის გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისები“ (ფორმა გუ-46), სადაც ვაგონების მოცდენის დროის გათვალისწინებით გაანგარიშებულ იქნა დაყოვნების საფასური და ამ უწყისების შესაბამისად, შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველოსათვის“ დასაკისრებელი თანხის ოდენობა, რომელიც მოსარჩელის მიერ განისაზღვრა 183 162 ლარით.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა ვაგონის გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისებით (ფორმა გუ-46) გაანგარიშებული მთლიანი თანხის -183 162 ლარის ანაზღაურების თაობაზე, რადგან მიიჩნია, რომ მასში გაანგარიშებულ იქნა, როგორც იმ ქმანებში დაფიქსირებული ვაგონების დაყოვნების საფასური, რომლებიც საქმეზე იქნა წარმოდგენილი, ისე სხვა ვაგონების დაყოვნებით გამოწვეული საფასური, რომელთან დაკავშირებითაც შედგენილი ქმანები მოცემულ საქმეზე არ წარმოდგენილა.

სააპელაციო პალატამ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველოს“ მოსაზრება ვაგონების დაყოვნების საფასურის 78564 ლარით განსაზღვრის თაობაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია ამ ოდენობის თანხის გაანგარიშების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მხარეთა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ არ არსებობდა „სარკინიგზო კოდექსის“ 32-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა და ექსპერტის დასკვნაში თითოეულ ქმანში დაფიქსირებული მოცდენის დროის გათვალისწინებით გაანგარიშებული თანხა არასწორად იქნა განახევრებული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველომ“ და შპს „საქართველოს რკინიგზამ“.

შპს „საქართველოს რკინიგზამ“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლი, კერძოდ, სასამართლო ვალდებული იყო, წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად გაერკვია, სადგურმა ფოთმა რატომ არ მიიღო ტვირთი, ვაგონების მოცდენა ხომ არ იყო გამოწვეული სწორედ „ჩელენ ენერჯის“ ბრალით.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა რკინიგზის სარჩელი 2004 წლის ოქტომბერს შედგენილი #802-#803, #805-#807, #810, #832-#833, #838-#840 აქტების ნაწილში, რომლითაც დასტურდება 9 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე სადგურ თბილისის მახარისხებელში „ჩელენ ენერჯი“ 105 ვაგონის მოცდენის ფაქტი, ასევე იგნორირებულ იქნა #215-216 და #222 ქმანით იმავე პერიოდში სადგურ სამტრედიისში დიხელით დატვირთული „ჩელენ ენერჯის“ 88 ვაგონის დაყოვნება.

შპს „ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველომ“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა აქტი, როგორც კონკრეტული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება.

კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის ქმანები შედგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, ისინი წარმოადგენენ დაუშვებელ მტკიცებულებებს და ვერ დაადასტურებენ მოპასუხის ბრალეულობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრები, შემოწმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ შპს „ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი შპს „ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველო“ აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საერთო ფორმის აქტები (ქმანები), როგორც კონკრეტული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ, კასატორმა აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არც ერთი საერთო ფორმის აქტზე (ქმანზე) არ არის მითითებული ვაგონების დაყოვნების ფაქტობრივი დრო და არც ერთი საერთო ფორმის აქტი არ არის სრულყოფილად შედგენილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 433-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების „ბ“, „გ“, „ე“ და „ლ“ (რომლებშიც მითითებულია ვაგონების დაყოვნების სხვადასხვა გარემოებები) ქვეპუნქტების თანახმად, საერთო ფორმის აქტით დასტურდება ამ მუხლით მოცემული იურიდიული მნიშვნელობის ისეთი ფაქტები, როგორცაა დანიშნულების სადგურში ვაგონების დაყოვნება ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მოსარგებლის მიზეზით; დატვირთული ვაგონების დაყოვნება შუალედურ სადგურში იმის გამო, რომ ტვირთმიმღების ან მისასვლელი ლიანდაგით მფლობელის მიზეზით ვერ იღებენ მომიჯნავე სადგურები ან მომიჯნავე სადგურს არ გააჩნია ვაგონების დაგროვებისათვის

საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა; ტვირთმიმღების ან ტვირთგამგზავნის მიერ თავისი ვაგონების (კონტეინერების) მიღების დაყოვნება; ტვირთის დაყოვნება სვლის გზაზე.

აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, გარემოებები, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის მონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, დასტურდება კომერციული, ტექნიკური და საერთო ფორმის აქტებით. ამავე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, საერთო ფორმის აქტები უნდა შესდგეს „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ შესაბამისად.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება შესაძლებელია საერთო ფორმის აქტების მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სარკინიგზო კოდექსით და მის საფუძველზე „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესებით“ გათვალისწინებულ მტკიცებულებას.

აღნიშნულის ზოგადი დანაწესი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომელიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მტკიცებულებების შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება ამ დოკუმენტების შედგენის წესს, რომლის დროსაც კანონით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტებთან ერთად უნდა მითითებული იყოს კონკრეტულ შემთხვევაში შპს „ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს“ ვაგონების (ცისტერნების) დაყოვნების მიზეზები. „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 436-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო ფორმის აქტი უნდა აღინიშნოს მისი შედგენის საფუძველი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გადაზიდვა სვლის გზაზე ისეთი საფუძველით იქნა შეჩერებული, რაც, ამ წესების მიხედვით, გამოიწვევს ტვირთის მიტანის ვადის შესაბამის გახანგრძლივებას, მაშინ საერთო ფორმის აქტი აღინიშნება ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების მიზეზი და ხანგრძლივობა. ამავე წესების 440-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო ფორმის აქტში, რომლის საფუძველზეც გადაიხდება რკინიგზის ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური - აღინიშნება ვაგონის (კონტეინერის) დაყოვნების მიზეზი, მისი ნომრები, დაყოვნების, დაწყებისა და დამთავრების, აგრეთვე, დაყოვნების ფაქტობრივი დრო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის განსაზღვრის კრიტერიუმს („რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 414-ე მუხლის პირველი ნაწილი), ამდენად ამ დოკუმენტის შედგენის დროს დაცული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული დანაწესები იმისათვის, რომ განისაზღვროს იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველო“ სადავოდ არ ხდის თბილისის და სამტრედიის ვაგონების (ცისტერნების) დაყოვნების ფაქტს. კონკრეტულ შემთხვევაში სადავოა, თუ ვისი მიზეზით დაყოვნდა ვაგონები (ცისტერნები). აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის (შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასების) მართებულების შემოწმებაზე. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ დაყოვნების ფაქტი არაა სადავო, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ აუცილებელ რეკვიზიტს, რომლითაც აღინიშნება ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების მიზეზი და დრო (წელი, თვე, რიცხვი, საათი). მნიშვნელოვანია, თუ საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტები რამდენად შეიცავენ საკმარის ინფორმაციას სადავო ფაქტობრივი გარემოების დადასტურებისათვის, კერძოდ, ინფორმაციას არა ზოგადად ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების შესახებ, არამედ მათი დაყოვნების მიზეზებისა და ხანგრძლივობის შესახებ. ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ დავას არ იწვევს შპს „ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს“ ვაგონების დაყოვნების ფაქტი, საერთო ფორმის აქტებში სხვა აუცილებელი რეკვიზიტების დარღვევა გავლენას არ ახდენს ამ აქტების იურიდიულ მნიშვნელობაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი ნორმათა მიხედვით ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების გამო შედგენილი საერთო ფორმის აქტებში არ არის მითითებული მათი შედგენის საფუძველი, ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების მიზეზი, ხანგრძლივობა და ა. შ., ამ გარემოების სხვა სახის მტკიცებულებით დადასტურება დაუშვებელია. იმ შემთხვევაში, თუ ამ აქტებში მითითებულია ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების ზოგადი მიზეზი, მაგრამ აქვე მითითებულია საფუძველი (მაგალითად, სადგურის უფროსის ბრძანება), რომლითაც დგინდება დაყოვნების კონკრეტული მიზეზი, სასამართლოს შეუძლია, საერთო ფორმის აქტში საფუძველად მითითებული დოკუმენტის შეფასებით დაადგინოს კონკრეტულ შემთხვევაში ვა-

გონების (კონტინენტების) დაყოვნების კონკრეტული მიზეზები, რაც მიგვითითებს მტკიცებულების შეფასების ლოგიკურ და იურიდიულ მხარეებზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფოთის სადგურის უფროსის #24, #38, #36, #39, #15, #16, #17, #18, #20, #21 ბრძანებებით ირკვევა, რომ ფოთის დანიშნულებით მიმავალი მატარებლის დაყოვნება, რაზედაც შედგენილი იყო #205, #225, #227, #300, #267, #274, #275, #273, #187, #188, #189, #277, #184, #186, #190 საერთო ფორმის ქმანები, გამოწვეული იყო "ჩელენ ენერჯის" ვაგონების დაუცლევლობის, ტანკერების არადროული შემოსვლისა და ტერმინალზე სათავსების უქონლობის გამო.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ #191, #717, #772, #773, #824, #844 საერთო ფორმის აქტებში მითითებულია, რომ ვაგონების დაყოვნება გამოწვეულია შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიზეზით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" კუთვნილი ტვირთით (ნავთობპროდუქტი) დატვირთული ვაგონები, 2004 წლის 25 აგვისტოდან 16 ნოემბრის ჩათვლით სხვადასხვა დროით იქნა დაყოვნებული, რაზედაც შედგენილი იქნა 60 ცალი საერთო ფორმის აქტი (ქმანი).

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილი ყველა საერთო ფორმის აქტი (ქმანი) შედგენილია გზად მდებარე სადგურში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა ასკვნის, რომ განსახილველ საერთო ფორმის აქტებში საფუძვლად მითითებულია უფლებამოსილი პირების მიერ სხვა დოკუმენტები, რომელშიც ვაგონების (კონტინენტების) დაყოვნების მიზეზად მითითებულია შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" (ზოგიერთ საერთო ფორმის აქტებში პირდაპირ მითითებულია შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიზეზი, რაც დაადგინა სააპელაციო სასამართლომ). რაც მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა აღნიშნულ აქტებში შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიზეზით ვაგონების (კონტინენტების) დაყოვნების ფაქტი.

საკასაციო პალატა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" საკასაციო საჩივრის ფარგლებში და მასში მითითებული საპროცესო დარღვევების შემოწმების თვალსაზრისით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი) შეაფასა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ ზემოაღნიშნულ საერთო ფორმის აქტებში არ არის მითითებული დაყოვნების ფაქტობრივი დრო (საერთო მაჩვენებელი), მაგრამ ამ აქტებში მითითებულია დაყოვნებული ვაგონების (კონტინენტების) შემოსვლისა და გასვლის დრო (თვე, რიცხვი, საათი), რაც იძლევა ფაქტობრივი დაყოვნების დროის და მის შესაბამისად დაყოვნების საფასურის გამოანგარიშების შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ შპს "საქართველოს რკინიგზამ", საერთო ფორმის აქტების საფუძველზე, შეადგინა "ვაგონების გამოყენებისა და ტვირთის შენახვის უწყისები" (ფორმა გუ-46), სადაც ვაგონების მოცდენის დროის გათვალისწინებით გაანგარიშებულ იქნა დაყოვნების საფასური. ამდენად, ზემოაღნიშნული პროცესუალური დარღვევების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული საერთო ფორმის აქტების შეფასებისას კანონი არ დაურღვევია, ამ აქტებში მითითებულია ვაგონების (კონტინენტების) შემოსვლისა და გასვლის დრო (თვე, რიცხვი, საათი) და ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტებში არ არის მითითებული დაყოვნების საერთო მაჩვენებელი არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორ შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მოსაზრება აღნიშნულ საერთო ფორმის აქტებში ვაგონების (კონტინენტების) დაყოვნების დროის არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით არ დასტურდება ის პროცესუალური დარღვევები, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა და, ამდენად არ არსებობს ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი).

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა #840, #839, #832, #833, #805, #831, #807, #810, #806, #771, #763, #742, #770, #759, #769, #204, #209, #297, #298, #303, #641, #586, #198, #199, #646 საერთო ფორმის აქტები, რადგან ვაგონების დაყოვნების მიზეზად მითითებულია "ფოთის მიუღებლობა". ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობს სხვა მტკიცებულება, რომელიც ერთობლიობაში დაადასტურებდა ტვირთმიმღების ბრალს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ #222, #216, #215, #286, #203, #143, #200, #208, #217, #802, #803, #765, #766 საერთო ფორმის აქტებიდან გამომდინარე მოცდენის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან #222, #216, #215, #286, #203, #143, #200, #208 აქტებში ვაგონების დაყოვნების მიზეზად მითითებულია ფოთის სადგურის უფროსის ბრძანებები #27, E#28, #32, #36, #42 და @#74 წერილი, რომლებიც მხარეთა მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. #217 საერთო ფორმის აქტით მოპასუხე არ წარმოადგენს ტვირთმძღველს, ხოლო #208, #803, #765, #766 საერთო ფორმის აქტებზე დაყოვნების მიზეზი მითითებული არ არის.

შპს "საქართველოს რკინიგზა" საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მიუთითებენ შემდეგი მტკიცებულებები, რაც არ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ, კერძოდ, კასატორი სამტრედიის 114 დიზელისა და 32 გაზოილის, ფოთში დიზელით დატვირთული 220 ვაგონის დასადასტურებლად უთითებს სადგურ ფოთის უფროსის - გ. კ-ავას 2004 წლის ივნისის #158 წერილს. ამ ტვირთიდან 2004 წლის 2 სექტემბრისათვის, ტერმინალზე სათავსების უქონლობის გამო სადგურ ფოთში დაუცვლელი იდგა დიზელის საწვავის 80 ვაგონი, რის გამოც, სადგურ სამტრედიის გაჩერდა 69 ცისტერნა (ამის თაობაზე გამოცა 2004 წლის 2 სექტემბრის #15 ბრძანება), რაზედაც შესდგა საერთო ფორმის აქტები. #13 ცისტერნის სადგურ სამტრედიის გაჩერების ფაქტის შესახებ მითითებულია 2004 წლის 3 სექტემბრის #16 ბრძანებაში. ამდენად, კასატორმა აღნიშნა, რომ 2004 წლის 2-3 სექტემბერს სადგურ სამტრედიის, ფოთის ტერმინალზე სათავსის უქონლობის გამო გაჩერდა "ჩელენ ენერჯის" 82 ცისტერნა. კასატორმა აღნიშნა, რომ, 2004 წლის 2-5 სექტემბრამდე სადგურ ფოთის მიუღებლობის გამო, სადგურ თბილისის მახარისხებელში გაჩერდა "ჩელენ ენერჯის" 6 ვაგონი, რაზეც შესდგა საერთო ფორმის ქმანი #641 და #646. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საერთო ფორმის აქტებში ზოგადად მითითებულია, "ფოთის მიუღებლობა", სააპელაციო სასამართლოს შეეძლო ცისტერნების დაყოვნების პერიოდის გათვალისწინებით დაედგინა "ჩელენ ენერჯის" მიზეზით დაყოვნების ფაქტი.

კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა 2004 წლის 30 სექტემბრის #742, 4 ოქტომბრის #759, 6 ოქტომბრის #765-766, 7 ოქტომბრის #769-771 ქმანების ნაწილში, რადგან, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ გაზიარებული #772-773 ქმანებით დადასტურებულია "ჩელენ ენერჯის" მიერ სექტემბერ-ოქტომბერში ტვირთის დროული მიუღებლობა, რომლითაც დასტურდება 60 ვაგონის მოცდენის ფაქტი. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა 2004 წლის ოქტომბერს შედგენილი #802-833, #805-807, #810, #832, #833, #838-840 საერთო ფორმის აქტები, რომლითაც დასტურდება 9 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე სადგურ თბილისის მახარისხებელში "ჩენელ ენერჯის" 105 ვაგონის მოცდენის ფაქტი, ასევე უსაფუძვლოდ არ იქნა გაზიარებული #215, #216 და #222 საერთო ფორმის აქტები, რომლითაც დასტურდება იმავე პერიოდში სადგურ სამტრედიის დიზელით დატვირთული "ჩენელ ენერჯის" 88 ვაგონის დაყოვნება. აღნიშნულთან მიმართებაში კასატორი "საქართველოს რკინიგზა" მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადო არ შეაფასა სადგურ ფოთის 2004 წლის 13 ოქტომბრის #43 დეკრეტს, ასევე, სადგურ ფოთის 2004 წლის 26 ოქტომბრის #73 შეტყობინებას და სადგურ ფოთის 29 ოქტომბრის #39 ბრძანება, ასევე, # 303 საერთო ფორმის აქტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, რომ სასამართლომ სრულად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი საერთო ფორმის აქტები. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ შპს "საქართველოს რკინიგზის" მოსაზრება სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთო ფორმის აქტების არასრული შეფასებასთან დაკავშირებით საფუძვლიანია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში წარმოდგენილი და სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული საერთო ფორმის აქტები, რომლებშიც მითითებულია შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" კუთვნილი ტვირთის ამ უკანასკნელის მიზეზით დაყოვნების ხანგრძლივობის შესახებ, შესაძლებელია ადასტურებდეს შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიზეზით იმ ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების ფაქტს, რომლის შესახებ შედგენილ იქნა ის საერთო ფორმის აქტები, სადაც არ არის მითითებული ამ უკანასკნელის მიზეზი.

აღნიშნულთან დაკავშირებით იბადება კითხვა, ხომ არ ხდება სხვა მტკიცებულებებით ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების ფაქტის დადასტურება და ხომ არ ეწინააღმდეგება აღნიშნული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესს, რაზედაც პასუხი უარყოფითია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადას-

ტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

აღნიშნული დანაწესი მიუთითებს მტკიცებულებების დასაშვებობის პრინციპზე, რომელიც ითვალისწინებს მტკიცებულებების საშუალებების (სახეების) გამოყენების შეზღუდვას. აღნიშნულის გათვალისწინებით კონკრეტული სადავო ურთიერთობები შესაძლებელია დადასტურდეს მხოლოდ საერთო ფორმის აქტებით, რადგან ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია ჩვენს მიერ განხილულ საქართველოს სარკინიგზო კოდექსისა და "რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების" შესაბამის მუხლებში. განსახილველი პროცესუალური ნორმის კონტექსტის გათვალისწინებით, დაუშვებელია სადავო ურთიერთობის დადასტურება სხვა სახის მტკიცებულებებით: მოწმეთა ჩვენებებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებით და ა. შ.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ აღნიშნული პროცესუალური დანაწესი ზღუდავს მტკიცებულებების სახეების შერჩევას, მაგრამ არ ზღუდავს დასაშვებ მტკიცებულებების შეფასებას.

კონკრეტულ შემთხვევაში შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულებების შეფასების ფარგლებზე. კერძოდ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ იქნა საქმეში წარმოდგენილი #205, #225, #227, #300, #267, #274, #275, #273, #187, #188, #189, #277, #184, #186, #190, #191, #717, #772, #773, #824, #844 საერთო ფორმის აქტები, რომელშიც მითითებულია შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიზეზით ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების ფაქტი, ასევე დაყოვნების ხანგრძლივობა. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს მის მიერ გაზიარებულ საერთო ფორმის აქტებთან ერთობლიობაში ასევე ის საერთო ფორმის აქტები (#840, #839, #832, #833, #805, #831, #807, #810, #806, #771, #763, #742, #770, #759, #769, #204, #209, #297, #298, #303, #641, #586, #198, #199, #646, #222, #216, #215, #286, #203, #143, #200, #208, #802, #803, #765, #766), რომლითაც პირდაპირ არ დასტურდება შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიზეზით ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების ფაქტი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ამ უკანასკნელი საერთო ფორმის აქტებით რამდენად დასტურდება შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" ვაგონების (კონტეინერების) შემოსვლისა და გასვლის დრო (დაყოვნების ხანგრძლივობა) და აღნიშნული ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების დრო რამდენად ემთხვევა იმ ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების დროს (ხანგრძლივობას), რომლის დაყოვნების ფაქტი დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული საერთო ფორმის აქტებით. იმ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ #840, #839, #832, #833, #805, #831, #807, #810, #806, #771, #763, #742, #770, #759, #769, #204, #209, #297, #298, #303, #641, #586, #198, #199, #646, #222, #216, #215, #286, #203, #143, #200, #208, #802, #803, #765, #766 საერთო ფორმის აქტებში მითითებული ვაგონები (კონტეინერები) დაყოვნებული იქნა (თბილისში, სამტრედიასში) იმ დროის მონაკვეთში რა დროის მონაკვეთშიც შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიზეზით დაყოვნებული იქნა #205, #225, #227, #300, #267, #274, #275, #273, #187, #188, #189, #277, #184, #186, #190, #191, #717, #772, #773, #824, #844 საერთო ფორმის აქტებში მითითებული ამ უკანასკნელის ვაგონები (კონტეინერები), შესაძლებელი იქნება დავასკვნათ, რომ #840, #839, #832, #833, #805, #831, #807, #810, #806, #771, #763, #742, #770, #759, #769, #204, #209, #297, #298, #303, #641, #586, #198, #199, #646, #222, #216, #215, #286, #203, #143, #200, #208, #802, #803, #765, #766 საერთო ფორმის აქტებში ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნების მიზეზს წარმოადგენს შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველო".

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო დანაწესებიდან გამომდინარე, მტკიცებულების ლოგიკური შეფასებით ფაქტობრივი გარემოებები სწორად უნდა იქნას შესასწავლი, რაც აუცილებელია მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისათვის. მხოლოდ ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მტკიცებულებათა ერთობლივი შეფასებით შესაძლებელია საქმის მნიშვნელობისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ამრიგად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილ საერთო ფორმის აქტები და ერთობლიობაში, მათი ანალიზის საფუძველზე დარწმუნდეს არსებობს თუ არა შპს "ჩელენ ენერჯი ლიმიტედ საქართველოს" მიზეზით #840, #839, #832, #833, #805, #831, #807, #810, #806, #771, #763, #742, #770, #759, #769, #204, #209, #297, #298, #303, #641, #586, #198, #199, #646, #222, #216, #215, #286, #203, #143, #200, #208, #802, #803, #765, #766 საერთო ფორმის აქტებში ვაგონების (კონტეინერების) დაყოვნე-

ბის ფაქტი და „რკინიგზით ტვირთის გადაზიდვის წესების“ 440-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, განსაზღვროს რკინიგზის ვაგონებით (კონტეინერებით) სარგებლობის საფასური.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად #217 საერთო ფორმის აქტით მოპასუხე არ წარმოადგენს ტვირთმიმღებს, რის გამოც აპელაციამ არ გაიზიარა აღნიშნული საერთო ფორმის აქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ ნაწილში შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, იგი არ უთითებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებსა და ფაქტებზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გაქარწყლება, რაც არ შეაფასა ან არასათანადოთ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ. ამდენად, სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ #217 საერთო ფორმის აქტით მოპასუხე არ წარმოადგენს ტვირთმიმღებს, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლად განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

„ჩელენ ენერჯი (ფოთი) ლიმიტედ საქართველოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სახელმწიფო ბაჟის საკითხი განისაზღვროს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

#ას-94-427-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: გზის გათავისუფლება, უკანონო ნაგებობის დემონტაჟი

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 2 ნოემბერს საჩხერის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზ. გ-მემ მოპასუხე ნ. გ-ურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მშენებლობის გაგრძელების აკრძალვა და ნაგებობის დემონტაჟის დავალება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ზ. გ-მის მეზობლად მცხოვრებმა ნ. გ-ურმა მოსარჩელის საცხოვრებელ სახლს სამანქანო გზის სავალ ნაწილზე მიაშენა ფარდული ავტოფარების მოწყობის მიზნით. აღნიშნულის გამო, ზ. გ-მის მიწის ნაკვეთს არ გააჩნდა ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან.

მოსარჩელის მითითებით, ტერიტორია, რომელზეც ავტოფარები მდებარეობდა, არ წარმოადგენდა მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთს; მოპასუხეს ტერიტორია დაკავებული ჰქონდა თვითნებურ-

რად -მას არ გააჩნდა მიწათსარგებლობის უფლება, ავტოფარეხის მშენებლობის ნებართვა და პროექტი.

სადავო საკითხთან დაკავშირებით ზ. გ-მემ მიმართა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საჩხერის პოლიციას, რომლებმაც განუმარტეს, რომ პრობლემის გადასაწყვეტად უნდა მიემართა სასამართლოსათვის.

მოპასუხე ნ. გ-ურმა სარჩელი არ ცნო და მისი უარყოფა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთითურთ, რომლის ნაწილზეც მოსარჩელე ედავება, ნ. გ-ურმა შეიძინა ა. ა-მისაგან 1987 წლის 9 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით. გამსხვისებელს საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტი მიღებული ჰქონდა 1987 წლის 26 აგვისტოს, რომლითაც ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ოდენობა 462კვ. მ-ს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, გამოირიცხებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხეს სადავო მიწის ნაკვეთი თვითნებურად ჰქონდა დაკავებული.

რაც შეეხებოდა ავტოფარეხის ნებართვასა და პროექტს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხემ მიუთითა საჩხერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ნ. გ-ურს ნება დაერთო, დაენგრია ძველი ავარიული საცხოვრებელი სახლი და მის ნაცვლად ეწარმოებინა ახალი ბინათმშენებლობა, სადაც ავტოფარეხი გათვალისწინებული იყო სწორედ სადავო ტერიტორიაზე. უსახსრობის გამო მოპასუხემ მშენებლობა აწარმოა ნაწილ-ნაწილ, ხოლო ავტოფარეხის მშენებლობა ხსენებული პროექტის საფუძველზე იმ დროს დაიწყო, როცა ამის საშუალება მიეცა.

ნ. გ-ურის განმარტებით, მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი რეგისტრირებული იყო ... ქუჩით. შესაბამისად, ზ. გ-მეს სახლთან მისასვლელი და დამაკავშირებელი გზაც აღნიშნული ქუჩიდან ჰქონდა. ამდენად, მითითება იმის შესახებ, რომ სადავო ტერიტორიაზე ავტოფარეხის არსებობა მოსარჩელეს საჯარო გზასთან აუცილებელი კავშირის შესაძლებლობას ართმევდა, უსაფუძვლო იყო.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელის მხარეზე მესამე პირად ჩაბმის შესახებ შუამდგომლობა წარადგინა ზ. გ-მემ. შუამდგომლობის ავტორმა აღნიშნა, რომ წარმოადგენდა ზ. გ-მის შვილს, უკანონო ნაგებობის დემონტაჟი ასევე შედიოდა მის ინტერესებში და გავლენას ახდენდა მის კანონიერ უფლებებზე.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განჩინებით ზ. გ-მე ჩაება საქმეში მესამე პირად მოსარჩელის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ამავე სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის 10.06.2008წ. #03/15-კ-2008 დასკვნის შესაბამისად, სადავო მიწის ნაკვეთი არ შედიოდა მოპასუხის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში; სამშენებლო წესებისა და ნორმების თანახმად საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი გზის სიგანე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 3.5 მეტრი. სადავო შემთხვევაში სიგანე რჩებოდა 3.1 მეტრი, რის გამოც შესაძლებელი იყო მოწყობილიყო მხოლოდ ფეხით მისასვლელი გზა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმეზე წარდგენილი არ იყო იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე თავიდან არსებობდა გზა, ხოლო მოწმეთა ჩვენებებით დგინდებოდა, რომ აღნიშნული ნაკვეთი გზად არ გამოიყენებოდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მოქმედებით არ შეწყვეტილა ადრე არსებული აუცილებელი კავშირი საჯარო გზებსა და სხვა ობიექტებთან. ამასთან, არ არსებობდა სადავო მიწის ნაკვეთის გზად გამოყენების აუცილებლობა, რადგან მოსარჩელეს თავის საკარმიდამო მიწის ნაკვეთთან ... ქუჩიდან გააჩნდა ჯეროვანი კავშირი.

სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო დაუშვებელი ხელყოფა და მოპასუხის მიერ სადავო ნაკვეთის ექსპლუატაციით მოსარჩელეს ზიანი არ ადგებოდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ეფუძნებოდა სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლს, დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა, რამდენადაც საქმეზე დგინდებოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი გზად არ გამოიყენებოდა და არც დღეის მდგომარეობით არსებობდა აღნიშნულ ნაკვეთზე გზის მოწყობის აუცილებლობა. ამასთან, დასახელებული ნორმა გულისხმობდა თმენის ვალდებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გზა იქნებოდა მის საკუთრებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის მტკიცებით რაიონულ სასამართლოში მის მიერ წარდგენილი ქალაქის რუქა სადავო მიწის ნაკვეთზე გზის არსებობას ნათლად ადასტურებდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დასახელებული მტკიცებულების მიღებაზე უარი თქვა და შედეგად მცდარ დასკვნამდე მივიდა. ამდენად, არასწორია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა იმის შესახებ, რომ ტერიტორია, რომელზეც ნ. გ-ურის ავტოფარეხი იყო განთავსებული, გზად არ გამოიყენებოდა.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელეს შესაძლებლობა არ მიეცა წარედგინა მოწმეები, რომლებიც სადავო მიწის ნაკვეთზე გზის არსებობას დაადასტურებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზ. გ-მის საცხოვრებელ სახლს მისასვლელი ... ქუჩის მხრიდან ჰქონდა, აპელანტისათვის გაუგებარი იყო, რატომ არ გააჩნდა უფლება ესარგებლა იმ გზით, რომელიც მისთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა.

აპელანტის მითითებით, რაიონულმა სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, სადავო მიწის ნაკვეთი არ შედიოდა ნ. გ-ურის მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველ ნაწილზე, თუმცა აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი სრულიად მიესადაგებოდა მათ მოთხოვნას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ზ. გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ზ. გ-მე ცხოვრობს საჩხერეში, ... ქ. #2-ში. მის მოსაზღვრედ, ... ქ. #48-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ნ. გ-ურს. მოპასუხის სახლის მიმდებარედ მდებარეობს მიწის ნაკვეთი, რომელიც უკავშირდება ზ. გ-მის კუთვნილ ნაკვეთს. აღნიშნულ ნაკვეთზე ნ. გ-ურს მიშენებული აქვს ფარდული (ავტოფარეხი). ეზოები გამოყოფილია მავთულბადის ღობით;

ზ. გ-მის სახლს კავშირი თავის მიწის ნაკვეთთან აქვს ... ქუჩიდან;

საჩხერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის #122 გადაწყვეტილებით საჩხერეში, საბჭოს ქ. #48-ში მცხოვრებ ნ. გ-ურს ნება დაერთო დაენერია ძველი ავარიული საცხოვრებელი სახლი და მის ნაცვლად ეწარმოებინა ახალი ბინათმშენებლობა, რაიონის არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე;

პროექტი შეთანხმებული იყო რაიონის არქიტექტორთან. შესაბამისად, ნ. გ-ურს უნდა აეგო კაპიტალური სახლი და ავტოფარეხი.

საქმეში არსებული იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 10 ივნისის #03/15-კ-2008 დასკვნის თანახმად, სადავო მიწის ნაკვეთი არ შედის მოპასუხის მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში. ამავე დასკვნის მიხედვით, საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი გზის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი. მოცემულ შემთხვევაში გზის სიგანე რჩება 3.1 მეტრი, რის გამოც შესაძლებელია მოწყობის ფეხით მისასვლელი გზა.

საქმეზე არ დგინდება სადავო ნაკვეთზე გზის არსებობა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობის აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე ამკარაა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ნ. გ-ურის მიერ ავტოფარეხის აგება ზ. გ-მის ნაკვეთით სარგებლობის უფლებას ვერ ხელყოფდა იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნ. თავის ნაკვეთთან მისასვლელ გზად იყენებდა გ. ... ქუჩას. ამასთან, ნ. გ-ურის მიერ ფარდულის აგებით არ მოისპო ადრე არსებული აუცილებელი კავშირი საჯარო გზებსა და სხვა ობიექტებთან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის შესახებ, რომ ნ. გ-ურის მიერ თვითნებური მოქმედებით გაუქმდა მიწის ნაკვეთის გზასთან არსებული დაკავშირება, რამდენადაც საქმეზე არ დგინდებოდა, რომ ნ. გ-ური იყო სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომ ადრე სადავო ტერიტორიაზე გადიოდა გზა. ამასთან, პროექტის თანახმად ნ. გ-ურს ნება დაერთო ეწარმოებინა კაპიტალური ავტოფარეხის მშენებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. გ-მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებდა მისი მიწის ნაკვეთით სარგებლობის დაუშვებელი ხელყოფისა და ნ. გ-ურის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის თვითნებურად გამოყენების ფაქტს. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივებით:

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის #03/15-კ დასკვნაზე, რომლითაც დგინდება, რომ სადავო მიწის ნაკვეთი არ განეკუთვნება ნ. გ-ურის საკუთრებას, იგი წარმოადგენს მოდავე მხარეების მიმდებარე ტერიტორიას, რომლით სარგებლობის უფლებაც ორივე მათგანს თანაბრად გააჩნია. მხარეებს შეუძლიათ ნაკვეთის გზად ან სხვა დანიშნულებით გამოყენება მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით. კონკრეტულ შემთხვევაში ნ. გ-ურის მიერ დაუკანონებელ ტერიტორიაზე ავტოფარების აგება ზღუდავს ზ. გ-მის და მესამე პირ ზ. გ-მის სარგებლობის უფლებას.

სასამართლომ არასწორად განმარტა საქმეში არსებული მტკიცებულება -საჩხერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის #122 გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. გ-ურს ნება დაერთო, დაენგრია ძველი ავარიული სახლი და მის ნაცვლად ეწარმოებინა ახალი სახლის მშენებლობა რაიონის არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტით. აღნიშნული დადგენილებით ნ. გ-ურს ახალი სახლის მშენებლობის უფლება მიეცა მხოლოდ საკუთარ 421 კვ. მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო დამატებით მიწის გამოყოფას ხსენებული დადგენილება არ ითვალისწინებს.

მოცემული დავის მიმდინარეობისას ნ. გ-ური ცდილობდა დაეკანონებინა სადავო მიწის ნაკვეთი, რასაც ადასტურებს მისი 13.10.2008წ. განცხადება საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარისადმი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა საქმის განხილვაში და სადავო მიწის ნაკვეთი არ მიაჩნდა ნ. გ-ურის საკუთრებად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დგინდება სადავო მიწის ნაკვეთზე გზის არსებობა, მაშინ როდესაც ცალსახაა, რომ ნ. გ-ურის მიერ უკანონო მშენებლობის დაწყებამდე აღნიშნულ ნაკვეთს ორივე მეზობელი თანაბრად იყენებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ საჩხერეში, ... ქ. #48-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ნ. გ-ურს, ხოლო მის მომიჯნავედ, ... ქ. #2-ში მდებარე სახლი და მიწის ნაკვეთი -ზ. გ-მეს;

ნ. გ-ურის სახლის მიმდებარედ მდებარეობს მიწის ნაკვეთი, ზომით 30.38კვ. მ, რომელიც უკავშირდება ზ. გ-მის კუთვნილ ნაკვეთს საცხოვრებელი სახლის უკანა მხრიდან. მასზე ნ. გ-ურს მიშენებული აქვს ფარდული (ავტოფარები).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადავოა, ზ. გ-მის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მოსაზღვრედ, მოპასუხის მიერ ფარდულის (ავტოფარები) მიშენება, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის საკუთრების დაუშვებელ ხელყოფას, რაც სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის საფუძველზე ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის არსებობის აუცილებელი პირობაა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელშეშლის აღკვეთის შესახებ სადავო მოთხოვნის უარყოფა ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზ. გ-მის საცხოვრებელ სახლს თავის მიწის ნაკვეთთან კავშირი უკვე გააჩნია ... ქუჩის მხრიდან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული არგუმენტი არასაკმარისია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის სათქმელად. მითითებული ნაკვეთის ზ. გ-მის საცხოვრებელი სახლის მოსაზღვრედ მდებარეობა თავისთავად განაპირობებს მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს, არ დაუშვას მისი ნაკვეთის საზღვართან უკანონო ნაგებობის

მშენებლობა. ასეთ ვითარებაში ვერ ვიტყვით, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფას ადგილი არ აქვს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშემლის აღკვეთის მოცემული მოთხოვნის მართლზომიერების დასადგენად, სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სადავო მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს არც ერთი მხარის საკუთრებას. საქმეზე დადგენილია, რომ ადგილი, რომელზეც მოპასუხის ავტოფარეხია განთავსებული თვითმმართველი ერთეულის კუთვნილებაა, ანუ მითითებული ტერიტორია არის საერთო სარგებლობის. შესაბამისად, მასზე ორივე მხარეს თანაბარი უფლებები გააჩნია.

იმის გათვალისწინებით, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს საჯარო ნივთს, აღნიშნული ნივთით სარგებლობის უფლება აქვს ყველა პირს და მისი თვითნებურად შეზღუდვა დაუშვებელია. ასეთ პირობებში სარჩელის სწორად გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმის გარკვევას, აქვს თუ არა მიღებული ნ. გ-ურს სადავო ავტოფარეხის მშენებლობის უფლება. სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ ნ. გ-ურის სახელზე (არქიტექტორთან შეთანხმებით) სახლისა და ავტოფარეხის მშენებლობის პროექტი გაცემულია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია. საჩხერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის #122 გადაწყვეტილება, რაზეც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, შეეხება ნ. გ-ურისათვის ახალი სახლის მშენებლობაზე უფლების მინიჭებას მხოლოდ საკუთარ მიწის ნაკვეთზე. აქედან გამომდინარე, მოცემული საკითხი საჭიროებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელახლა გამორკვევას. მას შემდგომ, რაც სადავო ავტოფარეხის მშენებლობაზე უფლების არსებობა სათანადოდ დადგინდება, შესაძლებელი გახდება იმის გარკვევა, ზ. გ-მის სარჩელი რამდენადად ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

#ას-221-547-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ლ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. პ-ევის მიმართ მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების -7000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2002 წელს ნ. პ-ევმა ადვოკატ ვ. ლ-იას სთხოვა, დახმარებოდა საცხოვრებელი ბინის მიღებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაში. 2002 წლის 24 მაისის მინდობილობით ვ. ლ-იას ნ. პ-ევის სახელით მიენიჭა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რა დროსაც მოსარჩელე თავის მოვალეობას ასრულებდა პირნათლად და საბოლოოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. პ-ევის სარჩელი დაკმაყოფილდა -ქ. ბათუმის მერიას მის სასარგებლოდ დაეკისრა ბინის სანაცვლო კომპენსაციის, 33 380 ლარის ანაზღაურება. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ვ. ლ-ია განაგრძობდა თავისი მოვალეობის შესრულებას, რაც გამოიხატებოდა საკომპენსაციო თანხის მისაღებად წარმოებულ მოქმედებებში. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, ქ. ბათუმის მერიის მიერ მისთვის გადასახდელი

კომპენსაციიდან ვ. ლ-იასათვის დაეთმო 7 000 აშშ დოლარი, თუმცა ნ. პ-ევმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია და მოსარჩელისათვის თანხის გადახდაზე უარი განაცხადა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ამასთან, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის საფუძვლის შეცვლის თაობაზე და მოითხოვა მოპასუხისათვის იურიდიული მომსახურების გაწევის შედეგად ნ. პ-ევის მიერ მიღებული საკომპენსაციო თანხის -33380 ლარის 4%-ის დაკისრება. მოპასუხე არ დაეთანხმა სარჩელის საფუძვლის შეცვლას, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივლისის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ლ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე ვ. ლ-ია საადვოკატო მომსახურებას უწევდა მოპასუხე ნ. პ-ევის საცხოვრებელი ბინის მიღებასთან დაკავშირებულ დავაში, რის საფუძველზეც მხარეებმა სანოტარო წესით გააფორმეს წარმომადგენლობა. ამავდროულად, მხარეთა შორის გაფორმდა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლითაც ნ. პ-ევი უთმობდა ვ. ლ-იას მოვალისაგან ვალდებულების შესრულების სახით 7000 აშშ დოლარს, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აღნიშნული ხელშეკრულება ცნობილ იქნა ბათილად. ვ. ლ-იას თავდაპირველი მოთხოვნის საფუძველად მიეთითა რა დათმობის ხელშეკრულება, პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად, ვ. ლ-იას სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აღნიშნული დათმობის ხელშეკრულება ბათილ გარიგებად იქნა მიჩნეული. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ 1353 ლარის მოთხოვნით მან მხოლოდ შეამცირა დავის საგანი და დავის საფუძველი არ შეცვლა, რადგან იურიდიული მომსახურებისათვის 1353 ლარის დაკისრების მოთხოვნით მოსარჩელემ ფაქტობრივად შეცვალა დავის საფუძველი და, დათმობის ხელშეკრულების ნაცვლად, იგი დააფუძნა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ვ. ლ-ია ნ. პ-ევის ინტერესებს იცავდა სასამართლოში მერიის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის საფუძველი იმ ფაქტების ერთობლიობაა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, ამდენად, სარჩელის საფუძვლის შეცვლა იმ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას ნიშნავს, რომლებსაც მოსარჩელე თავის სარჩელში თავდაპირველად უთითებდა და სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვდა. პალატამ მიიჩნია, რომ ვ. ლ-ია სარჩელის საფუძველად თავდაპირველად უთითებდა დათმობის ხელშეკრულებაზე და სწორედ ამ კონკრეტული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ითხოვდა 7000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრებას, 1353 ლარის მოთხოვნით კი სასარჩელო მოთხოვნა დაეფუძნა ზოგადად ნ. პ-ევის წარმომადგენლად ყოფნის ფაქტს მოპასუხის მონაწილეობით მიმდინარე დავაში, რისთვისაც ვ. ლ-იას უნდა მიკუთვნებოდა ანაზღაურების სახით დავის საგნის 4%.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ვ. ლ-იამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, ნ. პ-ევისათვის 1353 ლარისა და კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი. მართალია, 2002 წლის 24 მაისს დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, მაგრამ იმავე დღეს მოწინააღმდეგე მხარეს კასატორისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ გაუუქმებია და რწმუნებულებამ ძალა ვადის, 5 წლის, გასვლის შემდეგ დაკარგა. სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, კერძოდ, სააპელაციო პალატის მიერ განჩინებით ზემოხსენებული ნორმის განმარტება ეწინააღმდეგება მის მიერვე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ვ. ლ-ია უწევდა საადვოკატო მომსახურებას ნ. პ-ევის საცხოვრებელი ბინის მიღებასთან დაკავშირებულ დავაში. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2002 წლის 24 მაისს ნ. პ-ევმა ვ. ლ-იას სახელზე გასცა მინდობილობა სასამართლოში წარმომადგენლობის შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მინდობილობა მიწინააღმდეგე მხარეს არ გაუუქმებია, რაც ადასტურებს, რომ კასატორი არა მარტო წარმოადგენდა ნ. პ-ევის სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოში და სხვა, არამედ, ფაქტობრივად, საადვოკატო მომსახურებას უწევდა მას და სასარჩელო მოთხოვნაც სწორედ წარმომადგენლობიდან გამომდინარეობს. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლი და 47-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და შედეგად მიიღო დაუსაბუთებელი განჩინება. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასა-

მართლოს პირველივე სხდომაზე ნ. პ-ევის წარმომადგენელმა დ.ხინიკაძემ განმარტა, რომ ვ. ლ-იამ ნამდვილად გაუწია ნ. პ-ევს იურიდიული მომსახურება და დაეხმარა საცხოვრებელი ბინის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიღებაში. სასამართლომ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება და მხედველობაში არ მიიღო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი და მის მიერ გაზიარებული გარემოება, რომ კასატორი საადვოკატო მომსახურებას უწევდა ნ. პ-ევს სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ლ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კანონის ეს დანაწესი საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლად მიუთითებს ისეთ გარემოებას, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება არ ეფუძნება სწორ ფაქტობრივ დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით არასწორად განიმარტა საპროცესო ნორმა, რაც არსებით გავლენას ახდენს გადაწყვეტილებაზე, კერძოდ:

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ 1353 ლარის მოთხოვნით მან მხოლოდ შეამცირა დავის საგანი და დავის საფუძველი არ შეცვლილა, რადგან იურიდიული მომსახურებისათვის 1353 ლარის დაკისრების მოთხოვნით მოსარჩელემ ფაქტობრივად შეცვალა დავის საფუძველი და, დათმობის ხელშეკრულების ნაცვლად, იგი დააფუძნა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ვ. ლ-იას ნ. პ-ევის ინტერესებს იცავდა სასამართლოში მერიის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. ამავე განჩინებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ მოსარჩელე ვ. ლ-იას საადვოკატო მომსახურებას უწევდა ნ. პ-ევს საცხოვრებელი ბინის მიღებასთან დაკავშირებულ დავაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში არასწორად განიმარტა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტი. აღნიშნული ნორმით სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული დანაწესით გათვალისწინებული გარემოებები და ფაქტები ქმნიან სარჩელის საფუძველს და შეადგენენ მტკიცების საგანს. მხარე, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, თვითონვე განსაზღვრავს თუ რომელ კონკრეტულ ფაქტს დაამყაროს თავისი სასარჩელო მოთხოვნა, ამასთან, უფლებამოსილია, თავისი სასარჩელო მოთხოვნა დაამყაროს როგორც ერთ, ისე რამდენიმე იურიდიულ ფაქტს, რაც დამოკიდებულია თვით სასარჩელო მოთხოვნაზე. სასარჩელო მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათისაა და იგი უნდა დადასტურდეს იურიდიული ფაქტებით, რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა გარკვეულ შედეგებს უკავშირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სარჩელის საფუძველი იმ ფაქტების ერთობლიობაა, რომლებიც ასაბუთებენ, ფაქტობრივად ამართლებენ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, ამდენად, სარჩელის საფუძვლის შეცვლა იმ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას ნიშნავს, რომლებსაც მოსარჩელე თავის სარჩელში თავდაპირველად უთითებდა და სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვდა. თუმცა ამგვარი მოქმედება მოსარჩელეს მოცემულ შემთხვევაში არ ჩაუდენია.

მოცემულ შემთხვევაში ვ. ლ-იას სასამართლოში შეტანილი სარჩელით ითხოვდა რა მოპასუხე ნ. პ-ევისათვის თანხის დაკისრებას, თავის სასარჩელო მოთხოვნას ამყარებდა შემდეგ კონკრეტულ იურიდიულ ფაქტებზე: მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ზეპირი შეთანხმება მომსახურებაზე; მოსარჩელის წარმომადგენლობის ფაქტი; მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების მოსარჩელე მხარის მიერ შესრულება; მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა; მხარეთა შორის შეთანხმებული მომსახურების ხარჯების მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების სახით გაფორმება.

ამდენად, განსახილველი სასარჩელო განცხადების ფაქტობრივ საფუძველად მხოლოდ მოთხოვნის დათმობა არ იყო მითითებული და სასამართლო ვალდებულია, სასარჩელო მოთხოვნის კანონიერებაზე მსჯელობისას შეფასება მისცეს ყველა ფაქტობრივ გარემოებას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული დასაბუთების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სარჩელის საფუძველად მითითებული გარემოებები და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ იმსჯელოს მოსარჩელის მოთხოვნის კანონიერებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ლ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცების ტვირთი

განჩინება

#ას-366-685-09

14 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 16 თებერვალს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა დ. კ-ქმ მოპასუხე მ. ფ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ზიანის ანაზღაურება 2 014 ლარის ოდენობით, მათ შორის, პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად - 1864 ლარი, სპეციალისტისათვის გადახდილი 100 ლარი, სახელმწიფო ბაჟი -50 ლარი.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ მოდავე მხარეები ცხოვრობენ თბილისში, ... ქ. #18-ში მდებარე კორპუსში. მოსარჩელის ბინა განთავსებულია მე-2 სართულზე, ხოლო მოპასუხის -მე-3 სართულზე. მხარეები არიან აღნიშნული ბინების მესაკუთრეები.

მოსარჩელის მითითებით, 2005 წლის 22 იანვარს, 23.30 საათზე, მისი ბინის ჭერიდან ჩამოვიდა წყალი. დ. კ-ქმ დაუყოვნებლივ მიმართა თბილისის საპატრულო პოლიციას. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორები, რომლებმაც დაინახეს, რომ წყალი ჩადიოდა მოპასუხის ბინიდან.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მიზეზით მან მიიღო ზიანი, რაც გამოიხატებოდა იმ თანხაში, რაც ესაჭიროებოდა ბინის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას და რაც იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის სპეციალისტის ცნობით შეადგენდა 1864 ლარს. ამასთან, სპეციალისტის სამუშაოებისათვის მოსარჩელის მიერ გადახდილი იყო 100 ლარი.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა ადადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

"რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის #649 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 12 აპრილის #213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელშიც ჩამოყალიბდა სპეციალიზებული

სასამართლო კოლეგიები -ადმინისტრაციულ საქმეთა, სამოქალაქო საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამზადებელ სხდომაზე მ. ფ-იამ (წარმომადგენელი დ. გაბუნია) იშუამდგომლა საქმეზე საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 ივნისის განჩინებით მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა.

დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 18 აგვისტოს აქტის თანახმად, საკვლევი ობიექტების შესწავლა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ექსპერტის ადგილზე მისვლისას დ. კ-მეს ბინა უკვე გარემონტებული ჰქონდა, რის გამოც შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ სად და რა დაზიანდა წყლის ჩამოსვლით მოსარჩელის ბინაში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა სახის, მოცულობის და ღირებულების სამუშაოების ჩატარება იქნებოდა საჭირო დაზიანებების აღმოსაფხვრელად; ადგილზე რამდენჯერმე მისვლის მიუხედავად ვერ მოხერხდა მ. ფ-იას ბინის დათვალიერება და შესწავლა; მისი ბინაში არყოფნის გამო შეუძლებელი იყო იმის დადგენა, მ. ფ-იას ბინაში წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემის მდგომარეობა შეესაბამებოდა თუ არა საინჟინრო-ტექნიკური თვალსაზრისით დადგენილ ნორმებს და წესებს ან იყო თუ არა წყლის ჩამონადენით გამოწვეული რაიმე დაზიანებები მის ბინაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ფ-იას დაეკისრა 1864 ლარის გადახდა, მასვე დ. კ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ გაღებული სასამართლო ხარჯების -50 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟისა და სპეციალისტის დასკვნის შედგენისთვის გაწეული 100 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია 2005 წლის 22 იანვარს მოპასუხის ბინიდან მოსარჩელის ბინაში წყლის ჩადინების და ამ მიზეზით დ. კ-მის საცხოვრებელი ბინის დაზიანების ფაქტი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევის საფუძვლად სასამართლომ მიუთითა თავად მ. ფ-იას ახსნა-განმარტებასა და მოწმედ დაკითხული პირის ჩვენებაზე.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მ. ფ-იას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის ბინა დაზიანდა დ. კ-მის სახლის ჭერში მის მიერვე გაყვანილი მილიდან გამოჟონილი წყლით. რამდენადაც მ. ფ-იამ განმარტა, რომ იგი არ იყო ნამყოფი მოსარჩელის ბინაში, ცხადია, მას ვერ ექნებოდა ინფორმაცია ამ ბინაში არსებული კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

მოწმე კ. ს-შვილის ჩვენებით ირკვეოდა, რომ დ. კ-მეს ბინის ჭერში წყალგაყვანილობა მოწყობილი არ ჰქონდა, ხოლო წყლის მიერ დაზიანდა ძირითადი ოთახის ცენტრალური ნაწილი, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის ბინაში არსებული დაზიანება გამოწვეული იყო მოპასუხის ბინიდან ჩამოსული წყლის ზემოქმედებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ბინის მესაკუთრე მოვალეა ისეთ მდგომარეობაში შეინარჩუნოს და იმგვარად გამოიყენოს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილები, აგრეთვე საერთო საკუთრება, რომ ამით არ შეილახოს მესაკუთრეთა ერთად ცხოვრების წესები და არ მიადგეთ ზიანი.

მოცემულ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ მოპასუხემ, როგორც მრავალბინიანი სახლის ბინის მესაკუთრემ, სათანადოდ ვერ უზრუნველყო მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინის ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება, რომ არ დარღვეულიყო მეზობლად მცხოვრები მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, რაც გამოიხატა მოსარჩელის საცხოვრებელი ბინის დაზიანებაში.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ დადგენილი არ იყო მოპასუხის ბინიდან მოსარჩელის ბინაში წყლის ჩადინების კონკრეტული მიზეზი, მოპასუხის ქმედება წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 219-ე მუხლით გათვალისწინებული ბინის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნების ვალდებულების დარღვევას და შესაბამისად, ბრალულ ქმედებას.

მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისას საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და განმარტა, რომ კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ზიანი ანაზღაურდებოდა, თუ არსებობდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგი პირობები: უნდა არსებულიყო მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი, ზიანის დადგომაში ზიანის მიმყენებლის ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

რამდენადაც დგინდებოდა, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხის ბინიდან ჩადინებული წყლის ზემოქმედების შედეგად, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა,

რომ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მოპასუხის პასუხისმგებლობის ყველა პირობა, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა. აქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ სპეციალისტის ცნობაში მითითებული დ. კ-ძის ბინაში არსებული დაზიანებების შესაკეთებლად საჭირო თანხის ოდენობის სისწორე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ფ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ფ-იამ მისი ბინიდან მოსარჩელის ბინაში წყლის ჩასვლის და ამ მიზეზით ბინის ჭერის დაზიანების ფაქტი თავად აღიარა. სასამართლო მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას ასევე არასწორად დაეყრდნო მოწმის ჩვენებას. ზემოაღნიშნული არ იყო საკმარისი ბინაში ჭერის დაზიანების ფაქტის დასადგენად.

აპელანტის მითითებით, მოსარჩელეს ჭერის დაზიანების შემთხვევაში (თუ ასეთს ჰქონდა ადგილი) უნდა გამოეძახა შესაბამისი სამსახური და დაეფიქსირებინა მომხდარი ფაქტი, რაც მას არ განუხორციელებია. ამდენად, იმის მტკიცება, რომ ჭერი დაზიანდა ზემოდან ჩამოსული წყლის შედეგად, არ დასტურდება არც ერთი მტკიცებულებით.

აპელანტმა არასწორად მიიჩნია სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ სპეციალისტის ცნობაში მითითებული დ. კ-ძის ბინაში არსებული დაზიანების შესაკეთებლად საჭირო თანხების ოდენობის სისწორე. სინამდვილეში მოპასუხემ თავის დროზე უარყო დასახელებული მტკიცებულება, მაგრამ სასამართლომ მის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას არასწორი ინტერპრეტაცია მისცა. იმისათვის, რომ სასამართლოს გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი და დაეკისრებინა მოპასუხისათვის თანხის გადახდა, ჯერ უნდა დაედგინა დამდგარი ზიანი, შემდეგ კი მოპასუხის ბრალი ზიანის დადგომაში, რაც არ დასტურდებოდა არც ერთი მტკიცებულებით, გარდა მოსარჩელის მიერ მოყვანილი მოწმის ჩვენებისა. ამდენად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგომისათვის არ არსებობდა მისი მთავარი შემადგენელი ნაწილები, რის გამოც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ფ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: დ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიერ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დ. კ-ძე და მ. ფ-ია ცხოვრობენ თბილისში, ... ქ. #18-ში მდებარე ერთსა და იმავე კორპუსში. მოსარჩელის ბინა მდებარეობს მე-2 სართულზე, ხოლო მოპასუხის ბინა - მე-3 სართულზე. იმავედროულად მხარეები არიან აღნიშნული ბინების მესაკუთრეები;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 2007 წლის 3 აგვისტოს მიწერილობით თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი ირკვევა, რომ საპატრულო პოლიციის თანაშრომლებს შემთხვევის ადგილზე არსებული გარემოების ამსახველი აქტი არ შეუდგენიათ. შესაბამისად, ცალსახად არ დგინდება, თუ რა ფაქტობრივ გარემოებას ჰქონდა ადგილი შემთხვევის ადგილას;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 1 თებერვლის სპეციალისტის #კ 32/15 ცნობით დგინდება, რომ 2005 წლის 24 იანვარს ქ. თბილისის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს კერძო განცხადებით მიმართა მოსარჩელემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. #18-ში მდებარე #5, დ. კ-ძის საცხოვრებელ ბინაში წყლის ჩასვლის მიზეზისა და მიყენებული დაზიანების აღსადგენად ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების დადგენა;

სპეციალისტის ზემომითითებულ ცნობაში აღნიშნულია: დ. კ-ძის საცხოვრებელი სახლის ჰოლის მიმდებარე #1 ოთახში ჩამოსულია წყალი, ჩამოსვლის მიზეზის დადგენა დღეის მდგომარეობით შეუძლებელია, რადგან ზედა სართულზე კომუნიკაციები დათვალიერების პერიოდისათვის იყო ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. ზედა სართულიდან წყლის ჩამოსვლის შედეგად დაზიანებულია #1 ოთახის ჭერი და იატაკი, ჭერზე გაკრულია ბიაზი, რომელიც ჩამოხეულია და ეტყობა წყლის ჩამოსვლის კვალი, რის გამოც მოითხოვს შეცვლას. ოთახში დაზიანებულია პარკეტის იატაკიც, რომელიც წყლის ზემოქმედების შედეგად დეფორმირებულია. სპეციალისტის მითითე-

ბით, ზემოაღნიშნულ დაზიანებათა აღმოსაფხვრელად ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 1864 ლარი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 18 აგვისტოს დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტით დასტურდება, რომ ვერ მოხერხდა მოპასუხის ბინის დათვალიერება მისი არყოფნის გამო, რის გამოც შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, შეესაბამებოდა თუ არა მოპასუხე მ. ფ-ის ბინაში წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემის მდგომარეობა, საინჟინრო-ტექნიკური თვალსაზრისით, დადგენილ ნორმებსა და წესებს, ან იყო თუ არა წყლის ჩამონადენით გამოწვეული რაიმე დაზიანებები მის ბინაში;

საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 ოქტომბრის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა კ. ს-შვილი (პირი, რომელმაც წყლის ჩამოსვლის ფაქტის გამო მოსარჩელის სახლში ჩაატარა რემონტი). მისი განმარტებით, დ. კ-მეს არავითარი წყალგაყვანილობა არ ჰქონდა გაკეთებული ჭერში, მას ცალკე ჰქონდა კომუნიკაცია შეყვანილი. სავარაუდოდ წყალი ჩამოსული იყო ზედა სართულიდან, ვისგან ჩავიდა ვერ დაადასტურა, შეიძლებოდა აბაზანაში დარჩენოდა ვინმეს წყალი, რომელმაც იდინა და დ. კ-მის ბინაში ჩააღწია;

ამავე სხდომაზე სპეციალისტის სახით დაიკითხა ა. ჭ-შვილი. მისი განცხადებით, იგი იმყოფებოდა დ. კ-მის ბინაშიც და მ. ფ-ის ბინაშიც. აღნიშნა, რომ მოსარჩელის ბინაში წყალი ზედა სართულიდან იყო ჩასული, მაგრამ კონკრეტულად ვისგან, ამის დადგენა შეუძლებლად მიიჩნია იმის გამო, რომ იმ პერიოდისათვის მოპასუხის ბინაში კომუნიკაციები გამართული იყო. კითხვაზე: გარდა მოპასუხის ბინისა, წყალი შესაძლებელი იყო თუ არა მოსარჩელის ბინაში გაჩენილიყო სხვა გზით, სპეციალისტმა აღნიშნულის დადგენა შეუძლებლად მიიჩნია და განმარტა: წყალი ისეთი რამაა, შეიძლება მზიდ კედელს გამოყვეს, შეჩერდეს სადმე და ჩამოვიდეს ერთიანად. გარდა ამისა, სპეციალისტმა მიუთითა, რომ წყლის ჩამოდინების მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან ზედა სართულზე კომუნიკაციები დათვალიერების პერიოდისათვის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იყო.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ზიანი ანაზღაურდებოდა, თუ არსებობდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგი პირობები: ზიანი, ზიანის გამომწვევი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი. ამდენად, პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა, ანუ მნიშვნელოვანი იყო ზიანის მიმყენებელი სუბიექტის, მოქმედებისა და ბრალეულობის დადგენა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არც ექსპერტთა განმარტებით და არც სპეციალისტთა ჩვენებებით ცალსახად არ დასტურდებოდა, მოპასუხის მიზეზით მისი სახლიდან ქვედა სართულზე, მოსარჩელის ბინაში, წყალი ჩავიდოდა თუ არა და იყო თუ არა უშუალოდ, მოპასუხის საცხოვრებელ ბინაში არსებული კომუნიკაციების ტექნიკური გაუმართაობის მიზეზი ქვედა სართულზე წყლის ჩადინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი პირობა - ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა მოცემულ შემთხვევაში დაუდგენელი იყო, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ზიანის ანაზღაურების შესახებ, რადგან დადასტურებული არ იყო მოპასუხის ბრალი დამდგარ შედეგთან მიმართებით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 219-ე, 408-ე და 409-ე მუხლები, რომელთა ძალით ბინის მესაკუთრე მ. ფ-ია მოვალე იყო, არ შეეღობა ბინის მესაკუთრეთა ერთად ცხოვრების წესები და არ მიეყენებინა მისარჩელისათვის ზიანი. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ზიანის მიყენება მოპასუხის კომუნიკაციების ტექნიკური გაუმართაობით მოხდა, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით. ფაქტია, რომ მ. ფ-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინიდან ჩამოსული წყლის ნაკადით მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზარალი, რისი ანაზღაურების ვალდებულებაც სწორედ მოპასუხეს ეკისრებოდა.

კასატორის მითითებით, საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა გამოძახება მოხდა დ. კ-მის ბინაში წყლის ჩამოსვლის ფაქტთან დაკავშირე-

ბით, თუმცა იმის გამო, რომ მითითებული ფაქტის გამორკვევა არ შედიოდა მათ სამსახურებრივ მოვალეობაში, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს აქტი არ შეუდგენიათ. ამის შემდგომ დ. კ-მემ მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომლის სპეციალისტის #კ 32/15 ცნობით დადგინდა მ. ფ-იას საცხოვრებელი ბინიდან მის საცხოვრებელ ბინაში წყლის ჩამოსვლის ფაქტი, ზიანის მიყენება და მის აღმოსაფხვრელად ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგე მხარემ სადავო გახადა ექსპერტის ცნობისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭების საკითხი. ასეთ ვითარებაში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 134-ე მუხლების მოთხოვნებით, რაც მას არ განუხორციელებია.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ექსპერტიზა დანიშნული იყო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით. მ. ფ-ია, როგორც ინიციატორი მხარე, რომელიც თავად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ექსპერტიზის შედეგით, რამდენჯერმე მისვლის მიუხედავად ექსპერტს ბინაში არ დახვდა, რამაც ექსპერტის მიერ დასკვნის შედგენის შეუძლებლობა განაპირობა.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 219-ე, 316-ე, 317-ე მუხლები, რომელთა თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას, რაც დ. კ-მესთან მიმართებით დარღვეულია.

კასატორის აზრით, მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებას სრულიად ცხადყოფს საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები: მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენება, იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სპეციალისტის ცნობა, ამავე ბიუროს ექსპერტის აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ, ექსპერტის ჩვენება. მისივე განმარტებით, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებისათვის არ არის აუცილებელი სხვა კომპონენტებთან (მართლწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) ერთობლიობაში ბრალის არსებობა. დელიქტური სამართალი იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, ასეთს განსაკუთრებით ადგილი აქვს ე.წ. საფრთხის დელიქტებში, როდესაც ზიანი მიყენებულია კომუნიკაციების ნებისმიერი საშუალებით (ელექტრობა, წყალი, გაზი და ა. შ.), რაც მოხდა მოცემულ შემთხვევაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულია გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, კერძოდ, გადაწყვეტილება გამოტანილია მხარეთა მტკიცების ტვირთის არასწორი გადანაწილებისა და შეფასების საფუძველზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე დ. კ-მე და მოპასუხე მ. ფ-ია ცხოვრობენ თბილისში, ... ქ. #18-ში მდებარე ერთსა და იმავე კორპუსში შესაბამისად მე-2 და მე-3 სართულებზე. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელის ბინაში ჩამოვიდა წყალი ზემოდან, ამის შედეგად ჩამოიხა ოთახის ჭერზე გაკრული ბიაზი, დაზიანდა პარკეტის იატაკი, რომელმაც მიიღო დეფორმაცია. წყლის ჩასვლის შედეგად დ. კ-მის ოთახში დაზიანდა არა გარე კედელი, არამედ - შუა ნაწილი და გვერდითა კედელი. დადგენილია, რომ მოსარჩელის ოთახის ზემოთ, საიდანაც წყალი ჩამოვიდა, მდებარეობს მოპასუხის ბინა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ, რამდენადაც მოპასუხის ბრალით მოსარჩელის ბინაში წყლის ჩასვლა ექსპერტისა და სპეციალისტის ჩვენებით ცალსახად არ დასტურდება, აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საყურადღებოა, რომ მითითებული მტკიცებულებებით აღნიშნული გარემოება არც გამოირიცხება. ამასთან, სპეციალისტის ჩვენებაში საუბარია იმაზე, რომ ზედა სართულზე კომუნიკაციები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იყო სპეციალისტის მიერ დათვალიერების პერიოდისათვის, ხოლო მოცემულ შემთხვევაში საქმისათვის მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კომუნიკაციების მდგომარეობას ზიანის მიყენების მომენტში. გარდა ამისა, ისინი მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულებაა საქმეზე, რომლებიც შეფასებას ექვემდებარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივად სრულად გაათავისუფლა თავისი წილი მტკიცების ტვირთისაგან მოპასუხე და აღნიშნული ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს დააკისრა, რამაც მტკიცების ტვირთის არასწორი გადანაწილების შედეგად გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე არ უარყოფს მოსარჩელის ბინაში წყლის ჩასვლას ზემოდან, სადაც მისი ბინა მდებარეობს და ამით ზიანის მიყენებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ ვითარებაში მოპასუხემ, თავისი წილი მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით, სარწმუნოდ უნდა დაამტკიცოს, რომ წყალი მისი ბინიდან არ ჩასულა და უნდა დაადასტუროს წყლის ჩასვლის სხვა გზების არსებობა მოცემულ შემთხვევაში.

მხოლოდ ორივე მხარის მიერ მათი წილი მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრის, ამ ტვირთის მათ მიერ გაწვევის საკითხის სწორად შეფასებისა და აღნიშნულის შედეგად შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენის შემთხვევაშია შესაძლებელი გაირკვეს, არის თუ არა სახეზე სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შემადგენლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მტკიცებულებათა შეგროვება

განჩინება

#ას-136-466-09

28 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა, მემკვიდრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 5 მაისს ვანის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ქ-შვილმა მოპასუხე დ. ბ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა აწ გარდაცვლილ ა. ბ-ძესთან ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა, მათ შორის საქორწინო ურთიერთობის კანონიერად აღიარება და ვანში, ქ. #21-ში მდებარე ა. ბ-ძის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ ცნობა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ლ. ქ-შვილი 1989 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვლილ ა. ბ-ძესთან. აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს, 1992 წლის ოქტომბერში, ოჩამჩირის მმარის განყოფილებაში, რომელიც მდებარეობდა პოლიციის შენობასთან, მითითებულ პირებს შორის შედგა ქორწინების რეგისტრაცია, რომელსაც ესწრებოდნენ მოსარჩელის მეუღლის თანამებრძოლები: ა. რ-შვილი და შ. ხ-ძე. ქორწინების რეგისტრაციამდე და რეგისტრაციის შემდგომაც ლ. ქ-შვილი მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა და ეწეოდა ოჯახურ მეურნეობას. ა. ბ-ძე გარდაიცვალა 2007 წლის 11 მარტს. მისი გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის დანაშთ ქონებას -ვანში, ქ. #21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს ფლობს და განკარგავს მოსარჩელე. მან გაიღო მოპასუხის დაკრძალვის, საფლავის მოწყობის და სხვა აუცილებელი ხარჯები. მას და ა. ბ-ძეს შორის საქორწინო ურთიერთობის რეალურად არსებობის დასადასტურებლად მოსარჩელე მიუთითებდა ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის 03.09.2007წ. #1-2/2510 და 23.04.2008წ. #1-2/987 ცნობებზე, აგრეთვე, მოწმეთა ჩვენებებზე. სასარჩელო მოთ-

ხოვნები სამართლებრივად ეფუძნებოდა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლს, ამავე კოდექსის 1306-ე, 1307-ე, 1336-ე მუხლებს.

მოპასუხე დ. ბ-მემ სარჩელი არ ცნო და მის უარსაყოფად შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

ლ. ქ-შვილმა განსახილველი სარჩელის აღძვრამდე ვანის რაიონულ სასამართლოში წარდგენილი განცხადებით მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურება იმის შესახებ, რომ იგი და აწ გარდაცვლილი ა. ბ-მე იყვნენ მეუღლეები, ხოლო თავად წარმოადგენს მეუღლის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრეობის მისაღებად უფლებამოსილ პირს. დასახელებულ განცხადებაში ლ. ქ-შვილი აღნიშნავდა, რომ ა. ბ-მესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილა. ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ლ. ქ-შვილის განცხადება დარჩა განუხილველი ამ უკანასკნელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

მოგვიანებით ლ. ქ-შვილმა ა. ბ-მესთან ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით კვლავ მიმართა ვანის რაიონულ სასამართლოს. თავდაპირველად წარდგენილი განცხადებისაგან განსხვავებით, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 1992 წლის ოქტომბერში ოჩამჩირის მმაჩის ყოფილებაში მას და ა. ბ-მეს შორის მოხდა ქორწინების რეგისტრაცია, რასაც ესწრებოდნენ მისი მეუღლის თანამებრძოლები ა. რ-შვილი და შ. ხ-მე. ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ქ-შვილის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მოპასუხე საგულისხმოდ მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ სადავო შემთხვევაში სახელმწიფო არქივში არ მოიპოვებოდა ქორწინების რეგისტრაციის სააქტო ჩანაწერის მეორე ეგზემპლარი, რომელიც მისი არსებობის შემთხვევაში იქ დაუყოვნებლივ უნდა გადაგზავნილიყო. გარდა ამისა, ლ. ქ-შვილსა და ა. ბ-მეს შორის ქორწინების რეგისტრაცია ვერ მოხდებოდა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა, რამდენადაც 1992 წელს მოქმედი საქორწინო და საოჯახო კოდექსის 177-ე მუხლიდან გამომდინარე, ქორწინების რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რამდენადაც ლ. ქ-შვილი თელავში, ხოლო ა. ბ-მე ვანში იყო რეგისტრირებული, მათი ოჩამჩირეში რეგისტრაცია გამოირიცხებოდა.

მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ წარდგენილ, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობაზეც, რომლის მიხედვით, ლ. ქ-შვილი, მცხოვრები ქ. თელავში, ... ქ. #3-ში, ჩაუწერლად ცხოვრობს ქ. ვანში, ... ქ. #21-ში. დ. ბ-მის განმარტებით, მოცემული ცნობა, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი, საქმის მასალებიდან უნდა ამოღებულიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხემ მიუთითა "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ასეთ უფლებამოსილებას სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს ანიჭებდა. ამასთან, დასახელებული კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თვით სახელმწიფო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო, ნებისმიერი სხვა დაწესებულება, პირის საცხოვრებელი ადგილის დადასტურების მიზნით უფლებამოსილია, მოითხოვოს პირადობის მოწმობის ან მისი ასლის წარდგენა.

რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის სხდომაზე ლ. ქ-შვილმა დამატებით განმარტა, რომ, რამდენადაც ა. ბ-მესთან ქორწინების რეგისტრაციის დროისათვის -1992 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ვითარება იყო დამაბული, კერძოდ, იყო საომარი მდგომარეობა, ქორწინების რეგისტრაცია მოხდა პოლიციის შენობაში, რასაც ესწრებოდნენ შ. ხ-მე და ა. რ-შვილი. შემდგომში, როდესაც ლ. ქ-შვილმა მიმართა აფხაზეთის მმაჩის არქივს, მასში ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი ასახული არ აღმოჩნდა. მას აღნიშნული გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია მანამ, ვიდრე ნოტარიუსმა უარი არ უთხრა მემკვიდრეობის მიღებაზე. აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ მოსარჩელე ა. ბ-მესთან ერთად ცხოვრობდა ვანში, სადაც ცხოვრობს დღემდე. ლ. ქ-შვილს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ არ მიუტოვებია საცხოვრებელი სახლი, ფლობს და სარგებლობს ა. ბ-მის ქონებით, ამიტომ ფაქტობრივად მიღებული აქვს სამკვიდრო. მოპასუხე (დ. ბ-მე) არის ა. ბ-მის ბიძა, რომელსაც ამ დრომდე სამკვიდროს მიღებაზე პრეტენზია არ განუცხადებია.

ვანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: დადგინდა 1992 წლის ოქტომბერში, ქ. ოჩამჩირეში, ლ. ქ-შვილსა და ა. ბ-მეს შორის ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი; მათ შორის საქორწინო ურთიერთობა აღიარებულ იქნა კანონიერად; ლ. ქ-შვილი, როგორც მეუღლე, ცნობილ იქნა აწ გარდაცვლილი ა. ბ-მის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრედ.

რაიონულმა სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე საქმეზე დადასტურებულად ცნო, რომ ლ. ქ-შვილსა და ა. ბ-მეს შორის ქორწინების რეგისტრაცია მოხდა საქართველოში არსებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, კერძოდ, აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. მოწმეები პირდაპირ მიუთითებდნენ სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ქორწინების

რეგისტრაციასა და მის გაფორმებაზე, წელსა და თარიღზე. ქორწინების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვებოდა აფხაზეთის არქივის უქონლობის გამო. მოპასუხემ აღნიშნული ფაქტის საწინააღმდეგო მტკიცებულება ვერ წარადგინა.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია უნდა მომხდარიყო ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ვინაიდან საქართველოში იმ დროს არსებული საომარი მოქმედებები და საგანგებო მდგომარეობა წარმოადგენდა მიზეზს, რომ ქორწინების რეგისტრაცია სწრაფად განხორციელებულიყო. იმ დროისათვის, როგორც მხარე განმარტავდა, ნებისმიერ დროს იყო შესაძლებელი თითოეული მათგანის დაღუპვა და რეგისტრაციის აუცილებლობა სწორედ ამით იყო გამოწვეული.

რაიონულმა სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის პრეტენზია იმის შესახებ, რომ რეგისტრაციის რეალურად არსებობის შემთხვევაში მისი ერთ-ერთი ეგზემპლარი უნდა გაეგზავნათ იმ დროისათვის არსებულ მმაჩის ცენტრალურ არქივში. სასამართლოს მოსაზრებით, რეგისტრაციის განმარტებელი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო შეუსრულებლობა არ შეიძლებოდა გამხდარიყო მოსარჩელის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი.

საქმეზე წარდგენილ, ვანის მუნიციპალიტეტის ცნობასთან მიმართებით, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ლ. ქ-შვილის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის პრეტენზია აღნიშნული ცნობის თაობაზე არ უნდა გამხდარიყო მსჯელობის საგანი, რამდენადაც ცნობის გამცემი პირის უფლებამოსილების გამორკვევა არ შედიოდა განსახილველი დავის ფარგლებში.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ლ. ქ-შვილსა და აწ გარდაცვლილ ა. ბ-ძეს შორის ქორწინების რეგისტრაცია განხორციელდა 1992 წლის ოქტომბერში, ქ. ოჩამჩირეში, ქორწინების მარეგისტრირებელ ორგანოში. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანი იყო მოსარჩელის მოთხოვნა მემკვიდრედ ცნობის თაობაზეც, ვინაიდან ქორწინების ფაქტი წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს, მათ შორის, მემკვიდრეობის მიღების უფლებას. ამასთან, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ ლ. ქ-შვილი მეუღლის გარდაცვალებიდან ამ დრომდე იმყოფებოდა ვანში, ... ქ. #21-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ფლობდა და განაგებდა მეუღლის დანაშთ ქონებას, რის გამოც ცნობილი უნდა ყოფილიყო მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მემკვიდრედ.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის მითითებით, ლ. ქ-შვილმა განსახილველი სარჩელის აღძვრამდე -2007 წლის 4 სექტემბერს ვანის რაიონულ სასამართლოში წარდგენილი განცხადებით მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურება იმის შესახებ, რომ იგი და აწ გარდაცვლილი ა. ბ-ძე იყვნენ მეუღლეები, ხოლო თავად წარმოადგენდა მეუღლის დანაშთ ქონებაზე მემკვიდრეობის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. დასახელებულ განცხადებაში ლ. ქ-შვილი აღნიშნავდა, რომ ა. ბ-ძესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილა. ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ლ. ქ-შვილის განცხადება დარჩა განუხილველი ამ უკანასკნელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო.

მოგვიანებით ლ. ქ-შვილმა ა. ბ-ძესთან ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნით კვლავ მიმართა ვანის რაიონულ სასამართლოს. თავდაპირველად წარდგენილი განცხადებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში განმცხადებელი მიუთითებდა, რომ 1992 წლის ოქტომბერში, მასა და ა. ბ-ძეს შორის მოხდა ქორწინების რეგისტრაცია, რასაც ესწრებოდნენ მისი მეუღლის თანამებრძოლები: ა. რ-შვილი და შ. ხ-ძე. ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ქ-შვილის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რასაც საფუძვლად დაედო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ სადავო შემთხვევაში მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა შეუძლებელი იყო.

აპელანტის განმარტებით, განსახილველ საქმეზე სახეზე იყო ლ. ქ-შვილის იგივე მოთხოვნები, რომლებიც იმავე მოტივებს ეფუძნებოდა. მისი აზრით, ამ შემთხვევაში სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა, ფაქტობრივი გარემოების დასადგენად მტკიცებულებად მიიჩნია მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები და შედეგად სარჩელი დააკმაყოფილა, რაც არასწორია. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა მოპასუხის მიერ წარდგენილ, ლ. ქ-შვილის განცხადებაზე, სადაც იგი აღიარებდა, რომ მასა და აწ გარდაცვლილ ა. ბ-ძეს შორის ქორწინება არ ყოფილა რეგისტრირებული. ამასთან, სასამართლომ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით და მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვე-

ტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლით, რაც განსახილველ საქმეზე წარმოების შეწყვეტას განაპირობებდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ვანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ქ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, ამავე კოდექსის 103-ე მუხლზე და განმარტა, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით; მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი, ვინაიდან ლ. ქ-შვილის მიერ არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე, 102 და 103-ე მუხლების თანახმად) წარდგენილი უტყუარი მტკიცებულება რეგისტრაციის ფაქტის არსებობის თაობაზე. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება დადგენილიყო მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით და უნდა დადასტურებულიყო მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ ლ. ქ-შვილისა და ა. ბ-ძის ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი დადასტურებულად არ მიიჩნია, აღნიშნა, რომ ლ. ქ-შვილი ვერ იქნებოდა ა. ბ-ძის ქონების მემკვიდრე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლის არსებობის თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა ხდება სასარჩელო და უდავო წარმოების (რასაც ადგილი ჰქონდა წინა შემთხვევებში) გზით. სასარჩელო წარმოებაში ფაქტების დადგენა წარმოებს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის მიზნით, რაც უფლების შესახებ მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტის წინაპირობაა. უდავო წარმოებაში კი იურიდიული ფაქტების დადგენა სასამართლო განხილვის საბოლოო მიზანია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სსრკ-ის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 177-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ქორწინების რეგისტრაცია ხდებოდა მოქალაქეობრივი აქტების ჩამწერ ორგანოში ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ან მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზემოთ დასახელებული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ქ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძვლებით:

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უარსაყოფად იმ გარემოებაზე მითითება, რომ მოსარჩელემ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი ვერ დაადასტურა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებით. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად ლ. ქ-შვილმა სასამართლოში წარადგინა მოწმეთა, მათ შორის, იმ პირთა ჩვენებები, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ ქორწინების რეგისტრაციას.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე მუხლები. მითითებული 102-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ იმ გარემოებათა დამტკიცება, რომლებსაც ემყარება მხარის მოთხოვნა ან შესაგებელი, შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ყველა დასახელებულ მტკიცებულებას გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და რაიმე კონკრეტული გარემოების დასადასტურებლად არ არის აუცილებელი მათი ერთობლიობაში არსებობა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით, მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს და ვერც სასამარ-

თლო მიუთითებს ნორმას, რომლითაც ქორწინების ფაქტის დადგენისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები.

კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ქორწინების რეგისტრაციისათვის სადავო პერიოდში მოქმედი საოჯახო კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ხელისშემშლელი გარემოება. ერთ-ერთ დასაქორწინებელი პირის -ლ. ქ-შვილის მამა (გ. ქ-შვილი) 1962 წლიდან ცხოვრობდა აფხაზეთში, მათ შორის, გარკვეული წლების მანძილზე ოჩამჩირეში, რაც შესაძლებელს ხდიდა ოჩამჩირის მმჩის განყოფილებაში მითითებულ პირებს შორის ქორწინების რეგისტრაციას.

დავის გადაწყვეტის დროს სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. იმ პირობებში, როდესაც აპელანტს ა. ბ-ძესთან მოსარჩელის ქორწინების ფაქტის უარყოფელი მტკიცებულება არ გააჩნდა, სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

აღნიშნული საქმის განხილვისას სასამართლომ ერთ-ერთ მტკიცებულებად მიუთითა ლ. ქ-შვილის 4.09.2007წ. განცხადებაზე, რაც არასწორია. აღნიშნული განცხადების დაწერის განმავლობაში მიზეზების შესახებ მოსარჩელემ განუმარტა სასამართლოს, ხოლო მისი გაზიარების ან პირიქით, გაუზარებლობის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მსჯელობას არ შეიცავს. რეალურად, განცხადების დაწერა გამოიწვია იმან, რომ ლ. ქ-შვილი, როგორც მას განუმარტეს, ქორწინების დამადასტურებელი საბუთების მოძიებით არ უნდა დაყოვნებულიყო.

კასატორის აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების პირობებში მისი, როგორც კანონისმიერი მემკვიდრის უფლებები არსებითად შეილახება, რამდენადაც იგი სამკვიდროს გარეშე, ფაქტობრივად, ქუჩაში აღმოჩნდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადგინდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა, რომ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დაუშვებელია. სასამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც უნდა დადასტურდეს კანონით პირდაპირ განსაზღვრული გარკვეული სახის მტკიცებულებებით და რომ მისი დადგენა მოწმეთა ჩვენებებით, თუნდაც მხოლოდ მათ საფუძველზე, დაუშვებელია, ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა არ განეკუთვნება. ასეთ ამკრძალავ ნორმას მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს.

რაც შეეხება საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებს, სააპელაციო სასამართლოს ისინი არ შეუფასებია და სასარჩელო მოთხოვნის მართლზომიერების შესახებ მათ საფუძველზე არსებითად არ უმსჯელებია, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, საქმეზე გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სსრკ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 177-ე მუხლზე მითითება ამ შემთხვევაში ასევე დაუსაბუთებელია. აღნიშნული ნორმა, მართალია, ითვალისწინებდა ქორწინების რეგისტრაციას მოქალაქეობრივი აქტების ჩამწერ ორგანოში ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ან მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ ამ წესის დარღვევას აღნიშნული კოდექსი არ განიხილავდა ქორწინების ბათილობისა და არშემდგარად ცნობის საფუძველად. ამდენად, აღნიშნული ნორმა არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს.

რაც შეეხება ვანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებასა და ამავე სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებას, მათ ვერ ექნებათ პრეიუდიციული მნიშვნელობა მოცემული საქმის მიმართ, რამდენადაც საქმეთა განხილვაში ყველა იგივე მხარის მონაწილეობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით დადგენილი პირობა სახეზე არ არის. ისინი, ისევე როგორც ამ გადაწყვეტილებებით დამთავრებულ საქმეთა მასალები, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მტკიცებულება საქმეზე, რომლებიც უნდა შეფასდეს საქმის დანარჩენ მასალებთან, მათ შორის, მოწმის ჩვენებებთან ერთობლიობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეგროვება

განჩინება

#ას-239-564-09 17 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ამხანაგობიდან გასვლის გამო ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ტ. წ-იამ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88-ის“ მიმართ იმაზე მითითებით, რომ ის 1990 წელს გაწევრიანდა ზემოხსენებულ ამხანაგობაში ხუთთახიანი ბინის მისაღებად, ფართობით -130 კვ. მ აივნების გარეშე. 1990 წლის 18 ოქტომბერს მოსარჩელემ ამხანაგობაში განხორციელა შენატანი 40 000 რუსული მანეთი, 1993 წლის 5 ივლისს კი -25 000 000 რუსული მანეთი. წლების განმავლობაში მშენებლობის დასრულება არ მოხერხდა, ბოლოს ამხანაგობამ მოსარჩელეს მის მიერ განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ შესთავაზა ამხანაგობის მიერ აშენებულ ბინაში მხოლოდ 20 კვ. მ. 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოგვიანებით ტ. წ-იამ კვლავ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ამხანაგობიდან გასვლის გამო ამხანაგობაში მის მიერ 1990 და 1993 წლებში განხორციელებული შენატანის -40 000 და 25 000 000 რუსული მანეთის ეროვნულ ვალუტაში დაბრუნება, კემროდ, მოპასუხისათვის 186 648 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოსარჩელის მიერ შეტანილი რუსული 40 000 მანეთი სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოადგენდა 0.04 ლარს, ხოლო რუსული 25 000 000 მანეთი -25 ლარს, შესაბამისად მოპასუხე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 25, 04 ლარის გადახდა

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ტ. წ-იამ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით ტ. წ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“ შეიქმნა 1988 წლის 8 სექტემბერს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

ტ. წ-იამ 1990 წელს გაწევრიანდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88-ში“ ხუთთახიანი ბინის მისაღებად ფართობით -130 კვ. მ აივნების გარეშე.

მოსარჩელემ ამხანაგობაში შენატანის სახით 1990 წელს გადარიცხა 40 000 რუსული მანეთი;

ტ. წ-იამ 1993 წელს ამხანაგობას გადაუხადა 25 000 000 რუსული მანეთი;

ტ. წ-იამ არის ამხანაგობის წევრი;

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“ წარმოადგენს 1988 წლის 8 სექტემბერს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დაფუძნებული კოლექტიური ამხანაგობის უფლებამონაცვლეს.

პალატამ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სამართალურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს ერთობლივი საქმიანობის მომრეგულირებელი ნორმებით, რადგან ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში. ამხანაგობიდან წევრის გასვლის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს შესრულების უკან დაბრუნება ან წილის ფულადი კომპენსაცია. რადგან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იყო დადგენილი, პალატამ ჩათვალა, რომ ტ. წ-იას წილი ამხანაგობაში განისაზღვრებოდა მის მიერ განხორციელებული თანხის შესაბამისად. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს თანხა უნდა დაუბრუნდეს მსყიდველ-უნარიანობის გათვალისწინებით.

პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ ფულადი მოთხოვნების შესრულებისას მოქმედებს ნომინალიზმის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, ვალდებულება (თანხის უკან დაბრუნება) ნაკისრ თანხაში უნდა დაიფაროს; უმართებულოა ფულადი თანხის შესასრულებელი ვალდებულების გაიგივება გარკვეულ მსყიდველობითუნარიანობასთან; ფულადი ვალდებულების საგანს წარმოადგენს ფულადი ნიშნების გარკვეული თანხა, ფულის მსყიდველობითუნარიანობითობის ცვალებადობა არ წარმოადგენს გადასახდელი თანხის გადაფასების საფუძველს. აღნიშნული ცვლილების მიუხედავად, ფულის მსყიდველობითუნარიანობა ნომინალის მიხედვით განისაზღვრება. იურიდიული ნომინალიზმის პრინციპი წარმოადგენს ფულადი გაანგარიშებისა და გადახდების საფუძველს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძველად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის #246 1993 წ. 24 მარტის „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის გამოშვების შესახებ“ დადგენილებით საგადამხდელო საშუალების სახით შემოღებულ იქნა „კუპონი“. აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, თანაფართობა კუპონსა და მანეთს შორის განისაზღვრა 1-1-ზე.

„მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გამოშვების შესახებ“ 1995 წ. 16 სექტემბრის #363 საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა ეროვნული ლარი და კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შეფარდებით 1 000 000 კუპონი 1 ლარზე. შესაბამისად, ტ.წ-იას მიერ შეტანილმა თანხამ, პალატის განმარტებით, შეადგინა საერთო ჯამში 25.04 ლარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ტ. წ-იამ.

კასატორის განმარტებით, მართალია, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ის გარემოება, რომ ტ. წ-იას მიერ ამხანაგობაში შენატანი განხორციელებული არის ორ ნაწილად, ანუ 1990 წელს 40 000 რუსული მანეთის ოდენობით, ხოლო 1993 წელს 25 000 000 რუსული მანეთის ოდენობით, მაგრამ სასამართლომ ამხანაგობისათვის წილის ფულადი კომპენსაციის განხორციელების მოვალეობის დაკისრებისას, არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი (და შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 მარტის #246 დადგენილება და საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 16 სექტემბრის #363 ბრძანებულება „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გამოშვების შესახებ“).

კასატორის აზრით, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის წმინდა ფულადი ვალდებულება – რამდენადაც ამხანაგობის ვალდებულება მდგომარეობს იმაში, რომ მას ტ. წ-იას მიერ განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ შეესრულებინა შემხვედრი ვალდებულება – გადაეცა ბინა და სწორედ იმის გამო, რომ ამხანაგობამ ეს ვალდებულება არ შეასრულა, მან ტ. წ-იას, ხელშეკრულებიდან მისი გასვლის გამო (რასაც სასამართლოც უთითებს დასაბუთებაში), უნდა მისცეს წილის ფულადი კომპენსაცია. კასატორის განმარტებით, მის მიერ განხორციელებული შენატანი სარგებლით უნდა დაუბრუნდეს ფულის მსყიდველუნარიანობისა და სარგებლის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ტ. წ-ია 1990 წელს გაწვევრიანდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილის 88-ში“ ხუთოთახიანი 130 კვ. მ ბინის მისაღებად. მან ამხანაგობაში შენატნის სახით 1990 წელს გადარიცხა 40000, ხოლო 1993 წლის 5 ივლისს -25 000 000 რუსული მანეთი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნული თანხა გადახდილია ბინის ასაშენებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ აღნიშნული თანხა არ იყო საკმარისი ხუთოთახიანი ბინის ასაშენებლად. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა დაედგინა თუ რა ფართის ბინა შეიძლება აშენებულიყო აღნიშნული თანხით და, შესაბამისად განესაზღვრა მისაღები ფართის, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, ამ ფართის საბაზრო ღირებულება. აღნიშნული ფაქტის დადგენა შესაძლებელია მოპასუხის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. კერძოდ, ბინით დაკმაყოფილებულ პირთა მიერ გადახდილი თანხების დამადასტურებელი მტკიცებულებათა შეფასებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ღონიძიებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეებს დაავალოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების წარმოდგენა. აღნიშნული დებულება მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე, 203-ე მუხლებშიც. ამდენად, თუ დავის გადასაჭრელად და მისთვის საჭირო გარემოებათა დასადგენად აუცილებელია მტკიცებულებანი, სასამართლო უფლებამოსილია წინადადება მისცეს მხარეებს, წარმოადგინონ იგი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული თანხა გადახდილია ტ. წ-იას მიერ ბინის ასაშენებლად, ანუ მხარეები შეთანხმდნენ არა ცალკე აღებულ თანხაზე, არამედ ბინის ღირებულებაზე. ამდენად, მოპასუხე ვალდებულია, აანაზღაუროს ბინის ფართის საბაზრო ღირებულება იმ ოდენობით, რაც გადახდილი ჰქონდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი არ უნდა გამოეყენებინა. აღნიშნული ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს აკისრია თანხის გადახდის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს ბინის აშენება ევალებოდა. დღეისათვის კი თანხის დაბრუნების შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხით აშენებული ფართის ღირებულების შესაბამისი თანხა.

პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნულის გამო გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისათვის უნდა დაადგინოს, თუ რა ფართის ღირებულებას წარმოადგენს ტ. წ-იას მიერ განხორციელებული შენატანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ტ. წ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-650-872-08

22 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: დავალიანების გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიერ 2006 წლის 13 მარტს გორის რაიონულ სასამართლოში შეტანილ იქნა განცხადება გორის ჯავშანსატანკო ბატალიონის მიმართ გადახდის ბრძანების მიღების შესახებ. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სს „საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიერ გორის ჯავშანსატანკო ბატალიონს მიეწოდება ელექტროენერგია. ამ უკანასკნელმა ჯეროვნად არ შეასრულა მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის ვალდებულება და სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიმართ გააჩნია დავალიანება 17 964 ლარისა და 23 თეთრის ოდენობით. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად განმცხადებელმა მიუთითა 2005 წლის 1 ოქტომბრის ორმხრივი შედარების აქტზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 მარტის გადახდის ბრძანებით დაკმაყოფილდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალური დირექტორის განცხადება გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონის მიმართ დავალიანების გადახდის ვალდებულების შესახებ, გორის ჯავშანსატანკო ბატალიონს დაეკისრა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სასარგებლოდ 17 964,23 ლარის გადახდა.

2006 წლის 10 აპრილს მოპასუხემ წარადგინა შესაგებელი, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა განჩინება გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნის სასარგებლოდ წარმოების წესით განხილვის თაობაზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 მაისის განჩინებით სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სარჩელი დავალიანების გადახდის შესახებ იმ გარემოების გამო, რომ მოცემულ დავაში სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით, განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 მაისის განჩინებით, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სარჩელის განხილვის მიზნით, დაინიშნა მთავარი სხდომა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე სასამართლოში საჩივარი წარადგინა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“. საჩივრის ავტორმა მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ოქტომბრის საოქმო განჩინებით სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს „ენერგია XXI“. ამავე სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებით სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საჩივარი დაკმაყოფილდა და განახლდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ უფლებამონაცვლედ სს „ენერგია XXI-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და მის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა 17 964 ლარისა და 23 თეთრის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, უც-

ვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, მოპასუხის - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების მოსარჩელისათვის გადაუხდელობის გამო, დავალიანების არსებობა საქმეში წარმოდგენილი 2005 წლის 1 ოქტომბრის შედარების აქტის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, კანონიერად გააუქმა მოცემულ საქმეზე ამავე სასამართლოს მიერ მიღებული 2007 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, დადგენილად მიიჩნია, რომ ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება მხარეთა შორის არ დადებულა. საქმეში არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულება მხარეებს შორის ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ და სხვა აუცილებელი მტკიცებულებები, რაც სარჩელის მოთხოვნის საფუძველიანობას დაადასტურებდა.

კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ვალის აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა დასტურდებოდეს თავდაცვის მინისტრის ხელმოწერით, რადგან, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის #119 ბრძანებულების თანახმად, ის წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს და შესაბამის უფლებამოსილ პირს.

კასატორის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არის უკანონო. მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლომ მოსარჩელე მხარე სასამართლოში საქმის განხილვის დროის თაობაზე არ გააფრთხილა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 78-ე მუხლით დადგენილი წესით, არასწორია.

კასატორი ასევე უთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 პუნქტი - არ იმსჯელა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს "ენერჯია XXI-ს" (რომელიც წარმოადგენს სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" უფლებამონაცვლეს) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებობდა ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის მოსარჩელისათვის გადაუხდელობის გამო დავალიანების არსებობა. აღნიშნული გარემოება სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად ჩათვალა საქმეში არსებული 2005 წლის 1 ოქტომბრის შედარების აქტის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტის 2007 წლის 5 სექტემბრის #9/2713 წერილისა და 2007 წლის 13 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების საფუძველზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება მხარეთა შორის არ დადებულა. ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე მიუთითებს ელექტროენერგიის მიწოდებისა და, შესაბამისად, მისი მოხმარების ფაქტი, რომელსაც კასატორი ვერ აქარწყლებს.

ასევე არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არის უკანონო.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოცემული საქმის განხილვა 2007 წლის 12 ივლისს დანიშნულ სხომაზე, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო 2007 წლის 6 სექტემბერს, 11 საათზე, რის შესახებაც სასამართლოს მიერ გართხილებულ იქნენ მხოლოდ მხარეთა წარმომადგენლები, ხოლო უშუალოდ მხარეებს შეტყობინა სასამართლოში საქმის განხილვის დროის თაობაზე არ გაეგზავნათ.

ამასთან მიმართებაში საკასაციო პალატა განმარტავს, იმ დროს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად ადგენდა, რომ სასამართლო შეტყობინება სასამართლოს უნდა გაეგზავნა არა მარტო წარმომადგენლისათვის, არამედ ასევე უშუალოდ მხარესათვისაც. აღნიშნული ნორმის იმპერატიული დანაწესის სხვაგვარი განმარტება დაუშვებელია. კასატორი არ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლითაც დადასტურდება სამოქალაქო საპროცესო ნორმის დარღვევა.

კასატორი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა სწორად შეფასებული საქმეში არსებული მტკიცებულებები, არ იქნა სწორად შეფასებული 2005 წლის 1 ოქტომბრის შედარების აქტი, რადგან კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული აქტი არ არის ვალის აღიარება.

კასატორი ასევე უთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე.

აღნიშნული გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რადგან მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, არ იკვლევს და არ ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს, რითაც განისაზღვრება მოთხოვნის ხანდაზმულობის სამართლებრივი საფუძვლები. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ შეუძლებელია მოთხოვნის ხანდაზმულობაზე ან ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის კანონიერების შემოწმება.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა მის მიერ შეფასებული ზემოაღნიშნული მტკიცებულებები მიუთითებენ თუ არა საქართველოს დავდაცვის სამინისტროს მიერ მომავალში ვალდებულების შესრულებაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. კანონის აღნიშნული დანაწესი მიუთითებს იმაზე, რომ მტკიცებულებების შეფასება უნდა მოხდეს ერთობლიობაში, მხოლოდ მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა წარმოადგენს მათი სწორი შეფასების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქმეში არსებული მტკიცებულებების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ხანდაზმულია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა და სამართლებრივად სწორად შეაფასოს საქმეში არსებული მასალები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-717-937-08

11 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 16 აგვისტოს გ. ჭ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე შპს „არილი 2000-ის“, მესამე პირის –საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა 119353 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და შპს „მეგობრობას“ შორის 1996 წლის 25 მარტს დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით, შპს „მეგობრობას“ უნდა ესარგებლა ავტოსაწარმოს ადმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობებით, თავის მიმდებარე ტერიტორიაზე საზღვარგარეთიდან შემოსული ავტოტრანსპორტის სადღეღამისო სადგომის მოსაწყობად, ასევე, მძღოლებისა და მათი თანმხლები პირების მომსახურებისათვის. შენობა-ნაგებობების შეკეთებას ორივე მხარე აწარმოებდა ერთობლივი ფინანსებით.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილია იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ შპს „მეგობრობის“ მიერ 1996, 1997, 1998 წლებში ქ. თბილისში, ... ქ. #2-ში მდებარე ავტოსატრანსპორტო საწარმოში ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 93095 აშშ დოლარი, რაც იმდროინდელი ეროვნული ვალუტის კურსით შეადგენს 119353 ლარს, რასაც ასევე ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 6 მარტის წერილი.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ავტოსაწარმოს უფლებამონაცლეს წარმოადგენს შპს „არილი-2000“.

2001 წლის 8 აგვისტოს შპს „მეგობრობის“ დირექტორ შ. დ-ძესა და გ. ჭ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მოთხოვნის დათმობის შესახებ, რომლითაც შპს „მეგობრობამ“ გ. ჭ-ძეს გადასცა შპს „არილი-2000-ის“ დავალიანების -93 095 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხემ განმარტა, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დადასტურებულია შპს „არილის“ ვალი შპს „მეგობრობის“ მიმართ 93095 აშშ დოლარის ოდენობით, ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის, რაც შეეხება ვალის გადახდას, შპს „არილი-2000-ს“ დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნული თანხები არ გააჩნია.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა –მოპასუხე შპს „არილი-2000-ს“ დაეკისრა 93095 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა გ. ჭ-ძის სასარგებლოდ.

შპს „არილი-2000-მა“ სააპელაციო საჩივარი შეიტანა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „არილი-2000-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჭ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გ. ჭ-ძემ საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 10 ივნისის განჩინებით გ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინება და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით შპს „არილი-2000-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჭ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჭ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განჩინებით გ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შპს „არილი-2000-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ჭ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „არილი-2000-ს“ გ. ჭ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 109 835 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1996 წლის 25 მარტს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორ ვ. გ-ძესა და შპს „მეგობრობის“ დირექტორ გ. ჭ-ძეს შორის გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ავტოსაწარმომ“ ერთობლივი საქმიანობისათვის ფირმა „მეგობრობას“ შესთავაზა როგორც ადმინისტრაციული, ისე -სხვა შენობა-ნაგებობები თავისი მიმდებარე ტერიტორიით საზღვარგარეთიდან შემოსული ავტოსატრანსპორტო სადღეღამისო სადგომის მოსაწყობად, ასევე, მძღოლებისა და მათი თანმხლები პირების მომსახურებისათვის.

1996 წლის 12 აპრილს შპს „მეგობრობის“ დირექტორსა და რ. მ-ძეს შორის საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ტერიტორიაზე სამშენებლო-სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების თაობაზე გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, „მოიჯარადემ“ იკისრა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების ვალდებულება სამინისტროს სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ტერიტორიაზე (... ქ. #2) „დამკვეთის“ მიერ გადაცემული დეფექტური აქტის მიხედვით დამკვეთის მასალებითა და მოწყობილობებით.

1996 წლის 18 აპრილს შედგა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ტერიტორიაზე (... ქ. #2) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თაობაზე დეფექტური აქტი, რომელიც დამტკიცებულია შპს „მეგობრობის“ დირექტორ გ. ჭ-ძის მიერ და შეთანხმებულია სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ დირექტორ ვ. გ-ძესთან.

რ. მ-ძის მიერ შედგენილ იქნა აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაგებობებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების ნაკრები ხარჯთაღრიცხვა, საერთო ღირებულებით 109835 ლარი, რომელიც 1996 წლის 22 აპრილს შეთანხმებულ იქნა შპს „მეგობრობის“ დირექტორთან.

1997 წლის 5 მაისს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის შესაბამისად, რ. მ-ძემ შპს „მეგობრობის“ დირექტორს ჩააბარა „ავტოსერვისი-96-ის“ ტერიტორიაზე 1996 წლის 18 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული და დამატებით შესრულებული სამშენებლო-სარემონტო და გასამართი სამუშაოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ შპს „მეგობრობამ“ 1996 წლის მაისიდან 1997 წლის მაისამდე თბილისში, ... ქ. #2-ში მდებარე ტერიტორიაზე შეასრულა 109 835 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

დადგინდა იქნა მიჩნეული ისიც, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდა 1997 წლის ივნისში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის 1996 წლის 25 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება იყო ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 447-ე მუხლის მიხედვით, საერთო საქმიანობის ხელშეკრულებით მხრეები კისრულობენ ვალდებულებას, ერთად იმოქმედონ საერთო სამეურნეო მიზნის მისაღწევად.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გარდაიქმნა სახაზინო საწარმოდ (სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96“), რომელიც რეგისტრაციაში გატარდა 1996 წლის 22 აპრილს. 1997 წლის 13 მარტს რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ავტოსატრანსპორტის სახაზინო საწარმო „არილი“, რომელიც შეიქმნა ცენტრალური აპარატის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზასა და სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ქონების ბაზაზე. ასევე დადგინდა იქნა ცნობილი, რომ 2000 წლის 23 ივნისს რეგისტრაციაში გატარდა შპს „არილი-2000“, რომლის 100% წილის მფლობელს წარმოადგენდა სახელმწიფო, წარმოდგენილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახით. საზოგადოების წესდებით დადგინდა, რომ შპს „არილი-2000“ არის საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ყოფილი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ავტოსატრანსპორტის სახაზინო საწარმო „არილის“ უფლებამონაცვლე, რომელიც დაფუძნებულია სახაზინო საწარმო „არილის“ ქონების ბაზაზე.

1999 წლის 26 მარტს რეგისტრირებული შპს „მეგობრობა“ წარმოდგენს მცხეთის რაიონის საკრებულოს გამგეობის მიერ 1993 წლის 27 მაისის #80 გადაწყვეტილებით რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეგობრობის“ უფლებამონაცვლეს.

2001 წლის 8 აგვისტოს შპს „მეგობრობის“ დრექტორსა და ფიზიკურ პირ გ. ჭ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მოთხოვნის დათმობის შესახებ, რომლის თანახმად, შპს „მეგობრობამ“ გადასცა გ. ჭ-ძეს შპს „მეგობრობის“ მიმართ შპს „არილი-2000-ის“ დავალიანების -93095 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფლებამონაცვლეს წარმოადგენს შპს „არილი-2000“, ხოლო შპს „მეგობრობის“ უფლებამონაცვლეს -გ. ჭ-ძე. ამდენად, 1996 წლის 25 მარტს გაფორმებული საერთო საქმიანობის შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილენი არიან გ. ჭ-ძე და შპს „არილი-2000“.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი ფაქტები 1997 წლის 25 ნოემბრამდე მოქმედ კოდექსს უკავშირდებოდა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო კოდექსი გამოიყენა. მითითებული კოდექსის 486-ე მუხლის პირველი და მეორე აბზაცის თანახმად, პირი, რომელმაც კანონით ან გარიგებით დადგინილი საფუძვლის გარეშე შეიძინა ქონება სხვის ხარჯზე, მოვალეა, დაუბრუნოს ამ უკანასკნელს უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება. ასეთი მოვალეობა წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა ქონების შეძენას შემდგომში საფუძველი მოაკლდა. კანონის დასახელებულ ნორმაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ გ. ჭ-ძის სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია და ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, შპს „არილი-2000-ს“ დაეკისრა შპს „მეგობრობის“ მიერ 1996 წლის მაისიდან 1997 წლის მაისამდე თბილისში, ... ქ. #2-ში მდებარე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოში შესრულებული 109 835 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულება. რაც შეეხებოდა შპს „მეგობრობის“ მიერ დამატებით შესრულებულ სამშენებლო-სარემონტო და გასამართ სამუშაოებს, რამდენადაც ამასთან დაკავშირებით საქმეში არ მოიპოვებოდა ხარჯთაღრიცხვა, შესაბამისად, ვერ დგინდებოდა ამ სამუშაოების ღირებულება, რის გამოც ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „არილი-2000-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძველებით:

საქმის განმხილველ სასამართლოს სრულყოფილად არ გამოურკვევია სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი, კერძოდ, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო სარჩეული დარჩა მიძღვს (ანუ შპს „არილი-2000-ს“), თუ სახელმწიფოს მიერ საერთო ქონების წილის გასხვისებით ეს უკანასკნელი გამდიდრდა, რომლის ამოღებასაც მოსარჩელე ითხოვდა. სასამართლომ შეგნებულად გვერდი აუარა სარჩელზე თანდართულ ცესიის ხელშეკრულებას და იმ გარემოებას, რომ

სარჩელის საფუძველს ცესია, ხოლო, თავის მხრივ, ცესის საფუძველს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 ივნისის გაუქმებული გადაწყვეტილება წარმოადგენდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ გ. ჭ-მეს სწორედ სასამართლოს ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილებით არსებული მოთხოვნა დაუთმეს, რაც მისი გაუქმების გამო ცედენტის მოთხოვნის უფლების გაუქმებასაც განაპირობებდა.

გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შპს „მეგობრობისა“ და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოს შორის დაიდო. სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96“ შექმნილია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სამეურნეო და მომსახურე ორგანიზაციების სამმართველოს მიერ, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოსთან.

სასამართლომ მტკიცების ტვირთი მთლიანად მოპასუხეს დააკისრა და გ. ჭ-მეს შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა არ მოსთხოვა.

შპს „არილი-2000-ის“ ქონება ისე იქნა მიჩნეული შპს „მეგობრობის“ მიერ აშენებულ და რეკონსტრუირებულ ქონებად, რომ სასამართლოს არ დაუდგენია, შედის თუ არა იგი შპს „არილი-2000-ის“ საწესდებო კაპიტალში. ასევე არ დაუდგენია, ვინმე რ. მ-მის მიერ „აშენებული“ შენობა-ნაგებობები იყო თუ არა შპს „არილი-2000-ის“ წინამორბედის საკუთრებაში.

არასწორი შეფასება მიეცა გ. ჭ-მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ე.წ. „მიღება-ჩაბარების აქტის“ სუბიექტებს, მათი შედგენის დროსა და ფორმას. აღნიშნული დოკუმენტი ვერ შეცვლის მშენებლობაში არსებულ ფორმა #2-სა და #3-ს, სადაც დაწვრილებით მიეთითება ყოველთვიურად მშენებელმა რა სახის სამშენებლო მასალა გახარჯა და რა რაოდენობით. . . . ქ. #2-ში რაიმე ნაგებობა არ აშენებულა და რაიმე სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. ამასთან დაკავშირებით საქმეში არსებული ნაკრები ხარჯთაღრიცხვა ყალბია. ამასთან, მშენებელ რ. მ-მეს შესაბამისი ლიცენზია არ ჰქონია, რაც სავალდებულო იყო სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად. გაუგებარია, ბუღალტრულად არარსებულმა შპს „მეგობრობამ“ როგორ მოახერხა ფინანსური მოქმედებების განხორციელება. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ შპს „მეგობრობას“ 1999 წლის 26 მარტამდე არ გაუვლია ხელახალი რეგისტრაცია.

როცა სჭირდება, გ. ჭ-მე ამტკიცებს, რომ შპს „მეგობრობამ“ შეასრულა სამუშაო, როცა სჭირდება - შპს „სენაკმა“. სასამართლოს ყურადღება არ მიუქცევია ამასთან დაკავშირებით საქმეში არსებულ ურთიერთგამომრიცხავს ფაქტებზე. თუკი სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის საფუძველზე გ. ჭ-მე აღიარებს, რომ შპს „მეგობრობამ“ შეასრულა რაიმე სამუშაო, ხოლო იგი შენატანის სახით გადაეცა უკვე შპს „სენაკს“, რა უფლების დათმობაზეა საერთოდ საუბარი და ვინ არის უფლებამოსილი პირი, სარემონტო სამუშაოების თაობაზე იდაოს. სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ გ. ჭ-მემ ასევე წარმოადგინა 1998 წლის 28 ივლისის საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის მიერ შედგენილი აქტი, სადაც მითითებულია, თითქოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები აწარმოა შპს „სენაკმა“, თუმცა რევიზიის დროს, 1998 წლის 1 ივლისიდან 1998 წლის 28 ივლისამდე პერიოდში, გ. ჭ-მემ ამგვარი დოკუმენტები რევიზიას ვერ წარუდგინა. სასამართლოში საქმის განხილვისას გ. ჭ-მემ არ უარყო, რომ შპს „სენაკი“ იძულებით გამოსახლებულ იქნა 2005 წლის 12 ოქტომბერს. სარჩელი მისი გამოსახლების მოთხოვნით სახაზინო საწარმო „არილმა“ შეიტანა სასამართლოში 1998 წლის 28 ოქტომბერს. აქედან მოყოლებული შპს „სენაკი“ უკანონოდ ფლობს ქონებას, შპს „სენაკმა“ უკანონოდ ჩაატარა სარეკონსტრუქციო სამუშაოები და შესაბამისად, იგი გამოსახლდა, როგორც უკანონო მფლობელი, „არილი-2000-ის“ ქონებიდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა აგრეთვე გ. ჭ-მემ, რომელმაც აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, შპს „არილი 2000-თვის“ 9518 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაუკმაყოფილებლობა არასწორია. მითითებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ შპს „მეგობრობის“ მიერ დამატებით შესრულებულ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე საქმეში შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა არ მოიპოვება.

კასატორის მტკიცებით, საქმეში არსებული მასალები ცხადად ადასტურებს, რომ შპს „არილი-2000-მა“ დაკისრებული 109835 ლარის ღირებულების სამუშაოების გარდა, დამატებით შეასრულა 9518 ლარის სამუშაოები, რომელთა დადგენა სპეციალური სახის მტკიცებულებებს არ სჭირდება. მაგალითისათვის, დასახელებულ გარემოებებს ასაბუთებს სასამართლოში მის მიერ წარდგენილი წყალსადენი მილების, ელექტროგამტარი კაბელის გამოცვლის, საქვების, გათბობის სისტემის და აბანოს მოწყობის შესახებ ჩატარებული სამუშაოების აქტი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს

4548 ლარს. საქმეზე ასევე დგინდება, რომ საბაჟო დეპარტამენტის ანგარიშზე 1996 წლის 6 იანვარს ინტელექტუალური მემკვიდრეობით გადაირიცხა 3000 ლარი საბაჟო-საწყობის ფუნქციონირებისათვის გაცემული ლიცენზიის გამო. გარდა ამისა, წარმოდგენილია მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ კასატორმა 1997 წლის 12 ივლისს ტრანზიტული სატელეფონო ხაზების გაშვებასა და ტელეფონების დადგმაში „საქელექტროკავშირს“ გადაურიცხა 1970 ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ასაბუთებს შპს „არილი-2000-ის“ მიერ 9158 ლარის სამუშაოების შესრულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შპს „არილი-2000-თვის“ 109835 ლარის დაკისრების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1996 წლის 25 მარტს, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მსუბუქი ავტომობილების ავტოსატრანსპორტო საწარმოს („ავტოსაწარმო“) დირექტორ ვალერი გ-ძესა და, მეორე მხრივ, შპს „მეგობრობის“ დირექტორ გ. ჭ-ძეს შორის დაიდო ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, „ავტოსაწარმომ“ ერთობლივი საქმიანობისათვის „მეგობრობას“ შესთავაზა როგორც ადმინისტრაციული, ისე სხვა შენობა-ნაგებობები მიმდებარე ტერიტორიით საზღვარგარეთიდან შემოსული ავტოსატრანსპორტო სადღეღამისო სადგომის მოსაწყობად, ასევე, მძღოლებისა და მათი თანმხლები პირების მომსახურებისთვის;

1996 წლის 12 აპრილს შპს „მეგობრობის“ დირექტორ გ. ჭ-ძესა და მოქალაქე რ. მ-ძეს შორის დაიდო ხელშეკრულება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ტერიტორიაზე სამშენებლო-სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე, რომლის თანახმად, რ. მ-ძემ („მოიჯარადე“) იკისრა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების ვალდებულება სამინისტროს სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ტერიტორიაზე (... ქ. #2), შპს „მეგობრობის“ დირექტორ გ. ჭ-ძის („დამკვეთი“) მიერ გადაცემული დეფექტური აქტის მიხედვით, დამკვეთის მასალებითა და მოწყობილობებით;

1996 წლის 18 აპრილს შედგა დეფექტური აქტი საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ტერიტორიაზე (... ქ. #2-ში) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თაობაზე, სადაც კონკრეტულად განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოები. დეფექტური აქტი დამტკიცებულია შპს „მეგობრობის“ დირექტორ გ. ჭ-ძის მიერ და შეთანხმებულია სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ დირექტორ ვ. გ-ძესთან, აღნიშნულ აქტს ასევე ადასტურებს რ. მ-ძე;

1996 წლის 22 აპრილს შედგა ქ. თბილისში, ... ქ. #2-ში შპს „მეგობრობისა“ და საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ძირითადი ნაგებობებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ნაკრები ხარჯთაღრიცხვა საერთო ღირებულებით 109 835 ლარი, სადაც კონკრეტულად განისაზღვრა ჩასატარებელი სამუშაოები და მათი ღირებულება, რომელიც დაამტკიცა დამკვეთმა შპს „მეგობრობამ“ (დირექტორი გ. ჭ-ძე) და შეთანხმებულ იქნა რ. მ-ძესთან;

1997 წლის 5 მაისს რ. მ-ძესა და შპს „მეგობრობის“ დირექტორ გ. ჭ-ძეს შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის შესაბამისად, რ. მ-ძემ შპს „მეგობრობის“ დირექტორს ჩააბარა „ავტოსერვისი-96-ის“ ტერიტორიაზე 1996 წლის 18 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული და დამატებით შესრულებული სამშენებლო-სარემონტო და გასამართი სამუშაოები. მიღება-ჩაბარებას დაესწრო სახაზინო საწარმო „ავტოსერვისი-96-ის“ ყოფილი დირექტორი ვ. გ-ძე;

1996 წლის 25 მარტის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდა 1997 წლის ივნისში;

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „სენაკის“ დირექტორ გ. ჭ-ძის განცხადება და დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ შპს „მეგობრობის“ მიერ 1996-97-98 წლებში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს „ავტოსაწარმოში“, მდებარე თბილისში, ... ქ. #2-ში, ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 93 095 აშშ დოლარი, რაც იმდროინდელი კურსით ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 119 353 ლარს;

2001 წლის 8 აგვისტოს შპს „მეგობრობის“ დირექტორ შ. დ-ძესა და ფიზიკურ პირ გ. ჭ-ძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მოთხოვნის დათმობის შესახებ („ცესია“), რომლის თანახმად, შპს „მეგობრობამ“ გ. ჭ-ძეს, როგორც ფიზიკურ პირს, გადასცა შპს „მეგობრობის“ მიმართ შპს „არილი-2000-ის“ დავალიანების -93095 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება, რომლის არსებობაც

დადასტურებული იყო თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადგენის შესახებ სასამართლოს დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური განხილვის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ შპს „მეგობრობამ“ 1996 წლის მაისიდან 1997 წლის მაისამდე პერიოდში თბილისში, ... ქ. #2-ში მდებარე ტერიტორიაზე შეასრულა 109 835 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია, კერძოდ, აღნიშნული დასკვნა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილია ისე, რომ არ არის შეფასებული საქმეში არსებული ის მასალები, სადაც საუბარია ამავე ტერიტორიაზე სამუშაოების შპს „სენაკის“ მიერ შესრულებაზე, რა გარემოების გარკვევაზეც შპს „არილი-2000-ის“ წარმომადგენელი სააპელაციო სასამართლოში სისტემატურად მიუთითებდა.

ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული 1998 წლის 28 ივლისის აქტი, რომელიც შედგენილია საქართველოს რესპუბლიკის შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს რევიზიისა და კონტროლის სამსახურის სპეციალისტების მიერ და ეხება შპს „სენაკში“ ჩატარებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტალურ რევიზიას შპს „სენაკის“ დამფუძნებლების -გ. ჭ-ძის, ვ. გ-ძისა და რ. ზ-ძის განცხადება-საჩივარში მოყვანილი დარღვევების რეალობის შემოწმების მიზნით. აღნიშნულ აქტში მითითებულია, რომ შპს „სენაკი“ მდებარეობს თბილისში, ... ქ. #2-ში, იგი რეგისტრირებულია 1996 წლის 27 სექტემბერს, 1998 წლის 1 ივნისიდან მისი დირექტორია ერთ-ერთი დამფუძნებელი გ. ჭ-ძე. აქვე მითითებულია, რომ შპს „სენაკი“ 1997 წლის 1 ივნისიდან აწარმოებდა ავტომანქანების მომსახურებას სადღეღამისო ავტოსადგომით, შპს-ს ასევე გააჩნია: ავტოგასამართი სადგური, რომელიც რეალიზაციას უკეთებს დიზელის საწვავს; სამზარეულო და ბარი, სადაც მოქმედებს კვების ობიექტი; საბაჟო სამსახური, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს.

ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გამოიკვლია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს #2-293 ბრძანება, სადაც მითითებულია, რომ 1996 წლის ნოემბრიდან „ავტოსაწარმოს“ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შპს „სენაკი“, მან სამინისტროსთან შეუთანხმებლად ჩაატარა სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები და თვითნებურად გამიჯნა ტერიტორია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა გ. ჭ-ძის მიერ საქმეში წარმოდგენილი წერილი, სადაც იგი მიუთითებს, რომ ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით 1996 წელს თბილისში, ... ქ. #2-ში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით „ავტოსაწარმოს“ ტერიტორიაზე დააფუძნა საბაჟო ტერმინალი „სენაკი“, რომლის ასამუშავებლად აღნიშნულ ტერიტორიას და გაპარტახებულ შენობა-ნაგებობებს ჩაუტარა მოდერნიზაცია, მთლიანობაში სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ გაუთვალისწინებელი ხარჯების გარდა შეადგინა 93 095 აშშ დოლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქმეში ასევე მოიპოვება სისხლის სამართლის საქმის მასალები, სადაც მოწმედ დაკითხული პირები მიუთითებენ, რომ „ავტოსაწარმოში“ სარემონტო სამუშაოები შპს „სენაკმა“ ჩაატარა.

ზემოაღნიშნულ მასალებთან ერთობლიობაში ასევე არ იქნა გამოკვლეული საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 6 მარტის წერილი, სადაც მითითებულია, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 05.06.2000წ. გადაწყვეტილებით დადასტურებულია იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი შპს „მეგობრობის“ მიერ „ავტოსაწარმოში“ 93 095 აშშ დოლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების (გაუმჯობესებების) ჩატარების შესახებ და რომ, იმავდროულად, სასამართლოში იხილება დავა შპს „არილი-2000-სა“ და შპს „სენაკს“ შორის სახელმწიფო ქონებაზე ზემოაღნიშნული გაუმჯობესებების ანაზღაურებისა და ამ უკანასკნელის შპს „არილი-2000-ის“ ტერიტორიიდან გამოსახლების შესახებ.

ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებები სადავო სამუშაოების განმხორციელებელი სუბიექტის შესახებ ურთიერთგამომრიცხავია. 1996 წლის 22 აპრილს შედგენილ ნაკრებ ხარჯთაღრიცხვაში საუბარია მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებზე. შემდგომ, ერთი მხრივ, გ. ჭ-ძე და რ. მ-ძე ურთიერთშორის შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში მიუთითებენ, რომ ეს სამუშაოები ჩაატარა შპს „მეგობრობამ“, მეორე მხრივ კი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანებაში, რევიზიის აქტსა და ზემომითითებულ სხვა მასალებში აღნიშნულია, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები იმავე ტერიტორიაზე აწარმოა შპს „სენაკმა“, რასაც თავად გ. ჭ-ძეც ეთანხმება ზემოაღნიშნულ წერილში. საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დასადგენად აუცილებელია,

გამოკვლევულ იქნეს ზემოაღნიშნული საქმის მასალები და გაირკვეს, რეალურად, ვინ ჩაატარა სადავო სამუშაოები – შპს "მეგობრობამ" თუ შპს "სენაკმა". ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გაარკვიოს, თუ რომელი სამუშაოები აწარმოა შპს "სენაკმა", რომელი შპს "მეგობრობამ" და, კონკრეტულად, რომელი ჩატარებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებაზე აქვს გ. ჭ-მეს შპს "მეგობრობის" მიერ დათმობილი მოთხოვნის უფლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე სარწმუნოდ გამოკვლევას საჭიროებს, ნამდვილად არის თუ არა შპს "არილი-2000" "ავტოსაწარმოს" უფლებამონაცვლე. ამასთან დაკავშირებით საქმის მასალებით შემდეგი დგინდება:

1996 წლის 22 აპრილს სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა სახაზინო საწარმო "ავტოსერვისი-96", რომლის დამფუძნებელს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სამეურნეო და მომსახურე ორგანიზაციების სამმართველო. სახაზინო საწარმო "ავტოსერვისი-96-ის" მიერ რაიმე უფლებამონაცვლეობის შესახებ არაფერია მითითებული არც მისი რეგისტრაციის დადგენილებასა და წესდებაში, თუმცა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს #2-293 ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სახაზინო საწარმო "არილი" ავტოსატრანსპორტო საწარმოს სამართალმემკვიდრეა. ამ საკითხის გამორკვევაზე სისტემატურად მიუთითებდა შპს "არილი-2000-ის" წარმომადგენელი, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული საკითხი დასაბუთებული არ არის.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნული საკითხის სარწმუნოდ გამოსარკვევად უნდა გამოიკვლიოს სახაზინო საწარმო "ავტოსერვისი-96-ის" შექმნის შესახებ 1996 წლის #10.21.03 ბრძანება, რომელზეც სახაზინო საწარმოს რეგისტრაციის შესახებ დიდუბის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 22 აპრილის დადგენილების მე-5 პუნქტში მიეთითა და ასევე, დაადგინოს აღნიშნული ბრძანების თარიღი. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახაზინო საწარმოს დაფუძნება სხვა საწარმოების დაფუძნებისაგან განსხვავებულ რეჟიმში ხდებოდა, კერძოდ, იგი დაფუძნებულად ითვლებოდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ მისი შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. "მეწარმეთა შესახებ" კანონის თავდაპირველი რედაქციის 2.5 მუხლის თანახმად, საწარმო, როგორც მითითებული კანონით გათვლისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობოდა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, სახაზინო საწარმოს გარდა. ამდენად, თუკი 1996 წლის 18 აპრილის მდგომარეობით სახაზინო საწარმო "ავტოსერვისი-96" შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ დაფუძნებული იყო, იგი უკვე ითვლებოდა სამართლის სუბიექტად და ამავე თარიღით შედგენილ დეფექტურ აქტზე სახაზინო საწარმოს დირექტორის ხელმოწერა წარმოადგენს არსებული საწარმოს ხელმძღვანელის ხელმოწერას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორ "არილი-2000-ის" მსჯელობას, რომ შპს "მეგობრობა" არ არის 1993 წელს რეგისტრირებული, საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილე შპს "მეგობრობის" უფლებამონაცვლე. 1999 წლის 26 მარტს რეგისტრაციაში გატარდა შპს "მეგობრობა", რომელიც, რეგისტრაციის დადგენილების თანახმად, წარმოადგენს მცხეთის რაიონის საკრებულოს გამგეობის მიერ 1993 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით რეგისტრირებული შპს "მეგობრობის" უფლებამონაცვლეს. რეგისტრაციის დადგენილების მითითებული დებულება უფლებამონაცვლეობის შესახებ დღეისათვის ძალაშია და გაუქმებული არ არის.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის – შპს "არილი-2000-ის" მითითებას, რომ 2001 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულებით მოთხოვნის დათმობა გაუქმებულია, რამდენადაც თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 18 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს განცხადება და ბათილად იქნა ცნობილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ. მოთხოვნის დათმობის შესახებ 2001 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მისი ნამდვილი შინაარსის მიხედვით, ხოლო ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულებით ვლინდება მხარეთა ნამდვილი ნება 93 095 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დავალიანების დათმობის შესახებ, რაც ამ შემთხვევაში გადამწყვეტია, ხოლო იმ გარემოებას, რომ გაუქმებულია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ამ დავალიანების არსებობა დასტურდებოდა, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ამ დავალიანების არსებობა საჭიროებს თავიდან დადასტურებას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის – შპს "არილი-2000-ის" მსჯელობას, რომ რაიმე ნაგებობა არ აშენებულა ან რაიმე სარემონტო სამუშაოები ... ქ. #2-ში არ ჩატარებულა, რომ ამასთან დაკავშირებით საქმეში წარმოდგენილი ნაკრები ხარჯთაღრიცხვა ყალბია. ამ გარემოებების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები შპს "არილი-2000-ს" არ წარმოუდგენია. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მშენებელ მ-მეს არ ჰქონდა ლიცენზია, აღნიშნული კერძოსამართლებრივ ურთი-

ერთობებში ვერ გახდება დამკვეთის მიერ ანაზღაურებული სამუშაოების ღირებულების მოთხოვნის ხელშეშლელი გარემოება.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ასევე ნათლად უნდა დაასაბუთოს, თუ რაში გამოიხატება მოცემულ შემთხვევაში უსაფუძვლო გამდიდრება, დარჩა თუ არა საერთო საქმიანობისათვის განკუთვნილ ქონებაზე გაწეული გაუმჯობესებები საერთო საქმიანობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო სადღეღამისო სადგომის ფუნქციონირების დაწყების გარეშე "ავტოსაწარმოს". თუკი უსაფუძვლო გამდიდრებას ადგილი აქვს, ასეთ შემთხვევაში სადავო პერიოდში მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის, კერძოდ, მისი 486-ე მუხლის გამოყენება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მართებულია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ჭ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დამატებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების -9518 ლარის ანაზღაურების შესახებ დაუსაბუთებელია. კასატორის მითითებით, აღნიშნული სამუშაოების ღირებულება მოიცავს: წყალსადენი მილების, ელექტროგამტარი კაბელის გამოცვლის, საქვავის, გათბობის სისტემის და აბანოს მოწყობის სამუშაოების ღირებულებას 4548 ლარის ოდენობით, რომელთა ჩატარებას ადასტურებს მის მიერ წარდგენილი აქტი; საბაჟო საწყობის ფუნქციონირებისათვის გაცემული ლიცენზიისათვის საბაჟო დეპარტამენტის ანგარიშზე 1996 წლის 6 იანვარს "ინტელექტბანკის" მეშვეობით ჩარიცხულ 3000 ლარს; 1997 წლის 12 ივლისს ტრანზიტული სატელეფონო ხაზების გაშვებისა და ტელეფონების დადგმაში "ელექტროკავშირისათვის" გადარიცხულ 1970 ლარს. კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ აღნიშნული მტკიცებულებები წარმოდგენილია საქმის ფურცლებზე: 11, 44-45. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ მითითებულ საქმის ფურცლებზე არ მოიპოვება ზემოაღნიშნული დოკუმენტები, საქმის არც ერთი ტომში. ამასთან, ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებები არც საქმის სხვა ფურცლებზე მოიპოვება. საქმეში წარმოდგენილი 1998 წლის 18 ივნისის აქტი 4548 ლარის საერთო ღირებულების სამუშაოების შესრულების შესახებ საუბრობს შპს "სენაკში" და არა შპს "მეგობრობაში" ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე. ამასთან დაკავშირებით კასატორი ვერც იმას ასაბუთებს, რომ შპს "მეგობრობას" ჰქონდა საბაჟო საწყობი და მისი ფუნქციონირებისათვის აიღო ლიცენზია. რაც შეეხება აუდიტორის დასკვნას, იგი ვერ ჩაითვლება შპს "მეგობრობის" მიერ დამატებითი სამუშაოების გაწევის უტყუარ მტკიცებულებად, რამდენადაც იგი ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს და მასში საუბარია შპს "სენაკის", როგორც შპს "მეგობრობის" უფლებამონაცვლის მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება შპს „არილი-2000-თვის“ გ. ჭ-ძის სასარგებლოდ 109835 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში (დამატებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების -9518 ლარის ანაზღაურების მოთხოვნაზე გ. ჭ-ძისათვის უარის თქმის ნაწილში) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს "არილი-2000-ის" საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება შპს „არილი-2000-თვის“ გ. ჭ-ძის სასარგებლოდ 109835 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობას;
4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
5. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-810-1025-08

26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ო. კ-მემ, მოპასუხე დაასახელა ტ. (თ.) გ-იანის მიმართ და მოითხოვა მისი კუთვნილი ავტომანქანის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, 2005 წლის ოქტომბრიდან, ავტომანქანაზე ნაწილების მოხსნითა და გამარცხით მიყენებული ზიანის 3550 ლარის, ასევე მიუღებელი შემოსავლის -17 100 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თ. (ტ.) გ-იანს, ო. კ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი თანხის 3550 ლარის ოდენობით გადახდა. სხვა ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა თ. (ტ.) გ-იანმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა ძალაში დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ო. კ-მე და თ. (ტ.) გ-იანი ცხოვრობდნენ მეზობლად, ქ. ბათუმში, ... ქ. #77-ში მდებარე ცხრასართულიან სახლში.

თ. (ტ.) გ-იანმა, მოსარჩელეს სთხოვა, მისი სატვირთო ავტომანქანა „მერსედესის“ (სახელმწიფო ნომრით #ვას-767) თხოვება, რომლითაც მისი შვილი ა. ტ-იანი, რამოდენიმე რეისს გააკეთებდა ქალაქ ახალციხეში და დაუბრუნებდა უკან. მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა ავტომანქანა.

საავტომობილო ტრანსპორტის სარეგისტრაციო ბარათის საფუძველზე დადგენილია, რომ ავტომანქანა მერსედეს ბენცი სახ. ნომრით ვას 767 არის ო. კ-მის საკუთრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განაჩენით დადგენილია, რომ ა. ტ-იანმა დააზიანა ო. კ-მის კუთვნილი ავტომანქანის სხვადასხვა ნაწილები, კერძოდ: ძრავა, მწყობრიდან გამოიყვანა „სტარტერი“, აკუმულატორი, გადამცემი კოლოფი, წინა ბამპერი და სხვა ნაწილები, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 3550 ლარი.

მოწმე ჩ. კ-იანისა და ს. გ-იანს განმარტებებით დადგენილია, რომ ავტომანქანის თხოვებაზე გარიგება ო. კ-მესთან დადო მოპასუხემ და, რომ ავტომანქანა მოსარჩელემ ათხოვა მოპასუხეს და არა ა. ტ-იანს.

პალატამ მიიჩნია, რომ ო. კ-მესა და თ. გ-იანს შორის, დადებული იყო ავტომანქანის თხოვების ხელშეკრულება.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იგი არ წარმოადგენდა სათანადო მხარეს, ასეთი ა. ტ-იანია და რომ ა. ტ-იანის მიერ მიყენებული ზიანი 3500 ლარს არ შეადგენდა.

პალატამ მიიჩნია, რომ მართალია ო. კ-მის კუთვნილი ავტომანქანა დააზიანა ა. ტ-იანმა, მაგრამ თხოვების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა თ. (ტ.) გ-იანი, რომელმაც მესაკუთრესთან შეთანხმებით, ნათხოვარი ნივთი უსასყიდლოდ გადასცა მესამე პირს - ა. ტ-იანს, მესამე პირის მიერ ნივთის დაზიანების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თანხმად სამოქალაქო კოდექსის 618-ე, 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა, 396-ე და 992-ე მუხლებისა, ეკისრება თ. (ტ.) გ-იანს და ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელში სათანადო მოპასუხეს იგი წარმოადგენს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა თ. გ-იანმა.

კასატორის წარმომადგენლის აზრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოება, რადგან ხელშეკრულების მონაწილე მხარეს არ წარმოადგენდა თ. გ-იანი. ის, რომ თ. გ-იანი არ წარმოადგენდა თხოვების ხელშეკრულების მონაწილე მხარეს ნათლად ადასტურებს თავად მოწინააღმდეგე ო. კ-მე თავის სასარჩელო განცხადებაში. მისი განმარტებით ავტომანქანა გადაცემულ იქნა უშუალოდ ა. ტ-იანზე ოღონდ თ. გ-იანის ნდობით და უამდგომლობით.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილია, რომ ო. კ-მის კუთვნილი ავტომანქანა დროებითი მოხმარების მიზნით წაიღო ა. ტ-იანმა, რომელმაც მოახდინა ამ ავტომანქანის დაზიანება. ამ განაჩენითვე დადგენილია, რომ ა. ტ-იანი იყო თხოვების მონაწილე მხარე, რომელმაც თავდაპირველად მართლზომიერად (ანუ ო. კ-მის თანხმობით) წაიყვანა ავტომანქანა სარგებლობისთვის და შემდეგ მოახდინა მისი დაზიანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილები მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თ. გ-იანმა ო. კ-მისაგან ითხოვა სატვითო მანქანა „მერსედესი“, იმ პირობით, რომ მისი შვილი ა. ტ-იანი რამოდენიმე რეისს გააკეთებდა ქალაქ ახალციხეში და მანქანას დაუბრუნებდა უკან. სასამართლო მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ავტომანქანის თხოვების თაობაზე გარიგება ო. კ-მესთან დადო ტატთან გრანიანმა და არა ა. ტ-იანმა. აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლომ უარყო ტ. (თ.) გ-იანის მოთხოვნა მისი არასათანადო მხარედ ცნობის თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან. კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განაჩენით დადგენილია, რომ ა. ტ-იანმა 2005 წლის ოქტომბრის თვეში თავის ყოფილ მეზობელს ო. კ-მეს დროებითი მოხმარების მიზნით გამოართვა მისი კუთვნილი სატვითო ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი“, იმ პირობით, რომ რამოდენიმე რეისს გააკეთებდა საჯავახოში და 2005 წლის დეკემბერში დაუბრუნებდა უკან. აღნიშნული მტკიცებულება გამორიცხავს სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ თხოვების ხელშეკრულება დადებულია თ. გ-იანსა და ო. კ-მეს შორის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტები, აღნიშნული ნორმის საფუძველზე აღარ საჭიროებენ მტკიცებას. სასამართლოს მიერ მოწმეთა დაკითხვა, როდესაც საქმეში არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, წარმოადგენს ისეთი სახის მტკიცებულებას, რომლითაც არ შეიძლება დადასტურდეს თხოვების ფაქტი. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ მოიპოვა მტკიცებულებები ისეთი ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, რომელიც დადგენილია და მტკიცებას არ საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო ნორმების დარღვევით. არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები. აღნიშნულმა კი განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. რის გამოც, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა უნდა იქნეს განხილული სააპელაციო სასამართლოს მიერ. საქმის ხელახალი განხილვისას, სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს საქმეში არსებული მტკიცებულებები კანონმდებლობის შესაბამისად, შეფასდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები და დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებანი და განისაზღვროს მიყენებული ზიანის ოდენობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ტ. (თ.) გ-იანის წარმომადგენლის გ. გ-მე საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-789-1004-08

2 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, უპირატესი შესყიდვის უფლების დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ზ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივისა და ჰ. გ-იანის მიმართ 2004 წლის 18 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ხორცის მაღაზიის ნასყიდობის ნაწილში გაუქმების, აღნიშნული მაღაზიის შესყიდვაზე მისი უპირატესი შესყიდვის უფლების ცნობისა და მოპასუხე სამომხმარებლო კოოპერატივისათვის სადავო ობიექტის ნასყიდობის ხელშეკრულების მოსარჩელესთან დადების დავალდებულების შესახებ შემდეგი საფუძველზე: 1966 წლის 28 მარტიდან ო. ზ-იანი მუშაობდა ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის სხვადასხვა სექციებში გამყიდველად, 1984 წლიდან კი - ხორცის მაღაზიაში. იმავდროულად, არის კოოპერატივის მეპაიე წევრი. მაღაზიით სარგებლობისათვის ყოველთვიურად იხდის 20 ლარს, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებით. 2003 წლის ივნის-ივლისში მოსარჩელემ მიმართა ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივს აგრარული ბაზრის ხორცის რიგის შესყიდვის მოთხოვნით, მაგრამ კოოპერატივის თავმჯდომარემ აცნობა, რომ ხორცის რიგი, მათ შორის, ხორცის მაღაზია, არ იყიდებოდა, თუმცა დაჰპირდა, ობიექტის გასხვისების შემთხვევაში მაღაზიის უპირატესად მოსარჩელისათვის მიყიდვას. ო. ზ-იანმა აღნიშნული მოთხოვნით არაერთხელ მიმართა მოპასუხეს, მაგრამ პასუხი ყოველთვის უარყოფითი იყო იმ მოტივით, რომ მაღაზია არ იყიდებოდა. 2004 წლის ივნისში ო. ზ-იანმა ჰ. გ-იანისაგან შეიტყო ამ უკანასკნელის მიერ ხორცის მაღაზიის შესყიდვის შესახებ. ამდენად, მოსარჩელე მოატყუეს და აღნიშნული მაღაზია, სადაც 20 წლის განმავლობაში მუშაობდა და ამჟამადც მუშაობს, მისგან ფარულად გაასხვისეს. ამასთან, 1984 წელს აშენებულ მაღაზიაში გამყიდველად არავის უმუშავია, მისი სახსრებით ობიექტს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარემ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული აუქციონის ან კონკურსის გამოცხადების გარეშე გაყიდა მაღაზია, რითაც შეილახა ო. ზ-იანის ინტერესები.

მოპასუხე ჰ. გ-იანმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ჰ. გ-იანი თავის მამასთან ერთად წლების განმავლობაში მუშაობდა სადავო ხორცის პასაჟში, სადაც მდებარეობს მოსარჩელის მიერ მითითებული ხორცის მაღაზია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს გააჩნდა სადავო ობიექტის უპირატესი შესყიდვის უფლება, რაც მან კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განახორციელა, კერძოდ, მიიღო სათანადო ნებართვა ახალქალაქის რაიონული კოოპერატივისაგან ობიექტის პრივატიზების შესახებ და გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად 6024 ლარად შეიძინა 333 კვ.მ, სასარგებლო ფართობით -295,5 კვ. მ. ამდენად, სარჩელი დაუსაბუთებელია.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ო. ზ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ზ-იანის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ო. ზ-იანის სარჩელი მაღაზიის ნასყიდობის ნაწილში ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების, აღნიშნული მაღაზიის შესყიდვაზე უპირატესი უფლების ცნობისა და ხელშეკრულების დადების დავალდებულების შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2004 წლის 18 ივნისს ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარე ა. გ-იანსა და ჰ. გ-იანს შორის დაიდო აგრარული ბაზრის ხორცის რიგის ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ჰ. გ-იანი სარეგისტრაციო სამსახურში აღირიცხა აღნიშნული ქონების მესაკუთრედ. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის #67 წერილის შესაბამისად, ხორცის რიგის 10,29 კვ. მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხის მაღაზია, რომელიც დამოუკიდებელი უძრავი ნივთის სახით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, არამედ აღრიცხულია, როგორც შენობის ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი. მოსარჩე-

ლისა და ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარე ხ.ტ-იანის განმარტებების მიხედვით, ო.ზ-იანი წარმოადგენდა კოოპერატივის მეპაიეს და მუშაობდა კოოპერატივის აგრარულ ბაზარში მდებარე ხორცის რიგში არსებულ მაღაზიაში გამყიდველად. პალატამ მიიჩნია, რომ ახალქალაქის რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივი წარმოადგენს "სამომხმარებლო კოოპერატივების შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ბ" პუნქტითა და მე-7 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების მქონე სუბიექტს. სასამართლოს მითითებით, სადავო მაღაზია არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით დადგენილი წესით და ცალკე უფლების ობიექტს, სამოქალაქო ბრუნვის საგანს არ წარმოადგენს. ასევე რომ არ იყოს და სადავო მაღაზია საჯარო რეესტრში დამოუკიდებლად აღრიცხულიყო, დასახელებული გარემოება, სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება, რადგან სასარჩელო მოთხოვნას ო.ზ-იანი აფუძნებს იმ გარემოებას, რომ იგი კოოპერატივის მეპაიეა, წლების განმავლობაში მუშაობდა სადავო მაღაზიაში და გააჩნდა მისი შესყიდვის უპირატესი უფლება, რაც ობიექტის მალულად გასხვისებით დაირღვა. მოპასუხეების მიერ ასევე დარღვეულ იქნა "სამომხმარებლო კოოპერატივში გამოუყენებელი და ზედმეტი ძირითადი საშუალებების და სხვა ქონების გაყიდვის დროებითი დებულების" მე-4 თავის მეხუთე პუნქტის მოთხოვნა კოოპერაციის ქონების პირდაპირი გამოსყიდვისა და აუქციონზე გასხვისების წესის თაობაზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 54-62-ე მუხლები ადგენს გარიგების ბათილად ცნობის საფუძველებს და, უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევის გამო, გარიგების ბათილად ცნობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამავე კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევისას სასამართლოში სარჩელისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით მხარეს შეუძლია მოსთხოვოს უფლებამოსილ პირს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ო.ზ-იანმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მითითებულ ნაწილში მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: 3. გ-იანი სადავო ობიექტის არაკეთილსინდისიერი შემქმნია. სასამართლოსათვის მიმართვისას კასატორმა არ იცოდა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო მოპასუხეთა მიერ შედგენილი ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, რაც 3. გ-იანისათვის ცნობილი იყო. გაყალბებული იყო საქმეში წარმოდგენილი 2001 წლის 14 თებერვლის #135 ოქმი, სადაც ფაქტობრივად იხილებოდა მხოლოდ საცხოვრებელი სახლების პრივატიზების საკითხი და "რსკ-ს მაღაზიები" მასში ჩამატებულ იქნა. კრების ოქმისა და სხვა საბუთების სიყალბის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე რაიკოოპერატივის იმჟამინდელი თავმჯდომარე არტიუმ გ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით, 220-ე მუხლით, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა"-ს და "დ" ქვეპუნქტებითა და მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში, სადაც დაზარალებულად ცნობილია ო.ზ-იანი. რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა დაადგინეს, რომ 79 ობიექტი, მათ შორის, სადავო მაღაზია გაიყიდა უკანონოდ, ყალბი დოკუმენტების საფუძველზე. 2001 წლის 14 თებერვლის #134 კრების ოქმით დასტურდება, რომ სადავო ხორცის პასაჟი რენტაბელურია, თუმცა ხსენებული ოქმი ასევე გაყალბდა და მასში საწინააღმდეგო გარემოება იქნა მითითებული. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა 2004 წლის 19 თებერვლის რიცხვით გაფორმებული ყალბი კრების ოქმი, რომელსაც არ გააჩნია ნომერი, არ არის მითითებული კრების თავმჯდომარისა და მდივნის, დამსწრე წევრების, განხილული საკითხის მხარდამჭერი ან წინააღმდეგი პირების ვინაობა, დღის წესრიგი. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ კრებას დაესწრო მხოლოდ სამი პიროვნება, რომელთაც საკუთარი წილები გადასცეს 3. გ-იანს, ხოლო დანარჩენი 11 თანამშრომლის თანხმობა არ არსებობს. კანონით კრება უფლებამოსილი იქნებოდა, თუ მას დაესწრებოდა თანამშრომელთა 75%. მოცემულ შემთხვევაში კი სადავო კრების ოქმით დაფიქსირებულია თანამშრომელთა მხოლოდ 20%-ის დასწრება. სადავო ობიექტის უკანონო გასხვისების ფაქტს ადასტურებს რაიონის სამომხმარებლო კოოპერატივის ამჟამინდელი თავმჯდომარის -ხ.ტ-იანის მიერ საქმეში წარმოდგენილი შუამდგომლობა-შეტყობინება, რომლითაც მოპასუხემ მოითხოვა კოოპერატივის საკუთრების დაბრუნება, სასამართლომ კი აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. პალატამ არ შეაფასა ასევე მოპასუხე კოოპერატივის მიერ წარმოდგენილი განაჩენები და მათ მიმართებაში არ გამოიყენა საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი. ა. გ-იანის მონაცემების თანახმად, აგრარული ბაზრის თანამშრომელმა ო.კ-იანმა უარი განაცხადა ხორცის პასაჟის პრივატიზაციაში მონაწილეობის მიღებაზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების უკანონობას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ 3. გ-იანის განცხადება პრივატიზაციის შესახებ არ არის რეგისტრირებული რაისამომხმარებლო კოოპერატივში. 3. გ-იანმა დაარღვია სადავო ნასყიდობის მე-8 პუნქტი პასაჟისათვის 5 წლის განმავლობაში პროფილის შენარჩუნების თაობაზე, ვინაიდან პასაჟის

ნაწილი გაასხვისა. კასატორი ვალდებული არ იყო, ემტკიცებინა, რომ სადავო ხორცის მალაზია კოოპერატივის ბალანსზე ირიცხებოდა. საარქივო ჩანაწერით დასტურდება, რომ ო.ზ-იანი 20 წლის განმავლობაში მუშაობდა სადავო მალაზიაში, რომელიც ხორცის პასაჟის ბალანსის ასამაღლებლად აშენდა. მოპასუხეებმა შეცდომაში შეიყვანეს ცეკავშირის გამგეობა და სადავო ხორცის მალაზიის ნაცვლად გაასხვისეს მთელი ხორცის პასაჟი და აგრარული ბაზრის კანცელარია. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, მართალია, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 54-62 მუხლებზე, თუმცა არ გაითვალისწინა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია მითითებული მუხლებისა და 61-ე მუხლის შესაბამისად, როგორც მართლსაწინააღმდეგო, ამორალური, მოჩვენებითი, თვალთმაქცური და უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო.ზ-იანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კანონის ეს დანაწესი საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლად მიუთითებს ისეთ გარემოებაზე, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება არ ეფუძნება სწორ ფაქტობრივ დასაბუთებას.

მოცემული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა მდგომარეობს ფაქტობრივი გარემოებების არასრულად გამოკვლევაში, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ დავის საგანი -ახალქალაქის აგრარული ბაზრის ხორცის რიგში განთავსებული მალაზია რადგანაც არ არის საჯარო რეესტრში დამოუკიდებლად რეგისტრირებული, იგი, როგორც ცალკე ობიექტი, არ წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის საგანს. ხორცის რიგის 10,29 კვ. მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ხის მალაზია, რომელიც დამოუკიდებელი უძრავი ნივთის სახით საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, არამედ აღრიცხულია, როგორც შენობის ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი.

მოცემულ შემთხვევაში ო.ზ-იანის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების მალაზიის გასხვისების ნაწილში ბათილად ცნობა.

სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე, ხოლო, 150-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. მითითებული ნორმებით შენობა-ნაგებობა კანონმდებლის მიერ მიჩნეულია რა მთავარი ნივთის -მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად, იგი ცალკე უფლების ობიექტს არ წარმოადგენს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა (სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ამდენად, შენობა-ნაგებობის საჯარო რეესტრში დამოუკიდებელ უძრავ ნივთად დაურეგისტრირებლობა არ არის საფუძველი იმისა, დავასკვნათ, რომ ეს შენობა სამოქალაქო ბრუნვის საგანს არ წარმოადგენს, ვინაიდან ის მთავარი ნივთის -მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატამ სრულად არ გამოიკვლია საქმის მასალები, კერძოდ, სასამართლომ მოცემულ საქმეზე მტკიცებულებად მიიღო და საქმეს დაურთო სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სასამართლომ არ უნდა მიიღოს მტკიცებულება, თუკი მას საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო მიიღებს მხარის მიერ წარმოდგენილ ამა თუ იმ მტკიცებულებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, იგი ვალდებულია, სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლიოს ისინი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევის გამო ხელშეკრულების ბა-

თილობას, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირისათვის ვალდებული პირისაგან ამ უფლების დარღვევა (სამოქალაქო კოდექსის 516-ე-517-ე მუხლები) დაცვის გარეშეა დარჩენილი.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ო. ზ-იანის სასარჩელო მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე, ეფუძნება არა უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევას, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტების გაყალბებას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები უნდა დაადგინოს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე და მხოლოდ მტკიცებულებათა სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად მიიღოს დასკვნა ამა თუ იმ გარემოების არსებობა-არარსებობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ო. ზ-იანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მტკიცებულებათა შეფასება

განჩინება

#ას-700-920-08

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება, თანხის დაკისრება, გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "ცენტრმა" და ი. მ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ა. ნ-შვილის მიმართ საზიარო ნივთის გასხვისებისა ან უპირატესი შესყიდვის გზით საზიარო უფლების გაუქმების შესახებ შემდეგი საფუძველებით: დუშეთის რაიონის სოფ. წითელსოფელში შპს "ცენტრსა" და ა. ნ-შვილს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნით 9240 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 104,8 კვ. მ შენობა, რომელშიც ფუნქციონირებდა რესტორანი "ქართული დუქანი", მოგვიანებით - "ევრაზია". უძრავი ქონების 4/5-ის მესაკუთრეა შპს "ცენტრი", ხოლო 1/5-ის - ა. ნ-შვილი. მხარეთა შორის არსებული ზეპირი მოლაპარაკების თანახმად, ზემოხსენებულ რესტორანში სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა შპს "ცენტრი", მოპასუხე კი იქ მუშაობდა დირექტორად და იღებდა შესაბამის ანაზღაურებას. მხარეები ასევე ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ, რომ რესტორან "ქართული დუქნის" რეკონსტრუქციის ხარჯებს დაფარავდნენ შპს "ცენტრი" და ი. მ-შვილი, რასაც შემდეგ 18 თვის განმავლობაში ამოიღებდნენ, თუმცა, თუ ობიექტი ვერ იმუშავებდა, ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, იგი გაიყიდებოდა. გარკვეული მიზეზების გამო ობიექტი აღმოჩნდა ფინანსურად წამგებიანი. 2003 წლის 6 სექტემბერს შპს "ცენტრმა" მიმართა ა. ნ-შვილს მისი გასხვისების მოთხოვნით, რათა ობიექტის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხიდან დაფარულიყო რესტორანის რეკონსტრუქციისათვის გაწეულ ხარჯებში მოპასუხის წილი. მოსარჩელემ ასევე შესთავაზა ა. ნ-შვილს, გამოეყიდა საზიარო ნივთის მოსარჩელის კუთვნილი 80% ან დაეთმო თავისი 20%, თუმცა აღნიშნულ შეთავაზებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად შპს "ცენტრმა" მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილზე, 964-ე და 966-ე მუხლებზე.

ა. ნ-შვილმა სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს "ცენტრსა" და ი. მ-შვილის მიმართ 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებისა და

საზიარო ნივთის ნატურით გაყოფის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით: ძირითადი სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების მიღების შემდეგ ა. ნ-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ 1999 წლის 17 ივნისის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით ი. მ-შვილმა კუთვნილი უძრავი ნივთის 4/5, ა. ნ-შვილის თანხმობის გარეშე, მიჰყიდა შპს "ცენტრს", რითაც დაარღვია მოპასუხის, როგორც აღნიშნული ნივთის თანამესაკუთრის, უპირატესი შესყიდვის უფლება. დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხის წილის პროპორციულად რესტორნის რეკონსტრუქციის ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რადგან, სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 960-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელებს უფლება აქვთ, მოითხოვონ მხოლოდ საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის მოვლისა და შენახვის ხარჯები.

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს "ცენტრის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ა. ნ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა სადავო უძრავი ქონების მოპასუხის წილიდან 91050 აშშ დოლარისა და 45 982,9 ლარის გადახდა, შპს "ცენტრის" მოთხოვნა საზიარო ნივთის რეალიზაციის გზით მასზე საზიარო უფლების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ი. მ-შვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ა. ნ-შვილის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დუშეთის რაიონის სოფელ წითელსოფელში მდებარე რესტორან "ევრაზიაზე" შპს "ცენტრისა" და ა. ნ-შვილის საზიარო უფლება უძრავი ნივთის ნატურით გაყოფის გზით გაუქმდა -ა. ნ-შვილს ნატურით გამოეყო დუშეთის რაიონის სოფ. წითელსოფელში რესტორან "ევრაზიის" კუთვნილი იდეალური 1/5-ის შესაბამისი რეალური წილი -265,5 კვ. მ, კერძოდ, #6 სახინკლე და ეზოს ნაკვეთიდან მისი იდეალური 1/5 შესაბამისი რეალური 1807 კვ.მ, 2004 წლის 2 ივლისის #771/15 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ა. ნ-შვილის შეგებებული სარჩელი 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შპს "ცენტრმა" ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ხოლო ა. ნ-შვილმა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "ცენტრისა" და ა. ნ-შვილის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შპს "ცენტრის" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -შპს "ცენტრის" მოთხოვნა ობიექტის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ა. ნ-შვილისათვის დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ა. ნ-შვილს დაეკისრა 8939,60 ლარის გადახდა შპს "ცენტრის" სასარგებლოდ, შპს "ცენტრის" მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმების შესახებ ნივთის გაყიდვის გზით არ დაკმაყოფილდა, ა. ნ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საზიარო უფლება და ა. ნ-შვილს ნატურით გამოეყო დუშეთის რაიონის სოფ. წითელსოფელში მდებარე რესტორან "ევრაზიის" კუთვნილი იდეალური 1/5-ის შესაბამისი რეალური წილი, საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტის 2008 წლის 28 იანვრის დასკვნის მიხედვით, 1222 კვ. მ მიწის ნაკვეთი და #6, #7 შენობები, შპს "ცენტრს" დაეკისრა ა. ნ-შვილის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით ჩარიცხული 2142,42 ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2500 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა სანივთო სამართლის, საერთო საკუთრების საფუძველზე, რაც დასტურდება მათ საკუთრებაში დუშეთის რაიონის სოფელ წითელსოფელში მდებარე რესტორან "ქართული დუქანის" აღრიცხვით. სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: სადავო რესტორნის 1/5-ის საკუთრების უფლებით ფლობდა ა. ნ-შვილი, 4/5-ს -ჯერ ი. მ-შვილი, ხოლო 1999 წლის 17 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე -შპს „ცენტრი“. პარტნიორთა გადაწყვეტილებით რესტორან „ქართული დუქანს“ 1999 წლის ივლისიდან ეწოდა „ევრაზია“. შპს „ცენტრმა“ საკუთარი სურვილითა და ხარჯებით მოახდინა რესტორნის რეკონსტრუქცია. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ და ა. ნ-შვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია იმაზე, რომ რესტორან „ევრაზიას“ რეკონსტრუქციის ხარჯები, უნდა დაფარულიყო მისი ამოქმედებიდან 18 თვეში რესტორნიდან მიღებული შემოსავლით, რის შემდეგაც მხარეთა შორის მოგება განაწილდებოდა წილების პროპორციულად. აღნიშნული შეთანხმება ვერ განხორციელდა, რადგან რესტორანი აღმოჩნდა წამგებიანი. რესტორან „ევრაზიას“ რეკონსტრუქციის თაობაზე თანამესაკუთრეთა შეთანხმება სააპელაციო სასამართლომ შეაფასა ერთობლივ საქმიანობად, რომელშიც, სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ერთობლივი საქმიანობისთვის გათვალისწინებული შესატანები განხორციელდა ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის შეტანითა და შპს „ცენტრის“ მიერ განხორციელებული ფულადი შესატანით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ იქნა ერთობლივი საქმიანობის განხორციელების შემდეგ მოგების გა-

ნაწილება წილების პროპორციულად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა მიერ განხორციელებული შენატანები წარმოადგენს მათ, როგორც ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა საერთო საკუთრებას არსებული წილების შესაბამისად, ამასთან, შპს „ცენტრის“ მიერ განხორციელებული ფულადი შესატანით ჩატარებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შედეგად მიღებული რეკონსტრუირებული რესტორანი „ევრაზია“ უნდა ჩაითვალოს საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე შეძენილ ქონებად, რითაც გაიზარდა თანამესაკუთრეთა წილის ღირებულება. სასამართლომ დაადგინა, რომ რესტორანმა „ევრაზიამ“ შეწყვიტა ფუნქციონირება, მაგრამ დარჩა ქონება, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 940-ე მუხლის თანახმად, უნდა განაწილდეს მხარეებს შორის მათი წილის შესაბამისად. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შპს „ცენტრის“ მოსაზრება მის მიერ განხორციელებული ფულადი შენატანის ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილ ვალად მიჩნევის თაობაზე, რადგან, აღნიშნული ნორმის შინაარსის მიხედვით, ვალის გადახდის ვალდებულებაც ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს, მათ შორის, ა. ნ-შვილსაც დაეკისრებოდა მესამე პირის მიმართ, ხოლო, შპს „ცენტრის“, როგორც ერთობლივი საქმიანობის მონაწილის, მიერ განხორციელებული შენატანი სასამართლომ მესამე პირის ვალად არ ჩათვალა. სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ამჟამად საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მხარეების თანასაკუთრებას წარმოადგენს რეკონსტრუირებული, გაუმჯობესებული რესტორანი „ევრაზია“, შესაბამისად, მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ აღნიშნულ უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმება. სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 963-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ დაასკვნა, რომ შესაძლებელია საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, რადგან საქმეზე დანიშნული საინჟინრო-ტექნიკური და სასაქონლო ექსპერტის 2008 წლის 28 იანვრის დასკვნით თანასაკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების 1/5-ის ნატურით გამოყოფა შესაძლებელია 1/5-ის მფლობელისთვის #6 და #7 შენობებისა და 1222 კვ. მ მიწის ნაკვეთის გამოყოფით, რომელთა საორიენტაციო საბაზრო ღირებულება შეადგენს 66660 აშშ დოლარს, რაც მთლიანი კომპლექსის საორიენტაციო ღირებულების 1/5-ს შეესაბამება. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ა. ნ-შვილის მოთხოვნა საზიარო უფლების გაუქმების შესახებ ნატურით გაყოფის გზით საფუძვლიანია, შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს შპს „ცენტრის“ მოთხოვნა, რადგან სამოქალაქო კოდექსის 964-ე მუხლით გათვალისწინებული საზიარო საგნის გაყიდვის გზით საზიარო უფლების გაუქმების აუცილებლობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლის მსჯელობა ა. ნ-შვილის მოთხოვნაზე 1999 წლის 17 ივნისს ი. მ-შვილსა და შპს „ცენტრს“ შორის დადებული ნასყიდობის ბათილად ცნობის შესახებ, იმ მოტივით, რომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა, უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევის გამო, გარიგების ბათილად ცნობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მეოთხე ნაწილი და 959-ე მუხლი ადგენს რა მხარეთა შეთანხმებას საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლების განსაზღვრის შესაძლებლობის თაობაზე, მითითებული ნორმების მოთხოვნა არ არის იმპერატიული და არ ავალდებულებს მხარეებს საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლებაზე შეთანხმებას. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „ცენტრის“ მოთხოვნა ობიექტის გუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ა. ნ-შვილისთვის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ საფუძვლიანია, რადგან ექსპერტის დასკვნით დადგინდა იმ ქონების საორიენტაციო საბაზრო ღირებულება, 66660 აშშ დოლარი, რომელიც მიეკუთვნა საზიარო უფლების გაუქმების შემდეგ ა. ნ-შვილს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაადგინა, რომ საზიარო უფლებიდან ა. ნ-შვილს მიწის ნაკვეთი, #6 და #7 შენობები მიეკუთვნა გაუმჯობესებული სახით და მოპასუხემ მიიღო იმაზე მეტი ღირებულების ქონება, რაც ეკუთვნოდა. შესაბამისად, შპს „ცენტრის“ მიერ, 1999 წლის 17 ივნისს სადავო ქონების შეძენის შემდეგ, უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის შესაძენად, რესტორან „ევრაზიას“ სარემონტო სამუშაოებისათვის, ღობისა და ეზოს მოსაწყობად) რეკონსტრუქციისათვის დახარჯული 44690 ლარიდან 1/5 8939,60 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს ა. ნ-შვილს. დანარჩენ ნაწილში შპს „ცენტრის“ მოთხოვნა სასამართლომ ჩათვალა დაუსაბუთებლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტების მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაბამისად და შპს „ცენტრის“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების პროპორციულად ა. ნ-შვილის მიერ გადასახდელი სასამართლო ხარჯები სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა განისაზღვროს მისთვის დაკისრებული 8939,60 ლარიდან, ხოლო შპს „ცენტრისათვის“ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟი - ა. ნ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროპორციულად. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში შპს „ცენტრმა“ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი -5300 ლარი, ა. ნ-შვილმა კი -2500 ლარი და 2500 ლარი გადაუვადდა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ცენტრს“ უნდა დაეკისროს ა. ნ-შვილის სა-

სარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით ჩარიცხული 2142,42 ლარისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2500 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის სახით კასატორისათვის 2142,42 და 2500 ლარის დაკისრების, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში შპს "ცენტრმა" გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ა. ნ-შვილისათვის შპს "ცენტრის" სასარგებლოდ 91 050 აშშ დოლარისა და 37 043,40 ლარის დაკისრება, ასევე, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მესამე ნაწილის მეორე წინადადება, როდესაც შპს "ცენტრის" მიერ განხორციელებული ფულადი შენატანით ჩატარებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შედეგად რეკონსტრუირებული რესტორანი "ევრაზია" საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე შექმნილ ქონებად მიიჩნია. ამავე კოდექსის 940-ე მუხლის არასწორად განმარტებისა და გამოყენების შედეგად სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად ჩათვალა, რომ შპს "ცენტრის" მიერ განხორციელებული ფულადი შენატანი არ უნდა ჩაითვალოს ხსენებული ნორმით გათვალისწინებულ ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილ ვალად, რის გამოც სასამართლომ ა. ნ-შვილს უკანონოდ დააკისრა მხოლოდ 44 690 ლარის 1/5-ის -8939,60 ლარის გადახდა. სააპელაციო პალატამ დაადგინა და სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ მხარეებმა ერთობლივ საქმიანობაში შესატანის სახით შეიტანეს უძრავი ქონება, ხოლო შპს "ცენტრმა", მხარეთა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, დამატებით შეიტანა ასევე ფულადი სახსრები, რაც მოხმარდა რესტორნის რეკონსტრუქციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მოპასუხისათვის უნდა დაეკისრებინა ერთობლივ საქმიანობაში თანაბარი წილის შეტანა. სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ ა. ნ-შვილს წილი მხარეთა ერთობლივ საქმიანობაში არ შეუტანია, რის გამოც კასატორს, სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან გამომდინარე, წარმოეშვა გადაუხდელი შენატანის ანაზღაურების მოთხოვნის ვალდებულება. ამდენად, ა. ნ-შვილის მიერ შპს "ცენტრისათვის" გადასახდელი ვალები წარმოადგენს არა მესამე პირის ვალს, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, არამედ ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ერთ-ერთი მონაწილის ვალს მეორის მიმართ. დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება შპს "ცენტრის" სასარგებლოდ ა. ნ-შვილისათვის მხოლოდ 8939,60 ლარის დაკისრების ნაწილში. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 966-ე მუხლი და საზიარო საგნიდან ა. ნ-შვილისათვის გამოყოფილი წილის ღირებულებიდან, 66 660 აშშ დოლარიდან, დაეკისრებინა მოპასუხისათვის 1/5-ის, ქონების 20%-ის, 13 332 აშშ დოლარის გადახდა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა რა რაიონული სასამართლოს მსჯელობა, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო საგნის გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, გაუგებარია, რატომ დააკმაყოფილა აღნიშნულის შესახებ შპს "ცენტრის" მოთხოვნა ნაწილობრივ. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ა. ნაცლიშვილისათვის ცნობილი იყო შპს "ცენტრის" მიერ საზიარო ნივთის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის თაობაზე, რაზეც მას პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამდენად, იგი უშვებდა, რომ მისი წილი სადავო ქონებიდან რეკონსტრუქციის შედეგად გაიზრდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ა. ნ-შვილს უნდა დაკისრებოდა მისი წილის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები -91 050 აშშ დოლარი და 45 983 ლარი. მართალია, ა. ნ-შვილის წილი ამჟამად 66 660 აშშ დოლარს შეადგენს და ზემოხსენებული თანხის დასაფარად საკმარისი არ არის, თუმცა დარჩენილი თანხა უნდა ანაზღაურდეს მოპასუხის კუთვნილი სხვა ქონებიდან. უკანონოა გასაჩივრებული გადაწყვეტილება შპს "ცენტრისათვის" სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შპს "ცენტრისათვის" გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა განესაზღვროს ა. ნ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილების პროპორციულად და კასატორისათვის ა. ნ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრებინა არა 4 642,42 ლარის, არამედ 3028,82 ლარის გადახდა. მოცემული საკასაციო საჩივარი დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს "ცენტრის" სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ა. ნ-შვილმა გაასაჩივრა შეგებებული საკასაციო საჩივრით, მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს "ცენტრის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ საზიარო ნივთზე გაწეული ხარჯების ოდენობა წილთა პროპორციულად სწორად განსაზღვრა, თუმცა პალატას არ უნდა გაეზიარებინა შპს "ცენტრის" მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლისა და საზიარო უფლებებიდან გამომდინარე სხვა ნორმების საფუძველზე ა. ნ-შვილისათვის საზიარო ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან ზემოხსენებული ნორმები ეხება მხოლოდ ნივთის მოვლის ხარჯებს, აუცილებ-

ბელ ხარჯებსა და ა. შ. ყველა ამგვარ ხარჯში ა. ნ-შვილი მონაწილეობდა, მოცემულ შემთხვევაში კი სასამართლოს მიერ დაკისრებული 8939,6 ლარი წარმოადგენს არა სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ აუცილებელ ხარჯს, არამედ ნივთის კომერციული დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის გაუმჯობესების ხარჯს, რაც საკუთრივ ნივთის გაუმჯობესებად ვერ ჩაითვლება. მოსარჩელე მხარეს თავისი სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლზე არ დაუფუძნებია და არც ის გარემოება უმტკიცებია, რომ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შპს "ცენტრის" მიერ გაღებული ხარჯების შედეგად ა. ნ-შვილს გადაეცა გაზრდილი ღირებულების ქონება ან რაიმე სარგებელი. მოსარჩელე აღნიშნულ გარემოებას ვერც დაამტკიცებდა, რადგან მის მიერ გაწეული ხარჯებით გაუმჯობესდა უმეტესად მოძრავი ნივთები და არა მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონება. შპს "ცენტრს" არ მოუთხოვია არც ექსპერტიზის დანიშვნის გზით აღნიშნული საკითხის გარკვევა, შპს "ცენტრს" არ მიუთითებია და არც საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება სადავო გაუმჯობესების შედეგად ა. ნ-შვილის გამდიდრების ფაქტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი არეგულირებს ურთიერთობას მხარეთა შორის, როდესაც სადავო ნივთი პირს უბრუნდება, ამდენად, დასახელებული ნორმის მოქმედება სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა ძირითად სარჩელში შპს "ცენტრის" მითითებაზე, რომ მხარეთა შეთანხმების მიხედვით ა. ნ-შვილს ობიექტის გაუმჯობესებაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, რესტორანში სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა შპს "ცენტრი" და მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო რესტორნის ამუშავებიდან 18 თვის განმავლობაში. აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ა. ნ-შვილის მიერ რესტორნის გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული არ იყო. ანალოგიური მოსაზრება დასტურდება მოსარჩელის მიერ 2004 წლის 12 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქმსა და მისი წარმომადგენლის მიერ 2005 წლის 1 ივლისის სხდომაზე მიცემული განმარტებებით, სადაც ასევე დაფიქსირებულია, რომ მხარეთა შორის მოგება უნდა განაწილებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ი.მ-შვილი დაიბრუნებდა თანხას. აღსანიშნავია, რომ ი.მ-შვილის მიერ თანხის მიუღებლობაში ა. ნ-შვილს ბრალი არ მიუძღოდა, ვინაიდან, შეთანხმებისამებრ, მოპასუხე არ სარგებლობდა სადავო ობიექტით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ცენტრისა" და ა. ნ-შვილის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნივთის გაუმჯობესებისათვის დახარჯული თანხის დაკისრებისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა რა შპს "ცენტრის" მოთხოვნა ნივთის გაუმჯობესების ხარჯების ა. ნ-შვილისათვის დაკისრების ნაწილში, ა. ნ-შვილს შპს "ცენტრის" სასარგებლოდ დაეკისრა 8939,60 ლარის გადახდა. პალატამ დაადგინა, რომ საზიარო უფლებებიდან ა. ნ-შვილს მიწის ნაკვეთი, #6 და #7 შენობები მიეკუთვნა გაუმჯობესებული სახით და მოპასუხემ მიიღო იმაზე მეტი ღირებულების ქონება, რაც ეკუთვნოდა, შესაბამისად, შპს „ცენტრის“ მიერ, 1999 წლის 17 ივნისს სადავო ქონების შეძენის შემდეგ, უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის შესაძენად, რესტორან "ევრაზიას" სარემონტო სამუშაოებისათვის, ღობისა და ეზოს მოსაწყობად) რეკონსტრუქციისათვის დახარჯული 44690 ლარიდან 1/5-ის გადახდა უნდა დაეკისროს ა. ნ-შვილს.

საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მითითებული ნორმის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, სამართლებრივი შეფასების სისწორეს, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების შესაბამისობას სამართლის ნორმის შემადგენლობასთან, შინაარსთან. სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმება შეუძლებელია, თუ გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ არ იქნა დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები. ამასთან, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზიის), შემთხვევაში შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი იურიდიული ფაქტების -გარემოებების შესაბამისობა საქმეში

არსებულ მტკიცებულებებთან ანუ შეამოწმოს, დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნა სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე ან მასზე უარის თქმის თაობაზე როგორც ფაქტობრივად, ასევე სამართლებრივად უნდა იყოს დასაბუთებული. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი თავის მხრივ შედგება ორი ნაწილისაგან: ფაქტობრივი დასაბუთებისაგან, რომელიც მოიცავს სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს, მტკიცებულებებს, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებებს, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება იძლევა მისი სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას და, ამასთან, ფაქტობრივი დასაბუთება პრაქტიკულად განაპირობებს სამართლებრივ შეფასებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით დადგინდა რა ა. ნ-შვილისთვის გადაცემული ნივთის გაუმჯობესების იურიდიული ფაქტი, შპს "ცენტრის" მიერ ნივთის გაუმჯობესებისათვის განხორციელებული კონკრეტული მოქმედებები (სარემონტო სამუშაოები, ღობის, ეზოს მოწყობა და სხვა) და გახარჯული თანხების ზუსტი ოდენობა დასაბუთებული არ არის. სააპელაციო პალატა ზოგადად მიუთითებს ამ სამუშაოებზე ისე, რომ თავის დასკვნას საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ ადასტურებს. აღნიშნული გამორიცხავს შესაძლებლობას, შემოწმდეს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების საფუძვლიანობა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარი ნივთის გაუმჯობესების ღირებულების განსაზღვრისა და მოდავე მხარისათვის დაკისრებული თანხის კანონიერებაზე.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები უნდა დაადგინოს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე და მხოლოდ მტკიცებულებათა სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად მიიღოს დასკვნა ამა თუ იმ გარემოების არსებობა-არარსებობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "ცენტრისა" და ა. ნ-შვილის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება ნივთის გაუმჯობესებაზე თანხის დაკისრებისა და სახელმწიფო ბაჟის განაწილების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.